საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№11 (576)
31 მარტი – 6 აპრილი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



20-21

## გვემუქრება თუ არა საყოველთაო შიმშილი?

## დასავლეთი ცდილობს, ქართველ ხალხს ხელისუფლებაში კვლავ «ნაციონალური მოძრაობა» ჩაუდოს გუგულის კვერცხივით



2

## «თავისუფლების ლოზუნგს ამოფარებული ნაცები არყევენ ქვეყანას და ამაში მხარს უჭერს დასავლეთი»

3

6-7

## განაჩენი საქართველოსთვის




## აშშ-ის ვასალობამ, სტრატეგიულ პარტნიორობად რომ შემოგვასაღეს, პრაგმატიზმის თვალსაზრისით არაფერი მოგვცა




9

## ხელისუფლებავ, გამოაქვეყნეთ ჩინური ვაქცინის ოფიციალური ფასი და ისიც, რამდენს ვიხდით ჩვენ!



8

ალექსანდრე ფალავანდიშვილი:

## თუ დააკვირდებით, დაშინება, რომ შეიძლება მესამე ტალღა დაიწყოს, კუბოებს ვერ დავითვლით და ა.შ., ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ხოლმე აღდგომას, შობას



4

გიორგი ახვლედიანი:

## კონფრონტაცია რუსეთთან – ეს არის დამოკლეს მახვილივით მუდმივად დაკიდებული საფრთხე ჩვენს თავზე




11

## კრიტიკული დონე: აშშ-ის სახელმწიფო ვალმა 28 ტრილიონს მიაღწია




## ბანკთაშორისი სისტემა SWIFT-ი რუსეთსა და ჩინეთს აღარ აინტერესებს

11

## დანაშაული და სასჯელი



10

## დასავლეთის ინტერვენციის შედეგები იუგოსლავიაში

«სტრატეგიული მეგობრები»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაიხსენეთ, როგორ დემონსტრაციულად დატოვეს დავით ბაქრაძემ და გიგი უგულავამ „ევროპული საქართველო“, როგორ თქვა გიგა ბოკერიამ, — მეც გავიწევიო. და, თუ ის ორი უპარტიოა, ეს კი — გაწეული, რა უფლებით და რა სტატუსით იღებენ მოლაპარაკებებში მონაწილეობას? ჩამოიხსნეს ნიღბები და მოლაპარაკებების ერთ მხარეს „ქართული ოცნება“ ზის, მეორე მხარეს — მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“. ამას შალვა ნათელაშვილიც მიხვდა და მოლაპარაკებების მაგიდა დატოვა, მიხვდა ირმა ინაშვილიც და ისიც წამოვიდა, დანარჩენები კი...**

# დასავლეთი ცდილობს, ქართველ ხალხს ხელისუფლებაში კვლავ «ნაციონალური მოძრაობა» ჩაუდოს გუგულის კვერცხივით

**ევროსაბჭოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი კვლავ ჩამოვიდა საქართველოში და კვლავ შეეცდება ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ მაგიდასთან დასვას და რამეზე მაინც შეათანხმოს. სხვათა შორის, როცა პირველი ვიზიტის ვადა ამოიწურა, ირაკლი კობახიძე დანიელსონს ბრიფინგით დაემშვიდობა და ატეხა ოპოზიციამ ერთი ამბავი, სტუმარს აგდებსო. არადა, ყველამ იცის პროტოკოლი და ისიც, რომ ყველა ვიზიტს აქვს დაწყებისა და დასრულების დრო. კობახიძეც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ დონის სტუმარი პროტოკოლს დაარღვევდა, მაგრამ უკვე ნათლად ჩანს, რომ ევროკავშირს ვალდებულება აქვს აღებული ნაციონალების მიმართ და ეს ვალდებულება ხელისუფლებაში მათ დაბრუნებას ისახავს მიზნად.**



ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ უკვე ცხადია, რომ 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის სანაცვლოდ ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნებას დაჰპირდნენ და ახლა ისინი დაპირების შესრულებას ითხოვენ. ის, რომ სააკაშვილი საკუთარი ნებით, მშვიდობიანად არ წავიდოდა, ყველამ იცის, გარანტიად მან სწორედ ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნება მიიღო და ახლა ევროკავშირს აშანტაჟებს; რით და როგორ, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ **ევროპა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ნაციონალები მშვიდად დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.**

დასავლეთმა დაინახა, რომ მოსახლეობამ ნაციონალების საკენკი აღარ აკენკა და, იმის მიუხედავად, რომ დიდად არც მმართველი გუნდი მოსწონთ, ერი და ბერი ნაციონალების დაბრუნებას მაინც კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ახლაც, მთავარი **მიზანი არის ის, რომ 15 მაისს დაანონსებული აქცია არ გაიმართოს, რადგან ყველაზე კარგად ევროპამ იცის, 30 პარტიის აქციაზე 10 ათასი კაცი რომ ვერ შეიკრიბება. ეს იმას ნიშნავს, რომ თითო პარტიას 350-კაციანი მხარდამჭერიც არ ჰყავს და მერე მოლაპარაკებები უფრო გართულდება. ამიტომ სასწრაფო წესით ჩამოვიდა დანიელსონი და იმდენს შეეცდება, ოპოზიცია და ხელისუფლება მოარიგოს და 15 მაისის აქციამ ჩაილურის წყალი დალიოს.** სამაგიეროდ, მერე ოპოზიცია იტყვის: მთელი საქართველო გამოგვყავდა გარეთ და პატივი ევროპას ვეცითო.

რას გულისხმობს დანიელსონის ვიზიტი და მოწოდება, რომ შეთანხმება ორ საკითხზე — სასამართლო სისტემასა და საარჩევნო ადმინისტრაციაზე შედგეს? **ეს არის შეფარული გადატრიალება და ხელისუფლების გადაბარება და ახლავე აგიხსნით, როგორ: ეს არის სატყუარა, რომ იქნებ „ოცნება“ წამოეგოს და დათმოს. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებაში მონაწილეობა და რეფორმის საფარქვეშ სასამართლოში თავისი კვოტის შეყვანა — ესაა ნაცების უმთავრესი მიზანი. შემდეგ, თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაციამ მათი მხარე რომ დაიჭიროს და, თუ იქ არაფერი გამოვა, არასასურველ გადაწყვეტილებებს სასამართლოში გაასაჩივრებენ და იქ უკვე მათი კლანი დააჩაქუჩებს „ნაცმოს“ სურვილებს.**

„ნაციონალურ მოძრაობას“ არც პარტიებად დაქუცმაცებამ და სხვა სახელით ხელისუფლებაში დაბრუნებამ უშველა. გაიხსენეთ, როგორ დემონსტრაციულად დატოვეს **დავით ბაქრაძემ** და **გიგი უგულავამ** „ევროპული საქართველო“; როგორ თქვა **გიგა ბოკერიამ,** მეც გავიწევიო, და, თუ ის ორი უპარტიოა, ეს კი გაწეული, რა უფლებით და რა სტატუსით იღებენ მოლაპარაკებებში მონაწილეობას?! ჩამოიხსნეს ნიღაბი და მოლაპარაკებების ერთ მხარეს „ქართული ოცნება“ ზის, მეორე მხარეს — მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“. ამას **შალვა ნათელაშვილიც** მიხვდა და მოლაპარაკებების მაგიდა დატოვა, მიხვდა **ირმა ინაშვილიც** და ისიც წამოვიდა, დანარჩენები კი... ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის? შესათანხმებელი პუნქტების ლამის სახელმწიფო საიდუმლოებამდე აყვანა. ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ისეთს არაფერს აპირებენ, რაც მოსახლეობას მოეწონება, თორემ რა არის დასამალი?! ჩვენს მიერ არჩეული პოლიტიკოსები (ოპოზიციაც და პოზიციაც) ჩვენს ზურგს უკან მიდიან გარიგებებზე და მას საიდუმლოდ ინახავენ. ორ სიტყვასაც კი არავინ ამბობს. ეს დასავლეთის მოთხოვნაა, დანიელსონმა კატეგორიულად მოითხოვა: ხმა არ ამოიღოთ და, რომელიც პირობას დაარღვევს, დაისჯებაო. ჰო, **ახლა ის დროა, როცა დანიელსონის აზრი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი მოსახლეობის. ვის უმალავთ, რას უმალავთ, რატომ გვატყუებთ? რა ზიანი უნდა მოუტანოთ კიდევ ქვეყანას ჩვენს უჩუმრად და ევროპასთან შეთანხმებით?**

ერთ პოლიტიკოსს მაინც **გაებედა და ეთქვა, შემოდგომაზე პლებისციტს თუ ვაპირებთ, იქნებ გვეცადა და გვეკითხა მოსახლეობისთვის, ნატო და ევროკავშირი ისევ სურს თუ გადაიფიქრა?** მაგრამ ვერც ამის თქმას გაბედავს ვინმე და ვერც ასეთი კითხვის დასმას, რადგან დიდი შანსია, რომ 30 წლის განმავლობაში დაყრილი საკენკი მოსახლეობამ აღარ მიიღოს და ხელი აიქნიოს, ამიტომ **დასავლეთი არასდროს დასვამს იმ კითხვას, რომელმაც შეიძლება 30 წლის განმავლობაში ნაშენები ოცნების სასახლე ხუხულასავით დაანგრიოს.** ერთადერთი, რამაც მოლაპარაკებების მაგიდიდან გამოყონა, არის ის, რომ თურმე ნაციონალებს 6 კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი მოუთხოვიათ, რაზეც **არჩილ თალაკვაძე** გაოცებულა: რა ვუთხრა კოლეგებს, თანამდებობიდან რატომ გიშვებთო?! მაგრამ გვერწმუნეთ, **თუ დასავლეთის მესიჯებს დაჰყვება ხელისუფლება, 6 კომიტეტის კი არა, ისეთი რაღაცების დათმობა მოუწევს, დილით რომ გაიღვიძებენ, შესაძლოა, ხელისუფლება შეცვლილი დახვდეთ. ხომ ფაქტია, კომიტეტების გადაბარებით, ამ კომიტეტებზე მიბმული სამინისტროებისა თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურების სრული კონტროლი ნაციონალების ხელში გადავა, იქიდან საბოტაჟამდე კი ერთი ნაბიჯია. ისედაც მართლა ხუხულასავით დგას ქვეყნის ლამის ყველა ინსტიტუტი და ერთი შეჯანჯღარება საბოლოოდ დაანგრევს.**

ევროკავშირს ხელი ნატომაც შეაშველა და აგერ, **იენს სტოლტენბერგმა** ისევ თქვა: მზად ვართ, საქართველო ნატოში მივიღოთო. წლებია, ამას ვისმენთ და ვისმენთ სწორედ მაშინ, როცა დასავლელი პარტნიორების მიმართ საფუძვლიანი კითხვები ჩნდება. ნატოს გენმდივნის განცხადებას რუსეთი გამოეხმაურა, საქართველოს ნატოში ძალით ექაჩებიანო და დადგა რიგი — **ყველამ ერთხმად დაიწყო საუბარი, რომ რუსეთი თურმე ჩვენს საშინაო საქმეებში ერევა. ოპოზიციამ ხელისუფლებისკენ გაიშვირა ხელი, ხელისუფლებამ პირიქით — ოპოზიციას დააბრალა, რუსები თქვენით არიან გათამამებულებიო და ამ დროს, ვიღაც კრისტიან დანიელსონი ოროსანი ბავშვებივით იბარებს ქართულ პოლიტიკურ ელიტას და აიძულებს** (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), **ის გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც რეალურად არა ქართულ პოლიტიკას, არამედ ევროპას წაადგება.**

აუჩემებიათ, პოლიტიკური კრიზისია საქართველოშიო. არავინ ხსნის, რაში გამოიხატება ეს კრიზისი. ჩატარდა არჩევნები, ვიღაცას მოეწონა, ვიღაცას — არა, ნაწილი პარლამენტში შევიდა, ნაწილი გარეთ დარჩა და აპროტესტებს ამ ყველაფერს. ე.ი., პოლიტიკური კრიზისი კი არა, ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს და, **როგორც კი მიხვდა დასავლეთი, რომ ოპოზიციამ ყველა დონეზე ჩაისვარა, ჩაერია და ცდილობს, ხელისუფლებაში ის პარტია დააბრუნოს, რომელსაც მხარდაჭერა არ აქვს.** მოდი, ციფრებით დავთვალოთ: **საქართველოში 73 მუნიციპალიტეტია და თითო ოპოზიციურმა პარტიამ თითო მუნიციპალიტეტიდან 5 კაცი რომ გამოიყვანოს, 365 კაცს მოუყრის თავს, ამით ისინი მოახერხებენ და აქციაზე 10 ათას კაცს მაინც მიიყვანენ, მაგრამ ცალკე აღებულ ოპოზიციურ პარტიას თითო მუნიციპალიტეტში 5 მხარდამჭერიც არ ჰყავს. ჰოდა, ამ ხალხის მოყვანა სურთ ხელისუფლებაში დასავლელ პარტნიორებს, გაერთიანებული ოპოზიციის სახელითა და საფარქვეშ, თორემ ხომ ისედაც ცხადია, ფარა რომ შებრუნდეს, სათავეში კოჭლი ცხვარივით სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ მოექცევა და არც ნიკა მაჭუტაძეს გადააწყვეტინებენ რამეს, არც ბაჩუკი ქარდავას, არც თაკო ჩარკვიანს და არც სხვებს.**

ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, როგორ დასრულება მოლაპარაკებები. ეჭვი გვაქვს, ევროკავშირს რაღაც სხვა აქვს მოფიქრებული, რადგან პირველ ჯერზე „ოცნებამ“ მათი სატყუარა არ ჩაყლაპა, არ ჭამა ის, რომ მცირედის დათმობით მთავარს არ თმობდა. **ახლა სხვა მხრიდან მიუდგება დანიელსონი და კვლავ შეეცდება, ჯერ „ოცნებას“, შემდეგ კი ქართველ ხალხს ხელისუფლებაში კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ შეატყუოს, გუგულის კვერცხივით ჩაუდოს და გვერწმუნეთ, თუ ასე მოხდება, ისინი ძალაუფლების შენარჩუნების გამო ორ გვამს აღარ იკმარებენ,** მეტს მოითხოვენ, მეტს მიიღებენ და, როცა საქმე საქმეზე მიდგება, დასავლეთს მარტივად „დაიკიდებენ“. ჰოდა, სანამ შეთანხმებას ხელს მოაწერთ, იქნებ საჯაროზე გამოიტანოთ, ბატონებო, ის პუნქტები, რომელთა მიხედვით საქართველოს მართვას აპირებთ; იქნებ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ არის თანახმა, ჰო, იმ მოსახლეობის, თქვენ რომ აგირჩიათ და ის მანდატი მოგანიჭათ, რომელსაც ასე სარფიანად იყენებთ.

**ბესო ბარბაქაძე**

**გაიხსენეთ, როგორ დემონსტრაციულად დატოვეს დავით ბაქრაძემ და გიგი უგულავამ «ევროპული საქართველო»; როგორ თქვა გიგა ბოკერიამ, მეც გავიწევიო, და, თუ ის ორი უპარტიოა, ეს კი გაწეული, რა უფლებით და რა სტატუსით იღებენ მოლაპარაკებებში მონაწილეობას?!**

**ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის? შესათანხმებელი პუნქტების ლამის სახელმწიფო საიდუმლოებამდე აყვანა. ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ისეთს არაფერს აპირებენ, რაც მოსახლეობას მოეწონება, თორემ რა არის დასამალი?! ჩვენს მიერ არჩეული პოლიტიკოსები (ოპოზიციაც და პოზიციაც) ჩვენს ზურგს უკან მიდიან გარიგებებზე და მას საიდუმლოდ ინახავენ. ორ სიტყვასაც კი არავინ ამბობს. ეს დასავლეთის მოთხოვნაა, დანიელსონმა კატეგორიულად მოითხოვა: ხმა არ ამოიღოთ და, რომელიც პირობას დაარღვევს, დაისჯებაო**

**„ქართველ ხალხს თავს გვახვევენ ყოველგვარ სიბინძურეს და დაუფარავად გვართმევენ თავისუფლებას, არჩევანის უფლებას. ნაცებს შეუძლიათ და უფლება აქვთ, თქვან ყველაფერი, რადგან მათ მხარს ე.წ. ევროპა უჭერს, მაგრამ ჩვენ, აბა, გავბედოთ და რამე წამოგვცდეს... ჩაგვქოლავენ, გაგვამარგინალებენ, მოგვსპობენ და ამ ყველაფერს მხარს უჭერს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტელევიზიები; თუმცა რაზე ვლაპარაკობ, ყველამ ხომ დავინახეთ, რა უქნეს ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს. ყველანი, მათ შორის ჩვენი პოლიტიკოსებიც, უფრო მეტად ვგულისხმობ ე.წ. ოპოზიციას, და ჩამოსული ევროპელებიც ფაშისტები არიან.**

ჩაქუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# თავისუფლების ლოზუნგს ამოფარებული ნაცები არყევენ ქვეყანას და ამაში მხარს უჭერს დასავლეთი

**მას შემდეგ, რაც ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე უარი განაცხადეს საპარლამენტო არჩევნების გაყალბების საბაბით, ჩვენს დედაქალაქს რიგრიგობით სტუმრობენ ევროპელი პოლიტიკოსები და ცდილობენ, მომრიგებლის როლი შეასრულონ ე.წ. ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. თბილისს კვლავ ეწვია ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის პირადი წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი. მისი წინ და უკან სიარული ქართველ საზოგადოებაში საქილიკოდ იქცა: დანიელსონს ზოგი „ლიბერალების აზდაკს“ უწოდებს, ზოგი კი ბინას სთავაზობს დასაქირავებლად...**
**საზოგადოების უდიდეს ნაწილს პროტესტს უჩენს სტუმრისა და ქართველი ე.წ. პოლიტიკოსების მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა, ასევე აღიზიანებს ამ მოლაპარაკებებში უგულავა-ბოკერია-ბაქრაძის მონაწილეობაც, რომლებმაც არჩევნებში ვერ მოიპოვეს დეპუტატის მანდატები...**
**რატომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა, რის გაკეთებას ცდილობენ ევროპელი პოლიტიკოსები — ამ და სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემებზე ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე გვესაუბრება:**

— ევროპელების წინ და უკან სირბილი ღია თამაშის წესია, თუკი აქამდე გვეუბნებოდნენ, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მის გადაწყვეტილებებში ვერავინ ჩაერევაო, დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენ დამოუკიდებლი არ ვართ, ევროპელებიც აღარ გვერიდებიან, პირდაპირ გვეუბნებიან — ბანანის ქვეყანა ხართ და ისე გააკეთებთ ყველაფერს, როგორც ჩვენ გეტყვითო. თუ არ გავაკეთებთ მათი დაკვეთისამებრ, გვემუქრებიან, რომ დაგვსჯიან, ფულს არ მოგვცემენ; რაც მოგვცეს, იმის გადახდას მოგვთხოვენ და ა.შ.

**— რას გვერჩიან, რა სურთ, ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნება?**

— ჩემთვის გაუგებარია ის მხარდაჭერა, რომელიც ნაციონალებს აქვთ მათი მხრიდან. პირდაპირ ვიტყვი: რასაც ევროპელები ამჟამად ჩვენს ქვეყანაში სჩადიან, აბუჩად აგდებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაშიც არ დარჩა ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერზე საჯაროდ ისაუბრებს. ვისაც ამ საკითხებზე სასაუბროდ ტელევიზიებში იწვევენ, არიან ნაციონალების კადრები, გუშინ გამოჩეკილი ძალად ექსპერტები. ტელევიზორს ჩართავ, ვიღაც ზის და უცებ წააწერენ „ექსპერტი“. არადა, ყველა მათგანი ხელოვნური წარმონაქმნია. ვისიც უნდა იყოს ეს „ექსპერტები“, ვუსმენ და აშკარაა, რომ ყველა მათგანი „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე ასხამენ წყალს.

ის, რაც დღეს ხდება, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არათუ დამოუკიდებლები, დიქტატის ქვეშ ვართ, საშინელი დიქტატის, თანაც ყველას მხრიდან, მათ შორის, ევროპის. სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც დაუფარავად გვესაუბრებიან ე.წ. დემოკრატიაზე, სასამართლოს თავისუფლებაზე და მეორე წუთს ხელისუფლებას მოუწოდებენ, ე.წ. პოლიტპატიმრები გამოუშვით ციხიდანო. თუკი სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს, დამოუკიდებელი უნდა იყოს პროკურატურა, ხელისუფლებამ როგორ უნდა გამოუშვას ციხიდან პატიმარი?!

საქართველოს პრეზიდენტთან მიდიან და ტვინს უხვრეტენ, — შეიწყალე ესა თუ ის პატიმარიო... **საინტერესოა, ასეთი რამ თუ ხდება მართლაც დემოკრატიულ, სუვერენულ, თავისუფალ ქვეყანაში?! ამ ხნის ქალი ვარ, რას არ მოვსწრებივარ, დისიდენტი ვიყავი, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ვიბრძოდი, მაგრამ მსგავსი რამ არ მახსოვს, მსგავსი რამ მართლაც არ უკადრებია არავის საქართველოსთვის.**

**— ვიცით ე.წ. ლობისტების არსებობის შესახებ; ვიცით, რომ ნაცებსაც და ქოცებსაც ჰყავთ ამერიკასა და ევროპაში ლობისტები. როგორ ფიქრობთ, ნაცები აშანტაჟებენ თავიანთ ლობისტებს? ეს შეკითხვა იმიტომ გაჩნდა, რომ ძალიან გასაკვირი და საეჭვოა ევროპელების ასეთი თავგამოდება ნაცებისთვის...**

— რა თქმა უნდა, ევროპელებს აქვთ ვალდებულებები ნაცების წინაშე, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ნაციონალები იყვნენ კრიმინალები, კრიმინალური ფორმითაც მოვიდნენ ხელისუფლებაში, კორუფციულად და კრიმინალურად მართავდნენ ქვეყანას და შესაბამისად, კრიმინალებთან ჰქონდათ ურთიერთობა, კრიმინალს კი გინდ ევროპელი დაარქვი და გინდ — ამერიკელი ან აზიელი, კრიმინალია.

ეს ყველაფერი ვიცი და არ მიკვირს, მაგრამ მიკვირს იმ ხელისუფლებისა, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებიც დღეს ვითომ აქ გვიგვარებენ პრობლემებს. მაინტერესებს, ვიღაც ინდივიდები სხვა ქვეყნის პოლიტიკაში ასე ღიად რომ ერევიან, იმ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები რატომ არ აღკვეთენ მათ საქციელს?! გავიძახით, პარტნიორი ქვეყანაო, მაგრამ სად ჩანს ეს პარტნიორობა? არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში. მარტო საქართველოს მიმართ ხდება ეს ყველაფერი. ყოვლად წარმოუდგენელია, ვიღაცამ სხვა ქვეყანაში კრიმინალური ქმედებები ჩაიდინოს და ამაზე პასუხი არავინ მოსთხოვოს. ფაქტია, რომ ჩვენი ევროპელი ე.წ. სტუმრები ისე მოქმედებენ, როგორც კრიმინალები.

## «რასაც ევროპელები ამჟამად ჩვენს ქვეყანაში სჩადიან, აბუჩად აგდებაა»

**პატრონი არ გვყავს, რადგან ნაცებთან კორუფციულ და კრიმინალურ გარიგებაში მყოფი ევროპელების საქციელს არავინ გმობს, მათ შორის, არც იმ ქვეყნების ხელისუფლებები, საიდანაც ისინი ჩამოდიან.** ზედა ეშელონებში არ გმობენ გაურკვეველი წარმოშობის პოლიტიკოსების ქმედებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ლიბერალურ თუ ფაშისტურ ბოროტ ძალებს გზა ხსნილი აქვთ საქართველოში. საქართველოში ნაციონალებს მხარს უჭერენ, რადგან გაუკუღმართებული ლიბერალიზმის მომხრეა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა და ამერიკაც.**

ქართველ ხალხს თავს გვახვევენ ყოველგვარ სიბინძურეს და დაუფარავად გვართმევენ თავისუფლებას, არჩევანის უფლებას. ნაცებს შეუძლიათ და უფლება აქვთ, თქვან ყველაფერი, რადგან მათ მხარს უჭერს ე.წ. ევროპა, მაგრამ ჩვენ, აბა, გავბედოთ და რამე წამოგვცდეს... ჩაგვქოლავენ, გაგვამარგინალებენ, მოგვსპობენ და ამ ყველაფერს მხარს უჭერს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტელევიზიები, თუმცა რაზე ვლაპარაკობ, ყველამ ხომ დავინახეთ, რა უქნეს ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს. ყველანი, მათ შორის ჩვენი პოლიტიკოსებიც, უფრო მეტად ვგულისხმობ ე.წ. ოპოზიციას, და ჩამოსული ევროპელებიც ფაშისტები არიან.

**— ე.წ. ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიმდინარე მოლაპარაკებები ძირითადად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს, ასე ვთქვათ, საიდუმლოა...**

— დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებები იმიტომ მიმდინარეობს, რომ კოლონია ვართ. აბა, მეტი რა უნდა იფიქრო ადამიანმა?! **ყველა პუნქტი, რომლებზეც ვითომ უნდა მოილაპარაკონ, ზეპირად ვიცით. მაშ, რას მალავენ?! მალავენ იმას, რომ ხელისუფლებას ბინძურ გარიგებებს სთავაზობენ.** ვიღაც, მაპატიეთ და, მოეთრევა, ჩაერევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ულტიმატუმს უყენებს არჩეულ ხელისუფლებას, რომ კრიმინალები გამოუშვას ციხიდან, ჩაატაროს ხელახალი არჩევნები, რომელიც არ შედის ამომრჩევლის ინტერესში.

ევროპელი ე.წ. კეთილისმსურველები მოთხოვნებსა და ულტიმატუმებს უყენებენ ხელისუფლებას და სწორედ ამიტომ გვიხურავენ კარს. მათ არ სურთ, გავიგოთ და დავინახოთ, როგორ ბინძურად უდგანან მხარში ნაციონალებს.

**— ქალაქის ყოფილმა მერმა უგულავამ, ყოფილმა პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძემ, რომლებიც ადრე ბოკერიას პარტია „ევროპულ საქართველოში“ გაერთიანდნენ, განაცხადეს, რომ პარტია დატოვეს, რადგან დეპუტატის მანდატები ვერ მოიპოვეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მთავრობასა და ე.წ. ოპოზიციას შორის გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობენ და პირველ განცხადებებსაც სწორედ ისინი აკეთებენ...**

— ამ ადამიანებს აქეზებენ და მოლაპარაკებებზეც თვითონ ეძახიან ის მომრიგებლები, რომლებიც აქ ჩამოდიან. **ბაქრაძე და უგულავა** წავიდნენ პარტიიდან, მათ ახალი პარტია არ შეუქმნიათ, არც ბოკერიას მოუპოვებია სადეპუტატო მანდატი, მაგრამ „მომრიგებლები“ თვალში ნაცარს გვაყრიან და ამ ადამიანებს უხმობენ სალაპარაკოდ. ვეკითხები ყველას — რას ნიშნავს ეს ყველაფერი?! **ეს თავხედობაა „მომრიგებლების“ მხრიდან, ვფიქრობ, რომ მთავრობა საერთოდ არ უნდა შევიდეს ამ მოლაპარაკებებზე. ფაქტია, რომ ჩვენი „მომრიგებლები“ იქამდე ივლიან საქართველოში, სანამ ხელახალი არჩევნები არ ჩატარდება და ნაცები პარლამენტში უმრავლესობით არ შევლენ.**

არავის არ აქვს ხელთ ფაქტები, რომ არჩევნები გაყალბდა, არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ხელახალი არჩევნები ჩატარდეს. ნაცები რომ გაყალბების რაოდენობაზე საუბრობენ, მაგდენი მოსახლეობა ჩინეთშიც კი არ ცხოვრობს.

**არავინ ფიქრობს ხალხზე, გარედან გვაქვს ზეწოლა, ევროპა ცდილობს, დაანგრიოს ეს ქვეყანა, გაანადგუროს, დააჩოქოს იმაზე მეტად, ვიდრე ვართ დაჩოქილები. გამოდიან და ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე საუბრობენ, კარს გვიკეტავენ მოლაპარაკებებზე.**

**ყველამ ვიცით, რეალურად რაზეა საუბარი. უკვე გამოვიდა ამბავი, რომ ხუთი კომიტეტის თავმჯდომარეობას სთავაზობენ ნაცებს და, თუ ეს მართალია, მაშინ ეს „ოცნებაც“ გასაშვებია.**

„ოცნებამ“ უნდა იცოდეს, რომ ნაცების თანამდებობაზე დანიშვნა არ არის ქართველი ხალხის სურვილი და ოცნება, ამიტომ ნუ დაუჯერებენ ევროპელ „კეთილისმსურველებს“. სწორედ ამ ევროპელების გამო ვერ დაიჭირეს კრიმინალები, უფრო მეტიც, დაჭერილების გამოშვებას ითხოვენ, რაც მართლა არ არის ამ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სურვილი. კრიმინალების პოლიტიკაში დატოვება ნიშნავს მუდმივ თავდასხმებს პარლამენტზე, სახელმწიფო ინსტიტუტებზე; თავისუფლების ლოზუნგს ამოფარებული ნაცები არყევენ ქვეყანას და ამაში მხარს უჭერს დასავლეთი.

**ქართველები თუ არ გამოვფხიზლდებით, თუ ხმას არ ამოვიღებთ, თუ ამ ვასალობას არ გავაპროტესტებთ, მაშინ ის ევროპელები აქ კი აღარ ჩამოვლენ მოსალაპარაკებლად, უბრალოდ, დარეკავენ და ისე გადაწყვეტენ ჩვენს ბედს. აუცილებელია, ევროპამაც და ამერიკამაც გაიგოს, რომ ქართველი არ დაუშვებს მონობას, ქართველი არ გახდება მონა!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

> **«დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენ დამოუკიდებელი არ ვართ, ევროპელებიც აღარ გვერიდებიან, პირდაპირ გვეუბნებიან — ბანანის ქვეყანა ხართ და ისე გააკეთებთ ყველაფერს, როგორც ჩვენ გეტყვითო. თუ არ გავაკეთებთ მათი დაკვეთისამებრ, გვემუქრებიან, რომ დაგვსჯიან, ფულს არ მოგვცემენ; რაც მოგვცეს, იმის გადახდას მოგვთხოვენ და ა.შ.»**

> **«ყველა პუნქტი, რომლებზეც ვითომ უნდა მოილაპარაკონ, ზეპირად ვიცით. მაშ, რას მალავენ?! მალავენ იმას, რომ ხელისუფლებას ბინძურ გარიგებებს სთავაზობენ. ვიღაც, მაპატიეთ და, მოეთრევა, ჩაერევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ულტიმატუმს უყენებს არჩეულ ხელისუფლებას, რომ კრიმინალები გამოუშვას ციხიდან, ჩაატაროს ხელახალი არჩევნები, რომელიც არ შედის ამომრჩევლის ინტერესში»**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველომ უნდა ეძებოს გზა იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს თავის ტერიტორიაზე იმპერიათა ინტერესების შეჯახების საფრთხე და მაქსიმალურად განამტკიცოს მშვიდობა. ყველას გვესმის, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული და ყველა ფაქტორი, ყველა გარემოება, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, თავის წილ ზემოქმედებას ახდენს აქ მიმდინარე პროცესებზე“.**



**გიორგი ახვლედიანი:**

# კონფრონტაცია რუსეთთან — ეს არის დამოკლეს მახვილივით მუდმივად დაკიდებული საფრთხე ჩვენს თავზე

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტის შეკითხვას, რა იქნება მოსკოვის შესაძლო პასუხი შავ ზღვაში ნატოს სამხედრო ძალების გაძლიერებაზე, ასე უპასუხა: „საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ტრადიციულად, ვრეაგირებთ ადეკვატურად...“ მისი თქმით, კრემლში, უკვე დიდი ხანია, განიხილავენ ყველა შესაძლო ნაბიჯს, რომლებიც აუცილებლად გადაიდგმება ალიანსის მოქმედებების საპასუხოდ, თუმცა, მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე დეტალებზე საუბარი ნაადრევია.**

## «რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა დღეს ჩვენთვის კარგის მომტანი არ არის, ისევე, როგორც სომხეთისთვის, უკრაინისთვის და ა.შ.»

ზახაროვას ამ განცხადებას შეფასებები მოჰყვა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და, როგორც ხელისუფლების, ისე ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის წარმომადგენლებმა კრემლის მიმართ მწვავე კრიტიკა არ დაიშურეს. ბევრი ითქვა და დაიწერა, რომ ეს განცხადება კიდევ ერთხელ ცხადყოფს კრემლის ბოროტ ზრახვებს; რომ ეს უკვე კიდევ ერთი აშკარა სიგნალია დასავლეთისთვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრირების დაჩქარების აუცილებლობაზე და ა.შ. თუმცა არსად თქმულა, რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ნატო-რუსეთის დაპირისპირების ეპიცენტრში ყოფნა.

**ცნობისთვის:** 23-24 მარტს ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტერიალზე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ შემაშფოთებელია „რუსეთის მუდმივი სამხედრო გაძლიერება რეგიონში“ (იგულისხმება შავი ზღვის რეგიონი), რაც საფრთხეს უქმნის სამხრეთ კავკასიის სტაბილურობას. მისი თქმით, ეს გამოიხატება ყირიმში პოზიციების გაძლიერებაში, წვრთნებსა და სამხედრო წარმომადგენლობის მუდმივ ზრდაში, ამიტომ ალიანსი ყველაფერს გააკეთებს, რათა ვითარების შესაბამისად გააძლიეროს კონტროლი ამ რეგიონზე (ამ განცხადებას საქართველოში პოლიტიკური ოვაციები მოჰყვა)...

**რას ნიშნავს მარია ზახროვას სიტყვები: „ვრეაგირებთ ადეკვატურად“ და რას უნდა ელოდოს ამერიკა-რუსეთის ახალი კონფრონტაციის ფონზე საქართველო — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ჟურნალისტი და ანალიტიკოსი გიორგი ახვლედიანი.**

**— ბატონო, გიორგი, ბოლო პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო წარმომადგენლობის ზრდას შავი ზღვის რეგიონში ქართული პოლიტიკური სპექტრი იმედით შეჰყურებს. ბევრი ფიქრობს, მათ შორის ხელისუფლებაშიც, რომ ამით ჩვენი უსაფრთხოება განმტკიცდება. არაფერს ვამბობ მოლოდინზე, რომ ეს სამხედრო წვრთნები თურმე კიდევ უფრო გვაახლოებს ალიანსში ინტეგრირებასთან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ რუსეთი ყურადღებით აკვირდება ნატოს სამხედრო ძალების გადაადგილებას შავ ზღვაში და ამაზე აუცილებლად ექნება ადეკვატური რეაგირება. რა შეიძლება იყოს ეს რეაგირება და რა მოჰყვება მას ჩვენთვის?**

— ყოველთვის ასე იყო და, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება, რომ ჩვენს რეგიონში რუსეთსა და ამერიკას შორის ნებისმიერი სახის კონფრონტაცია პირდაპირ აისახება საქართველოზე. ეს გეოპოლიტიკის ერთგვარი აქსიომაა, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ამ რეგიონის ნაწილი და, გვინდა თუ არა, თავისთავად დამოკიდებული ვართ აქ არსებული პოლიტიკური დღის წესრიგის კონიუქტურაზე. რაც შეეხება შეკითხვას, რუსეთის მხრიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოქმედებებზე შესაძლო ადეკვატურ რეაგირებას, **მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის ცნობილია, უსაფრთხოების რა სტრატეგიული დოქტრინა აქვს დღეს რუსეთს. მას პირდაპირ უწერია კონცეფციაში, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის სასაზღვრო ზოლის დაცვა,** ე.ი., რუსეთის საზღვართან არ უნდა იყოს მისდამი მტრულად განწყობილი სამხედრო შენაერთები. მორჩა... ცხადია, აქ საუბარია, უწინარესად, ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც, თავის მხრივ, არ მალავს, რომ რუსეთი მისი უპირველესი მოწინააღმდეგეა. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს რუსეთს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართაც.

რა შეუძლია მოსკოვს ალიანსის მოქმედებების საპასუხოდ: დავიწყოთ იმით, რომ **ამხელა სახელმწიფო, ამხელა რესურსებითა და შესაძლებლობებით კონცეფციას, მით უმეტეს, უსაფრთხოების, ტყუილად არ წერს. რადგან წერს და მკაფიო ფორმულირებას აკეთებს, ე.ი., მას, აუცილებლობის შემთხვევაში, გარკვეული მოქმედებების პროტოკოლიც გააჩნია.** რა მოხდება, თუ ალიანსი გააძლიერებს კონტროლს შავ ზღვაში? რა თქმა უნდა, რუსეთიც გაზრდის იქ სამხედრო წარმომადგენლობას, გაახშირებს სამხედრო წვრთნებს და ეს ყველაფერი მიიღებს კამპანიურ ხასიათს. ჩემი აზრით, ამისთვის ორივე მხარე მზად არის გარკვეულ დონემდე. თუმცა, ჩვენთვის აქ მთავარია, როგორ აისახება ეს საქართველოზე.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— 2008 წელს კარგად დავინახეთ, რა შეუძლია რუსეთს და რაზეა წამსვლელი, როცა რეგიონში მისი სტრატეგიული ინტერესები კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. შეგახსენებთ, რომ ამ ომს წინ უძღოდა ბუქარესტის სამიტი, რომელზეც ითქვა, რომ საქართველო აუცილებლად გაწევრდებოდა ნატოში, თუმცა რამდენად რეალური იყო ეს გზავნილები იმ პერიოდში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სხვა საკითხია. ახლა გავიხსენოთ უკრაინის მოვლენები. **როგორც კი უკრაინა გადავიდა პროდასავლური და განსაკუთრებით პრონატოური მოთხოვნების შესრულების აქტიურ ფაზაში, რითაც კიდევ უფრო მეტად დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს, სტრატეგიული ინტერესები, კრემლი ომსაც არ მოერიდა 40-მილიონიან სახელმწიფოსთან. შედეგი, ისევე, როგორც საქართველოს შემთხვევაში, იყო ერთი — უკრაინა დაისაჯა ტერიტორიების დაკარგვით. კონფლიქტი კი დღემდე გრძელდება. მოკლედ, რუსეთი, მოგვწონს თუ არა და გვინდა თუ არა, საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რეგიონულ დონეზე კი უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია.** გამომდინარე აქედან, რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა დღეს ჩვენთვის კარგის მომტანი ნამდვილად არ არის; ისევე, როგორც სომხეთისთვის, უკრაინისთვის და ა.შ.

**— როგორი პოლიტიკის გატარება იქნება მართებული იმისთვის, რომ საქართველო კიდევ ერთხელ არ აღმოჩნდეს რუსეთ-ამერიკის დაპირისპირების ეპიცენტრში, მით უმეტეს ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში?**

— არა მხოლოდ საქართველო, მთლიანად სამხრეთი კავკასია ისტორიულად იყო იმპერიების ინტერესთა ეპიცენტრი. აქ იკვეთებოდა სპარსეთ-ოსმალეთის, ოსმალეთ-რუსეთისა და სხვათა ინტერესები. თუმცა ჩვენი მხრიდან გატარებული კონიუნქტურული პოლიტიკა ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ამ ჭიდილის შედეგად მოსალოდნელი ზიანის მინიმუმადე დაყვანაში. რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, რთული სათქმელია, დღეს რამდენად ზუსტად იცავს საქართველო ბეწვის ხიდზე გავლის ურთულეს პოლიტიკურ პრინციპებს და კანონზომიერებებს. ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ **ფაქტია: ჩვენ ისევ ვართ პოტენციური ეპიცენტრი დიდი შეჯახებისა და ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა ამ შესაძლო შეჯახების ერთ-ერთ მხარესთან არ გვაქვს, პრაქტიკულად, არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა. ეს არის არსებული ვითარების უარყოფითი მხარე, რომელიც აუცილებლად გამოსასწორებელია.**

**— ბეწვის ხიდზე გავლის პოლიტიკა ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლების დეკლარირებული პოლიტიკა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად პრონატოურია, ჯდება ამ კონტექსტში?**

— მოდი, პირდაპირ ვთქვათ: **პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელსაც ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს, საქართველო კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა ევროპაზე. ჩვენ ისევ მიბმული ვართ დასავლურ საფინანსო ინსტიტუტებს, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი და ა.შ. აი, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, დღეს, ფაქტობრივად, არჩევანიც არ გვაქვს.** რაც შეეხება მოუგვარებელ ურთიერთობებსა და დაძაბულობას რეგიონში, **კონფრონტაცია რუსეთთან — ეს არის დამოკლეს მახვილივით მუდმივად დაკიდებული საფრთხე ჩვენს თავზე, რომელიც აფერხებს როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ისე პოლიტიკურ სტაბილურობას.** მაგრამ ობიექტურობისთვის აქ ერთიც უნდა ითქვას: ურთიერთობების მოსაგვარებლად არ არის საკმარისი მხოლოდ პოლიტიკური ნება საქართველოს მხრიდან, ამისთვის აუცილებელია, გარკვეული ნაბიჯები გადმოდგას რუსეთმაც, რაც ჯერჯერობით არ ხდება. **საერთოდ, ვფიქრობ, რომ დღევანდელ რუსულ პოლიტიკურ სპექტრშიც, ისევე, როგორც საქართველოში, არიან ძალები, რომლებიც მიზანმიმართულად აფერხებენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზებას. ახლა არ მინდა, დავაკონკრეტო, რომელი ლობი და რატომ აკეთებს ამას, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ მიმართულებითაც სერიოზული სამუშაოა.** თუმცა, არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ რა დონეზეც უნდა წავიდეს ურთიერთობებში პრობლემების მოგვარების პროცესი, პირველივე შეხვედრაზე დაიწყება ტერიტორიების დაბრუნებაზე საუბარი. ცხადია, ეს ამ ეტაპზე არ და ვერ მოხდება. უბრალოდ, აქ შეიძლება საუბარი იყოს სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე, სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტზე და ა.შ. საერთოდ, ჩემი აზრით, გაცილებით ფართო მასშტაბის უნდა იყოს **აბაშიძე-კარასინის** შეხვედრის ფორმატიც, ვიდრე მხოლოდ ჰუმანიტარული ან კულტურული საკითხებია...

**— დასასრულ, დასავლეთის ფაქტორზეც შეგეკითხებით: ხომ არ ფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსულ-ქართული ურთიერთობები რეალური გაუმჯობესებისკენ წავა და ამ მიმართულებით პერსპექტივა გაჩნდება, გარკვეული დასავლური ძალები მას ხელს შეუშლიან?**

— რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ ამ პროცესს გარკვეული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდებიან, მათ შორის ლობისტების სახითაც, მაგრამ, ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, მომხრეც ბევრი იქნება. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და ევროპაშიც არაერთ სამუშაო შეხვედრაზე მომისმენია, რომ საქართველომ უნდა მოახერხოს და განმუხტოს, თუნდაც ნაწილობრივ, რუსეთთან კონფრონტაციული რეჟიმი. თუმცა, რაგორიც უნდა იყოს ბალანსი ამ ურთიერთობების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, მთავარი, რა თქმა უნდა, არის ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები. აი, ეს არის რეალობა. დღეს საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელმაც შეიძლება ძალისმიერ პოლიტიკაზე გააკეთოს გათვლები. **საქართველომ უნდა ეძებოს გზა იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს თავის ტერიტორიაზე იმპერიათა ინტერესების შეჯახების საფრთხე და მაქსიმალურად განამტკიცოს მშვიდობა. ყველას გვესმის, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული და ყველა ფაქტორი, ყველა გარემოება, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, თავის წილ ზემოქმედებას ახდენს აქ მიმდინარე პროცესებზე.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «ჩვენ ისევ ვართ პოტენციური ეპიცენტრი დიდი შეჯახებისა და ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა ამ შესაძლო შეჯახების ერთ-ერთ მხარესთან არ გვაქვს, პრაქტიკულად, არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა. ეს არის არსებული ვითარების უარყოფითი მხარე, რომელიც აუცილებლად გამოსასწორებელია»

**როდის, რომელ საუკუნეში იყო საქართველო ევროპის ნაწილი, რომ ახლა იქ ბრუნდება —შუა საუკუნეების საფრანგეთში, რომლის ვერსალიც ნეხვის სუნად ყარდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან თვით მეფე მზე ლუი XIV-ს სასახლის წევრები ქალიან-კაციანად ვერსალის ოთახების კუთხეებში მოისაქმებდნენ ხოლმე და სწორედ ამ აუტანელი სიმყრალის „დამსახურებაა“ ფრანგული სუნამოს გამოგონება განავლის „სურნელის“ როგორმე გასანეიტრალებლად?**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღევანდელი საქართველო ერეკლესდროინდელზე უარეს დღეშია

**ქართველი ერის სახელით რომ გველაპარაკებით ამ დაძაბულ დროს და თანაც აღვირახსნილი რუსოფობიით, ამის უფლება ვინ მოგცათ თქვენ, ვისი სახელიც ბიძინას გარეშე „ზერო“, ნულია და სად გიპოვათ, რომელ სოროში იმალებოდით, როდესაც მე და ჩემნაირები მიშარასტების სისხლიან რეჟიმს სიცოცხლის რისკის ფასად ვებრძოდით? — ამ ფრაზით დავამთავრე ბოლო სტატია სათაურით „ქოცებისა და ნაცებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რას იტყვის ძია სემი“ და იქვე მკითხველს შევპირდი, რომ ამ თემას უფრო ვრცლად, ალბათ, გაზეთის შემდეგ ნომერში გავშლი-მეთქი. „ალბათ“ იმიტომ, რომ ისეთი სისწრაფით ვითარდება გეოპოლიტიკური მოვლენები, დარწმუნებული არ ვიყავი, ჩემი დაპირება აქტუალობას დღემდე თუ შეინარჩუნებდა.**

მკითხველთან ბოლო პაემნიდან დღემდე, ე.ი., ბოლო ერთ კვირაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დიდ პოლიტიკაში მომხდარი თუ მოსალოდნელი ძვრების შედეგები, პირდაპირ თუ არა, ასე თუ ისე პატარა საქართველოზეც აისახა და მომავალშიც აისახება ქოც-ნაცთა ხელისუფლება-ოპოზიციის ხელში, სამწუხაროდ, მხოლოდ ნეგატიური კუთხით.

არადა, ჭკვიანი და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ეროვნული ხელისუფლების პირობებში ეს „ასახვა“ შეიძლება ისეთი პოზიტიური ყოფილიყო, რომ გვირაბის ბოლოს, მბჟუტავი სინათლის სხივი კი არა, ისეთი პროჟექტორი აბრდღვიალებულიყო, რომელიც მოყვარეს გზას გაუნათებდა, ხოლო მტრებს თვალებს დაუბრმავებდა. სწორედ ამ არცთუ მცირე შესავლიდან გამომდინარე, შევეცდები მკითხველისთვის დაპირების ასრულებას.

წინამდებარე წერილის შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილის დაწერა განაპირობა საქართველოში ყველაზე ცნობილი „უცნობის“ ტელევიზიის საავტორო პროგრამა „კიდობანის“ ერთ-ერთმა გადაცემამ, რომლის სტუმარი იყო თბლისში ჩემი დიდი სამეგობრო-სააxლობლო წრის „რიგითი“ წევრი, მაგრამ ქალაქში „უცნობზე“ არანაკლებ ცნობილი, ყველასთვის საყვარელი **ჯაპანა — დავით ხურცილავა.**

მოკლედ, „უცნობთან“ ტანდემში თავის ყოვლის წამლეკავი იუმორით, ხუმრობებით ჯაპანამ, რომ იტყვიან, სიცილით ხომ ჩაგვაბჟირა — ეს თავისთავად, მაგრამ ამ ჟივილ-ხივილში ისეთი რამ წამოსცდა, რასაც ნაცების ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, ქოცებამდე, „ტაბუ“ ჰქონდა დადებული — ლამის 20 წელიწადია, ველოდები ტელევიზიებიდან რუსეთ-საქართველოს შორის, ორ საუკუნეზე მეტი ხნის ტკბილ-მწარე ურთიერთობის კი არადა, 200 წლის თანაცხოვრებაზე მართალი სიტყვის თქმასო.

**ციტირების გარეშე და, ინტერპრეტაციით გთავაზობთ ნაცნობ-„უცნობის“ ფრაზას:**

**„ერეკლე მეფის გადაწყვეტილება, საქართველო ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთის იმპერიაში შესულიყო, იმდროინდელ გეოპოლიტიკურ მოცემულობაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო და სწორედ მეფე ერეკლეს ბრძნული გადაწყვეტილების შედეგია, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ასე თუ ისე (ანუ ტერიტორიებდაკარგული, გაგლეჯილ-გამოგლეჯილი) მაინც არსებობს, ხოლო ქართველი, როგორც ერი, როგორც ეთნოსი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა და ჯერ კიდევ არსებობს“.**

ნაცნობ-„უცნობს“ „წავეხმარები“ და იმდროინდელ გეოპოლიტიკურ მოცემულობას ორი სიტყვით შევახსენებ — ერეკლესდროინდელ ამერ-იმერ საქართველოს მამაცი, მეომარი ქართველებით იმ სტადიონის შევსებაც გაუჭირდებოდა, რომელიც შენ სულ ადვილად შეავსე. თუმცა, ჩემო ნაცნობ-„უცნობო“, რაც შენ იმ დღეს თქვი, მხოლოდ აისბერგის მწვერვალია, მაგრამ ამისთვისაც გმადლობ. იმედია, მიმდევრებიც გაგიჩნდებიან და, შესაძლოა, აისბერგის ძირიც ვიხილოთ.

**დღევანდელი საქართველო ერეკლესდროინდელზე უარეს დღეშია — თუ იმხანად ისლამის ოკეანეში მყოფ საქართველოს მხოლოდ გამუსლიმანება (მაჰმადის სჯულისთვის თავდადება, ოჯახი, სინდის-ნამუსი, წინაპართა ხსოვნა, საზოგადოებრივი მორალი და ა.შ., რაც ცხოველისგან განასხვავებს ადამიანს, მუსლიმთათვისაც ისეთივე წმიდათაწმიდა ფასეულობებია, როგორიც ჩვენთვის, ქრისტეს მოძღვრების მიმდევართათვის) ან ქრისტეზე უარის შემთხვევაში სიკვდილი ელოდა, ახლა ნეოლიბერასტული ოკეანით გარშემორტყმულ კუნძულს — საქართველოს, დასავლელი „მეგობრების“ რჩევით, ზემოხსენებულ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მორალურ ფასეულობებზე უარის თქმა და მსოფლიო ლგბტ-ზაციის იმ ფერხულში ჩაბმა მოუწევს, რომელსაც XXI საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენი „მთავარი სტრატეგიული მოკავშირე“ — აშშ დირიჟორობს.**

რაც შეეხება მკითხველისთვის წინამდებარე წერილის დასაწყისში მიცემული პირობის შესრულებას, გაგიკვირდებათ და დასაწყისისთვის ისევ ნაცნობ-„უცნობის“ „კიდობანს“ უნდა მივადგე...

23 მარტს გადაცემა „კიდობნის“ სტუმარი, ჩემი აზრით (მიუხედავად ათასგვარი მითქმა-მოთქმისა), კარგი ქართველი მამულიშვილი (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 7 შვილის მამაა) **ლევან ვასაძე** იყო, ხოლო საუბრის თემა ნამოხვანჰესი და მისგან მოსალოდნელი ეკონომიკურ-ეკოლოგიური საფრთხე იყო. რადგან არც ერთში ვარ ყარამანი და არც მეორეში, ცნობილ ბიზნესმენს ტიგრან გულოიანის სიტყვებით ვუპასუხებ; „ძია ისიდორე, მე ვერაფერი გავიგე, მაგრამ შენი მჯერა!“

ლევან ვასაძის ხილვამ ცხონებული **გია მაისაშვილი** გამახსენა — ასეთი მსოფლიო დონის ეკონომისტი გვყავდა და ეკონომიკის (მდგრადი განვითარების) მინისტრის სავარძელში **სააკაშვილმა** საეჭვო განათლების მქონე მეგობარი ქალბატონი დასვა. ამაზეა ნათქვამი: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა“-ო... არადა არ ეღირსა გია მაისაშვილს საქართველოში მისი პროფესიონალური პოტენციალის შესაფერი თანამდებობა — არც ქართველთმოძულე მიშას, შემდეგ არც „ეროვნული“ **ბიძინა ივანიშვილის** მთავრობაში — ორივესთვის ერთნაირად მიუღებელი იყო, რადგან ყველაფერზე თავის კანტურის ნიჭი არ ჰქონდა და გულნატკენიც წავიდა იმქვეყნად (სხვათა შორის, მიშას რეზინის ტყვიით თავზე მიღებული ტრავმისგან წარმოქმნილი სიმსივნის გამო), სამშობლოსთვის ბოლომდე დახარჯვის ნება რომ არ მისცეს. რაც შეეხება ლევან ვასაძეს, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ, ძირითადად, მხოლოდ მორალურ-ზნეობრივი კრიზისების დროს რატომ გამოჩნდება ხოლმე საქართველოში?

მგონი, რიტორიკული კითხვა დავსვი — ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიმართ ყველაფერზე თავის კანტურის ნიჭი, ეტყობა, მასაც არ აქვს და ამიტომაც არ სჭირდება ქოც-ნაცების ხელისუფლებას, ეს ერთი; და მეორე — განა ინგა გრიგოლიები მშვიდად ცხოვრებას ადროვებენ? **კარგად მივიხედ-მოვიხედოთ და დავთვალოთ, რამდენი ადამიანი დარჩა დღეს „ქართულ ოცნებაში“ ისეთი, რომელთა მხრებზეც გადაიარა სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმთან ბრძოლის და, აქედან გამომდინარე, 2012 წლის 1 ოქტომბრის დადგომის სიმძიმემ?** თითქმის არავინ. ბატონო ბიძინა, რომ წახვედით, სად წახვედით, ვის იმედად, **ვის ხელში ტოვებთ საქართველოს ამ გაქანებული პანდემიისა და, საზოგადოდ, უმძიმესი ვითარებისას — კობახიძეების, თალაკვაძეების, მდინარაძეებისა და სხვა მათ მსგავსთა, რომლებიც, კაცმა არ იცის, საიდან მოიყვანეთ, სად იპოვეთ და ერთ მშვენიერ დღეს თავზე დაგვასვით?**

სად არის **ზაზა პაპუაშვილი**, რომ არაფერი ვთქვათ **ემზარ კვიციანზე** ან თუნდაც **სოსო ჯაჭვლიანზე**, რომელსაც ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ რესპების მსგავსი „ინტელექტუალები“, — იბიარდი არ იცის, რა არისო... და მერე რა? სამაგიეროდ, **ემზარ კვიციანმა იცოდა, როგორ დაეცვა კოდორი, იგივე დალის ხეობა, რომლის მიწაზე საუკუნეების განმავლობაში, რუსს კი არა, არც ერთ დამპყრობელს ფეხი არ დაუდგამს და რომელიც 21-ე საუკუნეში ტყვიის გაუსროლელად ჩააბარეს ნაცებმა.**

ახლა, რაც შეეხება საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნებას — **როდის, რომელ საუკუნეში იყო საქართველო ევროპის ნაწილი, რომ ახლა იქ ბრუნდება — შუა საუკუნეების საფრანგეთში, რომლის ვერსალიც ნეხვის სუნად ყარდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან თვით მეფე მზე ლუი XIV-ს სასახლის წევრები ქალიან-კაციანად ვერსალის ოთახების კუთხეებში მოისაქმებდნენ ხოლმე და სწორედ ამ აუტანელი სიმყრალის „დამსახურებაა“ ფრანგული სუნამოს გამოგონება განავლის „სურნელის“ როგორმე გასანეიტრალებლად?**

ან რომ აგიჩემებიათ, ნატოში გაწევრების მოსახლეობის 70% უჭერს მხარსო, ვინ და როდის დათვალეთ? ამას 2008 წლის არჩევნების მიხედვით ამბობთ, რომლის გაყალბებას ნაცებიც კი აღიარებენ? საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა და იქვე პლებისციტად დასმული კითხვა — გინდათ თუ არა ნატოში, ამის პასუხი არ გაყალბებულა? ამაზე დაყრდნობით აცხადებენ ქოც-ნაცები დასავლეთში ქართველთა 70%-იან ნებას ნატოში შესვლაზე? მაგ სისულელეზე რომც დაგეთანხმოთ, მას შემდეგ 13 წელიწადი გავიდა, იყო რუსეთ-საქართველოს ომი თანმხლები „ბედნიერებებით“ და, რაც მთავარია, ქართველმა ხალხმა დაინახა, როგორ დეიბრა ნატო და, საერთოდ, დასავლეთი საქართველოს და ყველაფერ ამის გათვალისწინებით ნატოში ინტეგრაციას თუ მაინც უცვლელად 70% უჭერს მხარს, მაშინ საქართველოს მოსახლეობის ეს 70% ცხონებული **ავლიპი ზურაბაშვილის** პაციენტი ყოფილა.

**დავით მხეიძე**

**P.S.** **უკვე იმდენჯერ ვახსენე ნაცნობი „უცნობი“, რომ წინამდებარე წერილი ლამის ღია წერილად გადაიქცა გია გაჩეჩილაძე-უცნობის მიმართ, ამიტომ, ჟარგონით თუ ვიტყვით, ბოლომდე მივაწვები პირველ ჩვენებას. მიუხედავად ათასი ბოროტი მითქმა-მოთქმისა, პოლიციის ეზოში გადახტომით ყველა ავისმოსურნეს „მოუჯოკრე“. დიდ ილიაზე ლექსებისა და სიმღერების ავტორს მეფე ერეკლესა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე ერთ ნაკლებად ცნობილ წერილს გთავაზობ, რომელიც რამდენიმე პარლამენტარსაც შევთავაზე, მაგრამ ვერავინ გაბედა მისი წაკითხვა ტრიბუნიდან.**

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — წერდა ილია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი, ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან. ...დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის“.**

ნაცნობო „უცნობო“, გაბედავ ამ წერილის პირდაპირ ეთერში წაკითხვას?




**ნეოლიბერასტული ოკეანით გარშემორტყმულ კუნძულს — საქართველოს, დასავლელი «მეგობრების» რჩევით, ზემოხსენებულ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მორალურ ფასეულობებზე უარის თქმა და მსოფლიო ლგბტ-ზაციის იმ ფერხულში ჩაბმა მოუწევს, რომელსაც XXI საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენი «მთავარი სტრატეგიული მოკავშირე» — აშშ დირიჟორობს**

**ბატონო ბიძინა, რომ წახვედით, სად წახვედით, ვის იმედად, ვის ხელში ტოვებთ საქართველოს ამ გაქანებული პანდემიისა და, საზოგადოდ, უმძიმესი ვითარებისას — კობახიძეების, თალაკვაძეების, მდინარაძეებისა და სხვა მათ მსგავსთა, რომლებიც, კაცმა არ იცის, საიდან მოიყვანეთ, სად იპოვეთ და ერთ მშვენიერ დღეს თავზე დაგვასვით?!**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ხელისუფლებათა სხვადასხვა თაობა ამერიკელებს მოჰყავთ ქვეყნის სათავეში. ისინი კი ხელისუფლების შესანარჩუნებლად ამერიკელთა ყველა დირექტივას ასრულებენ, თუნდაც ამას საქართველო საბოლოოდ შეეწიროს. სანამდე შეიძლება ასე გაგრძელება ან რა შედეგამდე მიგვიყვანს ეს გზა?**



# განაჩენი საქართველოსთვის

## აშშ-ის ვასალობამ, სტრატეგიულ პარტნიორობად რომ შემოგვასაღეს, პრაგმატიზმის თვალსაზრისით არაფერი მოგვცა

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეათე გამოშვება

**„აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ბარბაროსობიდან პირდაპირ დეგენერაციაში გადავიდა ცივილიზაციის სტადიისთვის გვერდის ავლით".**

**ჟორჟ ბენჟამინ კლემანსო**

საკითხი, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ, რომლის წამოწევას წინამდებარე სტატიაში ვაპირებ, ისე დიდი და მნიშვნელოვანია და, ამასთანავე, იმდენად საკამათოც, რომ ასე ერთბაშად და ერთ სტატიაში კი არა, აგერ უკვე მესამე საუკუნეა, გადაწყვეტილი არ არის. ამის მიუხედავად, მსჯელობა აუცილებელია, ვინაიდან **საქართველოსთვის რუსეთს მნიშვნელობა არათუ არ დაუკარგავს, შეიძლება, მეტი აქტუალურობაც კი შეიძინა, ვიდრე მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეებში ჰქონდა. ამჯერად საკითხის განხილვას უახლესი ისტორიისა და მიმდინარე პროცესების კონტექსტში შევეცდები.**

ამ ამოცანის დასაძლევად აუცილებელია, გავერკვეთ თანამედროვე მსოფლიოს სპეციფიკაში. **რა ძირითადი ტენდენციები ამოძრავებს ისტორიას ამ ეტაპზე? რა არის ის ძირითადი წინააღმდეგობები, რომლებიც პლანეტის მოსახლეობის წინაშე გადაულახავ ბარიერად აღმართულა? რა რისკების შემცველია ვითარება, რომელშიც მთელი მსოფლიო აღმოჩნდა? რა როლი აკისრიათ ზესახელმწიფოებსა და მცირერიცხოვან ხალხებს? როგორია მათ შორის ურთიერთობები?**

შეკითხვა ბევრია, პასუხები კი წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი. თანამედროვე ეპოქის ზოგად დახასიათებას თუ შევეცდებით, შემზარავ სურათს მივიღებთ: ჩვენ თვალწინ უღმერთო, უიდეო, უზნეო და უსიყვარულო სინამდვილე გადაიშლება. ადამიანური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ყველა უბანი და ასპექტი შიშველმა პრაგმატიზმმა ჩაანაცვლა. ინტერესები, ძალმომრეობა და გამორჩენა — ესაა თანამედროვე მსოფლიოსთვის ღმერთიც და ეშმაკიც, მიზანიც და საშუალებაც...

რას ერჩიან რუსეთს, რატომ ქმნიან მისგან მსოფლიო საფრთხეს? ვინმე თუ იტყვის, რომ კი არ ქმნიან, რუსეთი მართლაც საფრთხეს წარმოადგენს დანარჩენი მსოფლიოსთვისო, მან უნდა აგვიხსნას, რაში გამოიხატება ეს საფრთხე. **ვერ დაასახელებთ საუკუნეს, ევროპელებს ერთმანეთი რომ რ ეჟუჟოთ. ბოლოს და ბოლოს, ევროპელებმა, სულ რაღაც ოცი წლის ინტერვალით, ორი მსოფლიო ომი აჩუქეს კაცობრიობას. ევროპაში თითქმის ვერ ნახავთ სახელმწიფოს, დაპყრობითი ომები რომ არ ეწარმოებინოს და კოლონიები არ ჰქონოდა აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე.**

**აშშ-ისთვის, საერთოდ, ცხოვრების წესად იქცა დამპყრობლური ომები მსოფლიოს მასშტაბით. აშშ-ის ისტორიაში იშვიათად იყო პერიოდი, როდესაც ომის წარმოებით არ იყო დაკავებული.** განა ეს თავისთავად არ მეტყველებს აშშ-ის, ზნეობრივი თვალსაზრისით, არასახარბიელო სახეზე? ათასგვარი მანიით შეპყრობილი ევროპელები, რომლებიც რუსეთს ხან მარჯვნიდან ესხმოდნენ თავს და ხან მარცხნიდან, ამერიკელთა წაქეზებით, მას დღემდე ურჩხულად სახავენ და ბოროტების იმპერიას უწოდებენ. შეკითხვა შეკითხვას ემატება: **რატომ იქცევიან ასე? რა მიზანი აქვს ამას?**

**საბჭოთა კავშირის მიმართ დასავლეთის მტრულ დამოკიდებულებას, გამართლება თუ არა, ახსნა მაინც ჰქონდა, რადგან ეს სრულიად განსხვავებულ იდეოლოგიურ საფუძველზე შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო (სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი) იყო, რომელიც თავისი ჰუმანური იდეალებით, სამართლიანობითა და საზოგადოების სოციალური დაცულობის არნახული მიღწევებით კაპიტალისტური სამყაროსთვის არა მხოლოდ ცუდ, არამედ სახიფათო პრეცედენტს წარმოადგენდა.** ბუნებრივია, რომ უსამართლობის საფუძველზე მდგარ კაპიტალისტურ დასავლეთსა და სამართლიანობის საწყისზე აღმოცენებულ საბჭოთა კავშირს შორის დაუძლეველი შეუთავსებლობა არსებობდა და მათ შორის დაპირისპირება (მიუხედავად იმისა, ცივი იქნებოდა იგი თუ ცხელი) სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათს იღებდა.

რაც შეეხება რუსეთს, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლური ცხოვრების წესი და განვითარების კაპიტალისტური გზა აირჩია, დასავლეთისთვის დღეს არც რამე სახის მიუღებელ პრეცედენტს არ წარმოადგენს და არც ეგზისტენციური ხასიათის საშიშროებას არ ქმნის. მაშ, **რა იწვევს რუსეთთან დასავლეთის გააფთრებულ დაპირისპირებას, რატომ ქმნიან რუსეთისგან მტრის ხატს, რატომ წარმოაჩენენ მას იმ ბოროტ ძალად, რომელიც საფრთხეს უქმნის, როგორც საკუთარ თავს მიიჩნევს, მსოფლიო დემოკრატიის მექად ქცეულ დასავლეთს?**

საქმე ის არის, რომ რუსეთმა, ისევე, როგორც, თავის დროზე, საბჭოთა კავშირმა, აშშ მსოფლიოს მბრძანებლად არ აღიარა.

2007 წელს გამართულ მიუნხენის კონფერენციაზე **ვლადიმერ პუტინმა** აშშ-ს სახეში მიახალა მსოფლიოს ერთპოლუსიანი მოწყობის მიუღებლობა და შეუმდგარობა. ამერიკელები მიხვდნენ, რომ რუსეთი გადაულახავ ჯებირად აღიმართა საბჭოთა ბარიერის დაძლევის შემდეგ მსოფლიოს დასაპყრობად გიგანტური ნაბიჯებით მიმავალი მათი სახელმწიფოს წინაშე. მოვლენათა მათთვის ასე დრამატულად შემობრუნებას ისინი არ ელოდნენ, რადგან მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თითქმის ყველა მოვლენა მათი სურვილისამებრ ვითარდებოდა. **სტალინის სიკვდილის შემდეგ სწორ გეზს აცდენილი საბჭოთა კავშირი მეოცე საუკუნის ბოლოს ამერიკელებმა ვერაგული მეთოდებით დაშალეს, რის შემდეგაც რუსეთიც საბოლოოდ განეიტრალებულად მიიჩნიეს; თავგზააბნეული და უზნეობისკენ მიდრეკილი ევროპა, რომელსაც ოსვალდ შპენგლერმა მეოცე საუკუნის დასაწყისში მის ყურადსაღებ ფილოსოფიურ გამოკვლევაში „ევროპის მზის ჩასვენება" გარდაუვალი დაღუპვა უწინასწარმეტყველა, მარტივად ჩაისვეს ჯიბეში; ჩინეთი** კი არც ეკონომიკური, არც ტექნოლოგიური და, მით უმეტეს, არც შეიარაღების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ იყო ამერიკელებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მსოფლიო მათ წინაშე მუხლებზე იდგა, რადგან **ირანსა** და **ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში** ან **ლათინურ ამერიკასა** და **ჩრდილოეთ კორეაში** არსებულ წინააღმდეგობებს ადვილად გადატეხდნენ ხერხემალში. აი, ამ მომენტში, საკუთარი უძლეველობის ბანგით თრობისა და მეფისტოფელური ხარხარის დროს, რაღაცა მანქანებით რუსეთის ხელისუფლების სათავეში აღმოჩენილმა კაცმა ემოციის ამოფრქვევის გარეშე, მშვიდად და აუღელვებლად ამცნო ამერიკელებს, რომ მსოფლიოში მათი განუკითხავი პარპაშის ეპოქა დასრულდა. როგორ? — ყურებს არ დაუჯერეს დაბნეულებმა და სახტად დარჩენილებმა, — როგორ?

დასავლეთისთვის იმ ავადმოსაგონარი განცხადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 2018 წლის 1 მარტს პუტინმა რუსეთის ფედერალური საკრებულოს წინაშე მსოფლიოსთვის სენსაციური, დასავლეთისთვის კი თავზარდამცემი განცხადება გააკეთა: „Запад не хотел по существу обсуждать с Россией ее предупреждения о нарушении стратегического баланса. В то же время Москва заявляла членам НАТО, что предпримет необходимые меры для нейтрализации угроз, связанных с развертыванием американской глобальной системы ПРО. Нас никто не слушал. Послушайте сейчас..."

შოკი აქედან დაიწყო. იმას, რაც ამის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ისაუბრა, არც მსოფლიოში და თვით რუსეთშიც კი (სპეციალისტთა ვიწრო წრის გარდა) არავინ მოელოდა: „Несмотря на наши многочисленные протесты и призывы, американская машина заработала, конвейер пошел. Чем ответила на этот вызов Россия? Все эти годы российские специалисты напряженно работали над перспективной техникой и вооружением.Это позволило нам сделать стремительный, большой шаг в создании новых образцов стратегического оружия. В России разработаны и постоянно совершенствуются весьма скромные по цене, но в высшей степени эффективные системы преодоления ПРО, которыми оборудуются все межконтинентальные баллистические ракетные комплексы".

ასე აღმოჩნდნენ აშშ და ამ სახელმწიფოს ამოფარებული ის დანაშაულებრივი ძალები, რომლებიც მსოფლიოზე გაბატონების დაუოკებელსა და მანიაკურ სწრაფვას ვერაფრით ელევიან, მათთვის დამთრგუნველი იმ რეალობის წინაშე, რომელსაც დიდი ხნის ნაოცნებარზე ხელის აღებისა და მასთან გარდაუვალი დამშვიდობების აუცილებლობა ჰქვია. ისინი რუსეთის ხელში არსებული სიმდიდრის ხელში ჩაგდების სანუკვარ ოცნებასაც ემშვიდობებიან.

**აი, რატომ მიიჩნევენ ამერიკული დანაშაულებრივი პოლიტიკის წარმმართველი ძალები რუსეთს მტრად.** ვერ აჩოქებ, ესე იგი, მტერია! მეტსაც მოგახსენებთ: ამას წინათ პრეზიდენტმა **ბაიდენმა** მთლად უსაფუძვლოდ როდი უწოდა რუსეთის პრეზიდენტს მკვლელი. დააკვირდით, ბაიდენმა არ გამოიყენა ტერმინები: დიქტატორი, უზურპატორი, ტირანი, ოკუპანტი ან რომელიმე სხვა, რომელ- ▶




**ახლა, როდესაც აშშ გაუთავებელი და დაუძლეველი კრიზისების სტადიაშია, ხოლო რუსეთი მშვიდად იმტკიცებს პოზიციებს მსოფლიოში, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთსა და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კავკასიაშიც, ამერიკის სატელიტად დარჩენა ჩვენი ქვეყნისთვის საბოლოო განაჩენის გამოტანის ტოლფასია; განაჩენისა, რომელიც ფიზიკურ განადგურებას გულისხმობს**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პუტინმა მოკლა მსოფლიოზე ერთპიროვნული გაბატონების ამერიკული იდეა, პუტინმა მოკლა და დაასამარა მსოფლიოს დაჩოქებაზე ამერიკელთა ავანტიურისტული და ყოვლად უზნეო ოცნება... ამიტომ ამერიკული პოლიტიკის მამები არ აჭარბებენ, როდესაც რუსეთს, აშშ-ის სახელმწიფო იდეოლოგიისა და სამხედრო დოქტრინის დონეზე, მტრად აცხადებენ ან პუტინს მკვლელს უწოდებენ. ისინი მხოლოდ მაშინ აჭარბებენ, როდესაც რუსეთს მსოფლიო საფრთხედ აცხადებენ.

საც დასავლეთის ლიდერები დაპირისპირებული სახელმწიფოთა მეთაურების მიმართ ტრადიციულად იყენებენ. არა, მან პუტინს მკვლელი უწოდა. **რატომ მაინცდამაინც მკვლელი? რატომ ატრიალებენ ამერიკელი ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ამ ტერმინს პუტინის მიმართ? საქმე ისაა, რომ მათთვის პუტინი მართლაც მკვლელია.** პუტინმა მოკლა მსოფლიოზე ერთპიროვნული გაბატონების ამერიკული იდეა, პუტინმა მოკლა და დაასამარა მსოფლიოს დაჩოქებაზე ამერიკელთა ავანტიურისტული და ყოვლად უზნეო ოცნება... ამიტომ, ამერიკული პოლიტიკის მამები არ აჭარბებენ, როდესაც რუსეთს, აშშ-ის სახელმწიფო იდეოლოგიისა და სამხედრო დოქტრინის დონეზე, მტრად აცხადებენ ან პუტინს მკვლელს უწოდებენ. ისინი მხოლოდ მაშინ აჭარბებენ, როდესაც რუსეთს მსოფლიო საფრთხედ აცხადებენ. ეს ვერაგული ხერხია, რომელიც მიმართულია იქით, რომ რუსეთთან დაპირისპირების რთულსა და სახიფათო საქმეში, რაც შეიძლება მეტი მოკავშირე გაიჩინონ.

**ამ გაუთავებელ საერთაშორისო ძიძგილაობაში ოცდაათი წელიწადი გავიდა... რას ვაკეთებდით ამ ხნის განმავლობაში ჩვენ — ქართველები?**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში მყოფი ქართველები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მძლავრი ეკონომიკისა და უაღრესად განვითარებული კულტურის მქონე რესპუბლიკა გვქონდა, თავს მაინც დაჩაგრულად მივიჩნევდით, ვინაიდან ეროვნული თავისუფლების გარკვეული ნაწილი დელეგირებული იყო საერთო, საკავშირო ხელისუფლებაში. ამერიკულმა იდეოლოგიურმა მანქანამ და სპეცსამსახურებმა მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობაში მიზანმიმართულად წაახალისეს ეროვნული მოტივები და გარკვეულ დონეზე ანტისაბჭოთა და ანტისოციალისტური განწყობების გაღვივებაც შეძლეს. მათ ამ საქმეში ბრწყინვალედ გამოიყენეს საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში მოყვანილი მათივე აგენტურა, რომლებსაც, საბჭოთა დისიდენტებთან ერთად, ჭეშმარიტად სახალხო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ზემოდან და ქვემოდან ერთნაირი მონდომებით ანგრევინეს.

მოკავშირე რესპუბლიკებში ჩამოყალიბებული ე.წ. ეროვნული მოძრაობები, რომლებიც სინამდვილეში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალებს წარმოადგენდნენ, აშშ-ის სამსახურში იდგნენ და ამერიკული დირექტივებით მოქმედებდნენ. ამიტომ მოხდა ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად კი არ მოგვევლინენ, აშშ-ის მარიონეტებად იქცნენ და, მართალია, სხვადასხვა დოზით, მაგრამ თითქმის ყველგან რუსეთის საწინააღმდეგო ამერიკულ პლაცდარმად ჩამოყალიბდნენ. ეს, საერთოდ, ვერ მოახერხეს, მაგალითად, **ბელარუსში,** მაგრამ ძალიან კარგად გამოუვიდათ **საქართველოსა** და **უკრაინაში.** აქვე უნდა აღინიშნოს: საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია,** მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ყველა საბჭოთა დისიდენტი, სრულიად ანტირუსულ პოზიციებზე იდგა, როგორც ეროვნული მოღვაწე, ამერიკელებისთვის მაინც ცუდი პარტნიორი აღმოჩნდა. **ამერიკელებმა გამსახურდია გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვეში ტახტიდან ჩამოაგდეს (ამის შესახებ გამსახურდიამ თავად განაცხადა) და მის ნაცვლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოიყვანეს, რის შემდეგ საქართველო დასავლურ კურსს დაადგა და, როგორც შევარდნაძე ამბობდა, ნატოს კარზე კაკუნი დაიწყო.** ეს გზა, ეს კურსი დღემდე გრძელდება. ე.ი., გრძელდება მას შემდეგაც, რაც პუტინის მიერ მიუნხენში გაკეთებული მოხსენებაც მოვისმინეთ და ფედერალური საკრებულოს წინაშე ის გამოსვლაც, რომელზეც მან ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების ახალ, სრულიად უნიკალურ სახეობათა პრეზენტაცია გააკეთა. რატომ ვაკავშირებ ერთმანეთთან ამ მოვლენებს? **იმიტომ, რომ ჩვენი სწრაფვა ნატოს წევრობისკენ მხოლოდ ჩვენ არ გვეხება. ეს მოვლენა მსოფლიო წესრიგის პრობლემასთანაა დაკავშირებული და ბირთვულ სახელმწიფოთა შორის ბალანსისა დარღვევისკენ მიმართულ ქმედებათა ჯაჭვის შემადგენელი რგოლია.** ესე იგი, ეს არ არის ის უწყინარი ქმედება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ფორმულით: ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაშიც გვინდა, იმ ორგანიზაციაში შევალთ! ამ ლოგიკით ცხოვრებისა და მოქმედების პასუხად რუსეთის ლოგიკა ამოქმედდა: **საქართველოს ნატოში შესვლა რუსეთისთვის საფრთხის შემცველია, რის გამოც ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ დავუშვათ! იგივე ლოგიკა მოქმედებს უკრაინისა და სხვა ნებისმიერი რესპუბლიკის ურთიერთობაში რუსეთთან.** ლოგიკა აზროვნებაა, რომელსაც ქმედებები მოსდევს. ქმედებები, რომლებიც რუსეთის ამ ლოგიკასა და ჩვენთვის კატასტროფის მომტან იმ საქციელს მოჰყვა, რომელსაც ცხინვალის რეგიონში **სააკაშვილის** სამხედრო ძალით შეჭრა ერქვა. ჩვენ ჩვენი გადასახედიდან მიულებელი გვგონია, მაგრამ ამ მოვლენას რუსეთის გადასახედიდანაც ხომ უნდა შევხედოთ? **რუსეთმა, რომელსაც აგრესიულ და მსოფლიო ბატონობაზე დაგეშილი აშშ ნატოს ალყაში მოქცევას უპირებს და ყველა მხრიდან უახლოვდება, თავი არ უნდა დაიცვას?!** კარგად დააკვირდით, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. რუსეთმა როდესაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, საქართველოს წინააღმდეგ კი არ მოქმედებდა, საქართველოს ტერიტორიიდან აშშ-ისა და ნატოს გარდაუვალი აგრესიისგან იცავდა თავს და მის პრევენციას ახდენდა. ამ შემთხვევაში ქართველები ველარ

## როდესაც ჩვენ აშშ სამხედრო-სტრატეგიულ პარტნიორად ვაღიარეთ, ეს რუსეთისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, ომის გამოცხადებას ნიშნავდა. ომს კი თავისი ლოგიკა და დაწერილ-დაუწერელი კანონები აქვს, ანუ, როგორც იტყვიან-ხოლმე, ომი მორევაზეა. რაკი ეს ასეა, აშშ-იც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთთან მოსალოდნელ ომში გამარჯვება შეძლოს, რუსეთიც ყველა ღონეს ხმარობს, რათა აშშ-თან იმ თავსმოხვეულ ომში არ დამარცხდეს



ვიტყვით, ჩვენ რა შუაში ვართ. შუაში როგორ არ ვართ, როდესაც **დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით ვეწერებით რუსეთის მტრების ბანაკში?!** ჩვენ მაშინ ვიქნებოდით ცამდე მართალი, რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება რომ გვქონდეს გაფორმებული ან ნეიტრალიტეტი გამოცხადებული. ასეთ შემთხვევაში, რუსეთს არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საბაბი ექნებოდა და, მით უმეტეს, არც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა. სხვათა შორის, არათუ საბაბი, ასეთი სურვილიც არ ექნებოდა, ვინაიდან ამის საჭიროება და აუცილებლობა არ იარსებებდა. უნდა მივხვდეთ, რომ, როდესაც ჩვენ აშშ სამხედრო-სტრატეგიულ პარტნიორად ვაღიარეთ, ეს რუსეთისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, ომის გამოცხადებას ნიშნავდა. ომს კი თავისი ლოგიკა და დაწერილ-დაუწერელი კანონები აქვს, ანუ, როგორც იტყვიან-ხოლმე, ომი მორევაზეა. რაკი ეს ასეა, აშშ-იც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთთან მოსალოდნელ ომში გამარჯვება შეძლოს, რუსეთიც ყველა ღონეს ხმარობს, რომ აშშ-თან იმ თავსმოხვეულ ომში არ დამარცხდეს. ესაა ამ საკითხის მთელი ფილოსოფია, მაგრამ სრულიად გაურკვეველია, ჩვენ რატომ ვყოფთ თავს ამ გასანთლულ ყულფში? ამ შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობს: იმიტომ, რომ ოცდაათი წელიწადის მანძილზე **საქართველოში ხელისუფლებათა სხვადასხვა თაობა ამერიკელებს მოჰყავთ ქვეყნის სათავეში. ისინი კი ხელისუფლების შესანარჩუნებლად ამერიკელთა ყველა დირექტივას ასრულებენ, თუნდაც ამას საქართველო საბოლოოდ შეეწიროს. სანამდე შეიძლება ასე გაგრძელება ან რა შედეგამდე მიგვიყვანს ეს გზა?** ვიდრე იმაზე ვისაუბრებ, თუ რა შედეგებს მოიტანს ეს გზა მომავალში, ჯერ იმას გადავავლოთ თვალი, თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანა ამ გზამ დღემდე? **საქართველომ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადდა და გაეროს წევრი გახდა, არნახული რეგრესი განიცადა: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიკარგა, საფრთხე ემუქრება სხვა ტერიტორიებსაც; მოსახლეობა განახევრდა; ეკონომიკა დაინგრა; მეცნიერება და ხელოვნება მოიშალა; გამეფდა უმუშევრობა, უსამართლობა, კორუფცია; მოსახლეობის დიდი ნაწილი უიმედობამ მოიცვა და დეპრესიაში ჩავარდა, მისი ახალგაზრდა და ჯანმრთელი ნაწილი კი ლუკმაპურის საძებნელად და ოჯახების სარჩენად საზღვარგარეთ გარბის.** ეს ხომ ის საშინელი რეალობაა, რომელშიც ვცხოვრობთ, მე ხომ არაფერს ვამატებ და ვაზვიადებ? ნუთუ ძნელია ამის გაცნობიერება? ნუთუ ისე გაგვაბრუა დასავლურმა პროპაგანდამ, რომ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ, თავი კი სხვა რეალობაში გვგონია? არსებობს საკითხის პრაგმატული გადაწყვეტა და არსებობს საკითხის ზნეობრივი გადაწყვეტა. **აშშ-ის ვასალობამ, ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორობად რომ შემოგვასაღეს, პრაგმატიზმის თვალსაზრისით რომ არაფერი მოგვცა, ვნახეთ.** ახლა ზნეობის თვალსაზრისითაც ვნახოთ აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის მართებულობა. როგორ შეიძლება, რომ სახელმწიფო, რომელიც ანგრევს მსოფლიო წესრიგის მექანიზმებს, ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას და დანარჩენ სახელმწიფოებთან ურთიერთობებს ძალმომრეობაზე აგებს, მსოფლიო დემოკრატიის მეტრად გესახებოდეს?! **ხაზი გადაუსვათ ამერიკის წარსულს, აბორიგენი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას, მონათმფლობელობას, რასობრივი დისკრიმინაციის უსაზიზღრეს ფაქტებს, გაუთავებელ ომებს, სისხლიან ბატალიებს, უსამართლობის მოლაღადე გამოვლინებებს, დავივიწყოთ დანარჩენი პრეზიდენტების ჯოჯოხეთური დანაშაულები, მათ შორის იაპონიის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის მოწყობილი ბირთვული ტერორი და დღევანდელი პრეზიდენტის, ჯოზეფ ბაიდენის, ბიოგრაფიის მხოლოდ იმ მონაკვეთს გადავავლოთ თვალი, რომლის შესახებაც თვითონ ყვება:**

„ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ამერიკას ექნება დანაკარგები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა შევიდეთ ბელგრადში და მოვახდინოთ ქვეყნის ოკუპაცია იაპონურ-გერმანულ სტილში“. იმას, რომ ეს ფრაზა იმხანად სენატორ ბაიდენის ემოციურ ტალღაზე წამოსროლილი რომ არ იყო, ის ადასტურებს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ბაიდენმა საყვედურის ინტონაციით თქვა: „მე გთავაზობდით ბელგრადის დაბომბვას; მე გთავაზობდით ამ ქვეყანაში ამერიკელი მფრინავების გაგზავნას და მდინარე დრინაზე ყველა ხიდის აფეთქებას; მე გთავაზობდით საწვავის მიწოდების შეწყვეტას; მე გთავაზობდით ძალიან სპეციფიკურ ქმედებებს“. მოგვიანებით ბაიდენი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ამ თემას: „რატომ ვამტკიცებდი ჯიუტად, რომ სერბეთის ხალხისთვის არ გაგვეწვდინა დახმარების ხელი? იმიტომ, რომ სანამ ისინი არ ჩაიხედავენ საკუთარ სულში, მათ არ მოუნდებათ იმ სენისგან განკურნება, რომლითაც დაავადებულნი არიან. აი, ამის გამო. არა შურისძიების გამო, არამედ მათგან გათავისუფლების სურვილის გამო“. საერთოდ, ბაიდენი, სადაც მას სიტყვა ეთქმოდა, ყველგან საომარ მოქმედებას უჭერდა მხარს. შევიდეთ ვიკიპედიაში, ჩავწეროთ „ჯოზეფ ბაიდენი“ და აღმოვჩნდებით იმ გვერდზე, რომელზეც წერია: **„როდესაც აშშ-ის სენატში კენჭს უყრიდნენ ერაყის შესახებ გადაწყვეტილებას, ბაიდენი იმ ოცდაცხრა დემოკრატ სენატორთა შორის იყო, რომლებმაც მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ერაყში შეჭრას. ეს იყო 2003 წელს, ჯორჯ ბუში (უმცროსის) ადმინისტრაციის პერიოდში. სენატის მიერ მხარდაჭერილი მანდატი, რომელიც სადამ ჰუსეინის არსენალში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის საბაბით გაიცა, აღმოჩნდა ომის გაჩაღების საფუძველი, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა“.** ის, რაც ახლა გავიხსენეთ, მხოლოდ წვეთია ამერიკული პოლიტიკის უზნეობის ოკეანეში. ამრიგად, სტრატეგიულ პარტნიორობას აშშ-თან ვერც ზნეობის თვალსაზრისით გავამართლებთ.

როგორც ვხედავთ, საკუთარი ქვეყნის ამერიკის სატელიტ სახელმწიფოდ გადაქცევას ამ ოცდაათი წლის განმავლობაში გამართლება არ ჰქონია. იქნებ მომავლის პერსპექტივა მაინც ჰქონდეს ამ საქმეს?!

ახლა, როდესაც ჩინეთის ფაქტორმა წამოიწია, მისმა ეკონიმიკამ ამერიკულ ეკონომიკას გაუსწრო, მისი ტექნოლოგიების განვითარებაში რევოლუციური ნახტომი გაკეთდა, მისი შეიარაღება თვისებრივად შეიცვალა და მსოფლიო ბატონობისკენ მიმავალი ამერიკის წინაშე ერთი (რუსული) ჯებირის ნაცვლად მეორეც (ჩინური) აღიმართა, ახლა, როდესაც აშშ გაუთავებელი და დაუძლეეელი კრიზისების სტადიაშია, ხოლო რუსეთი მშვიდად იმტკიცებს პოზიციებს მსოფლიოში, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთსა და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კავკასიაშიც, ამერიკის სატელიტად დარჩენა ჩვენი ქვეყნისთვის საბოლოო განაჩენის გამოტანის ტოლფასია; განაჩენისა, რომელიც ფიზიკურ განადგურებას გულისხმობს.

**ვალერი კვარაცხელია**



**P.S.** მუდმივი ყინულით დაფარულ არქტიკაზე უცნაური და ულამაზესი სანახაობა გადაიშალა: რუსეთის სამმა წყალქვეშა ატომურმა ხომალდმა მეტრ-ნახევარი სისქის ყინულის საფარი სინქრონულად ამოამტვრია და სამასი მეტრის რადიუსით ზედაპირზე ამოვიდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ეს უზარმაზარი ატომური ხომალდები თითქოს ყინულზე ცეკვავენო... ეს მოხდა კომპლექსური ექსპედიციის (2021) ფარგლებში ფრანც-იოსების არქიპელაგის რაიონში. პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ ამ მოვლენას ანალოგი არ ჰქონია და გასცა განკარგულება, გააგრძელონ უკიდურესი ჩრდილოეთის ათვისება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის უსაფრთხოება.

**ვ.კ.**

ვაქცინაციის დილემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვიღაც მოვა, გაგვკოჭავს და ძალით გაგვიკეთებს ნემსს, მაგრამ ამ ყველაფრის განხორციელება შეიძლება სხვა ფორმითაც. ეს შეიძლება იყოს დისკომფორტის შექმნა გარკვეულ მომსახურებაში, სამსახურებში, სავაჭრო ცენტრებში, შეზღუდვა გადაადგილებაში“.**



# ალექსანდრე ფალავანდიშვილი: თუ დააკვირდებით, დაშინება, რომ შეიძლება მესამე ტალღა დაიწყოს, კუბოებს ვერ დავითვლით და ა.შ., ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ხოლმე აღდგომას, შობას

## «ფაქტობრივად, აანონსებენ სტრატეგიას, რომლის მიზანიც არის აუცრელთა დისკრიმინაცია და ამ ფორმით იძულება»

**თბილისის ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ, რომელიც ამირან გამყრელიძესა და ჯანდაცვის უწყების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ირწმუნებოდა, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითი იქნებოდა, მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ აცრის მსურველთა დაბალი ინტენსივობის შემთხვევაში, შეიძლება იძულების გარკვეულ ფორმებზე იყოს საუბარი. მისი თქმით, ვაქცინაცია, მიუხედავად მისი თანამდევი რისკებისა, ერთადერთი გამოსავალია არსებული ვითარებიდან, ამიტომ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს აცრის აუცილებლობაში ადამიანების დასარწმუნებლად.**
**იქნება თუ არა საქართველოში ვაქცინაცია იძულებითი, თუ ადამიანები მასობრივად უარს იტყვიან მასზე და, თუკი ეს მოხდება, რა გზა დარჩება საზოგადოებას თავდაცვისთვის? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ მაჟორიტარი დეპუტატობის ყოფილი კანდიდატი, ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელი მიმდინარე „ლიბერალური რეფორმების“ აქტიური მოწინააღმდეგე ალექსანდრე ფალავანდიშვილი.**

**— ბატონო ალექსანდრე, რამდენიმე დღის წინათ ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვაქცინაციის პროცესი მომავალშიც დაბალი ინტენსივობით გაგრძელდება, სახელმწიფომ შეიძლება მოქალაქეთა იძულების გარკვეულ ფორმებზე იფიქროს. ეს, ფაქტობრივად, პირველი საჯარო განცხადება იყო ამ კონტექსტში. აქამდე გვესმოდა, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითია... რეალურად რა გათვლები შეიძლება იყოს მსგავსი რიტორიკის მიღმა და რა ფორმით შეიძლება აიძულოს სახელმწიფომ მოქალაქეები, ვაქცინა გაიკეთონ?**

— დიდი მადლობა, დრო რომ დამითმეთ, ასევე მსურს, განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო თქვენი მკითხველებისადმი. კითხვაზე ასე გიპასუხებთ: დასაწყისისთვის, ვფიქრობ, **აუცილებელია, ყველამ დავგმოთ იძულების ნებისმიერი ფორმა. უკვე არასწორია, როცა რაღაცას ძალით გაკეთებინებენ. მნიშვნელობა არ აქვს, ეს იძულება უკვე ხორციელდება, თუ ჯერ მხოლოდ საუბრის დონეზეა. ამაზე საუბარიც კი მიუღებელია.** ის კი არა, ისეთი ოდიოზური ორგანიზაციაც კი, როგორიც გაეროა, არ ითხოვს ვაქცინაციის იძულებას. **არ ვიცით, კულუარებში რას მოითხოვენ ჩვენი მთავრობისგან და ეპიდემიოლოგებისგან, მაგრამ ფაქტია: საჯარო განცხადებების დონეზე ჯანმო იძულების რეკომენდაციას არ იძლევა.** რაც შეეხება ბატონ ცერცვაძის კონკრეტულ განცხადებას, ძნელი სათქმელია, ეს განცხადება საზოგადოების შესამზადებლად გაკეთდა მომავალში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის თუ სხვა მიზნით, მაგრამ ფაქტია: აქამდე ჩვენ გვესმოდა სულ სხვა რამ, რომ არავითარი ძალდატანება არ იქნებოდა... ისე, თავდაპირველად გაჩნდა მოსაზრება, შეიძლება, ეს წამოცდენა იყოო, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ ეს უფრო შეგნებულად ითქვა. მიზანი, შესაძლოა, ხალხის რეაქციის მოსინჯვა იყო. სხვათა შორის, მერე ინტერნეტში სხვა შეფასებებიც გავრცელდა. მაგალითად, ბატონ **ამირან გამყრელიძის** განცხადება წავიკითხე, რომელშიც ამბობს, რომ აცრილი ადამიანები გარკვეული ფორმით უნდა წახალისდნენ, ხოლო აუცრელ ადამიანებს გარკვეულ ადგილებში შესვლა შეეზღუდოთ. ეს რიტორიკა ბევრ შეკითხვას აჩენს.

**— ხშირად ამბობენ, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საზოგადოების დასარწმუნებლად ვაქცინაციის აუცილებლობაში. ეს „დარწმუნება“ როგორ შეიძლება მოხდეს?**

— რაც შეეხება დარწმუნებას, ვფიქრობ, ამაში საგანგაშო არაფერია, თუ, რა თქმა უნდა, ეს „დარწმუნება“ მოხდება აკადემიური ფორმით და არა აგრესიული პროპაგანდით. პირიქით — ჩვენი სურვილი სწორედ ის არის, რომ ამ საკითხს ნათელი მოეფინოს და გაირკვევს, რა როგორ არის. მაგრამ, მსურს, თქვენი ყურადღება მთავარ დეტალზე გავამახვილო — ბატონი ცერცვაძე დარწმუნებასა და იძულებაზე ერთ წინადადებაში გვესაუბრება, ეს, ფაქტობრივად, საზოგადოების დაცინვაა. **„დამიჯერე, თორემ გაიძულებ!“ — ეს არ არის საუბრის ის ფორმა, რომლითაც მაღალჩინოსანი უნდა ესაუბრებოდეს მოქალაქეებს.** ახლა განვაგრძოთ იძულების თემა. **ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვიღაც მოვა, გაგვკოჭავს და ძალით გაგვიკეთებს ნემსს, მაგრამ ამ ყველაფრის განხორციელება შეიძლება სხვა ფორმითაც. ეს შეიძლება იყოს დისკომფორტის შექმნა გარკვეულ მომსახურებებში, სამსახურებში, სავაჭრო ცენტრებში, შეზღუდვა გადაადგილებაში... სხვათა შორის, ძალიან საინტერესო იყო ამირან გამყრელიძის ამასწინანდელი განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ რესტორნები შეიძლება გარკვეული შეღავათებით მოემსახურონ აცრილ ადამიანებს...** სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი გაძვირდება მათთვის, ვისაც ვაქცინა არ ექნება გაკეთებული. **ფაქტობრივად, აანონსებენ სტრატეგიას, რომლის მიზანიც არის აუცრელთა დისკრიმინაცია და ამ ფორმით იძულება.**

საერთო ჯამში, ვფიქრობ, რომ **ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე — რამდენის უფლებასაც მივცემთ მათ ჩვენ, საზოგადოება, იმდენი გაუვათ.** ამიტომ არის **მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოება იყოს ერთიანი და დისკრიმინაციის პირველივე გამოვლინებაზე გვქონდეს შესაბამისი რეაქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს — მესამე და შეიძლება, საერთოდ, მაღაზიაში შესვლის ან მუშაობის უფლებაც კი წაგვართვან და ულტიმატურად გვგათოვონ...**

**— ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა, რომ შესაძლოა, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების მესამე ტალღა დაიწყოს. ხომ არ ფიქრობთ, რომ მსგავსი განცხადებები გარკვეულწილად ხალხის დასაშინებლად კეთდება?**

— საერთოდ, **თუ დააკვირდებით, ეს დაშინება, რომ შეიძლება მესამე ტალღა დაიწყოს, კუბოებს ვერ დავითვლით და ა.შ., ძალიან საეჭოდ ემთხვევა ხოლმე აღდგომას, შობას...** რაც შეეხება ჯანდაცვის უწყების წარმომადგენლების განცხადებებს, რომ კი, ვაქცინას შეიძლება, თანამდევი უარყოფითი მოვლენები ახასიათებდეს, მაგრამ, თურმე, ფატალური შედეგის საფრთხე მინიმალურია, ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, კორონავირუსით გარდაცვლილი ადამიანების პროცენტული მაჩვენებელიც 1%-ზე ნაკლებია (გერმანიაში ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ 0,34%-ს არ სცდება), და მეორე — ვფიქრობ, ვირუსი, ასეთი მასშტაბით გავრცელების შემთხვევაშიც კი არ უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ეკონომიკა გააჩერო, ჩამოშალო და ქვეყანა, პრაქტიკულად, გაყინო.

**— კონკრეტულად ვაქცინაზე ვისაუბროთ, პირადად თქვენთვის რით არის ის მიუღებელი?**

— რამდენიმე ფაქტორს დავასახელებ: **პირველი** — რის გამოც ჩემთვის ეს პროცესი და კონკრეტულად ვაქცინაცია ეჭვს აჩენს, არის ის, რომ ვაქცინა რეკომენდებულია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, ორგანიზაციისა, რომელმაც მამათმავლობა ნორმად, ხოლო სიყვარული დაავადებად გამოაცხადა; **მეორე** — ცნობილია, რომ ნებისმიერი ვაქცინის შექმნას სჭირდება რამდენიმე წელი, მათ შორის საკმაოდ დიდი დრო სჭირდება მის გამოცდას და ა.შ. ამ პრეპარატებს ეს ყველაფერი არ გაუვლია. ეს ხომ ფაქტია? თუმცა **მესამე** და ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის გამოც ეს პრეპარატები მიუღებელია, არის მათი შემადგენლობა, მათი შექმნის პროცესში დარღვეული ბიოეთიკური საკითხები...

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ **ვაქცინების შექმნაში გამოყენებულია ემბრიონის ბიოლოგიური მასალა. ეს ინფორმაცია აქამდე რაღაც მოარულ ხმასავით იყო, მაგრამ ამას წინათ პაატა იმნაძემ ის ერთ-ერთ გამოსვლაში დაადასტურა. პრეპარატი დამზადებულია აბორტის შედეგად მოკლული მუცლად მყოფი ბავშვის უჯრედოვანი ქსოვილებით, რომლის გამრავლებაც მოხდა კლონირებით, და ამ ქსოვილებში გაზრდილმა ვირუსებმა უნდა იმოქმედოს ანტივირუსად...** ვფიქრობ, ეს ნებისმიერი ქრისტიანისთვის, ნებისმიერი ზნეობრივი ადამიანისთვის უნდა იყოს წითელი ხაზი, ამიტომ არის ასეთი ვაქცინები ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი — **არ მინდა ისეთი ჯანმრთელობა, რომლის დაცვაშიც მოკლული ბავშვის ორგანიზმია გამოყენებული!** თუმცა პაატა იმნაძემ იმავე განცხადებაში თქვა, რომ **არსებობს ჩინური ვაქცინაც, რომლის შექმნაშიც ეს ცოდვიანი მანიპულაციები არ განუხორციელებიათ,** რა თქმა უნდა, მე არც მის გაკეთებას ვაპირებ, მაგრამ ჩინური ვაქცინის მიმართ ისეთივე კატეგორიული დამოკიდებულება, ბუნებრივია, არ მექნება. წმინდა სინოდმაც ხომ ასე განაჩინა: **1. არ უნდა იყოს იძულება და დისკრიმინაცია ამის საბაბით და 2. მკურნალობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქრისტიანულ მორალს.**

**— დასაწყისში თქვით, რომ ვაქცინაციის პროცესში ადამიანების იძულების პირველივე გამოვლინებაზე საზოგადოებას ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონდეს. ხალხმა ასეთ შემთხვევაში რა შეიძლება გააკეთოს?**

— ყოველ შემთხვევაში, „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ იმედი არ უნდა გვქონდეს. ეს კანონი, მოგეხსენებათ, მხოლოდ მაშინ მუშაობს, როცა „ჩაგრული“ უმცირესობებია დასაცავი „მჩაგვრელი“ უმრავლესობისგან. სხვათა შორის, დისკრიმინაცია საკმაოდ უხეში ფორმებით მრევლზე უკვე განხორციელდა შარშან, როცა პირდაპირ გვიშლიდნენ სააღდგომო წირვა-ლოცვაზე დასწრებას, მაგრამ ამაზე ყური არავის შეუბერტყავს... ახლა რა შეიძლება გააკეთოს ხალხმა: **თუ არ გავთიითოკაცდებით და ვიქნებით სოლიდარულები, როცა, ვთქვათ, ვიღაც ექიმს ან მასწავლებელს დაემუქრებიან სამსახურიდან გათავისუფლებით, არ გავჩუმდებით, მაშინ ასე ადვილად ვერ გადაგვივლიან. ეს ძალიან მარტივია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს ერთს გააჩუმებენ, ხვალ — მეორეს და მორჩა.** რაც შეეხება ხელისუფლებას, კონკრეტულად ჯანდაცვის უწყების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საზოგადოებას ნელ-ნელა აპარებენ მოსალოდნელ იძულებით ღონისძიებებს, სიმართლე გითხრათ, არ მგონია, რომ მათ ასე მიზანმიმართულად სურთ ერის განადგურება, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ამ ხალხს ერთ რამეს ვეტყოდი: იმ საკითხზე ნუ იაქტიურებენ, რაც არ იციან დარწმუნებით. **ნუ აიღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას პრეპარატებზე, რომლებსაც სრულყოფილი მეცნიერული კვლევა ჯერ არ გაუვლია. ეს ერთი. მეორე — ნუ შევლენ საზოგადოებასთან კონფრონტაციაში, თორემ ეს, უწინარესად, მათთვის იქნება დამაზიანებელი. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება და ყველამ ყოველგვარი იძულების გარეშე თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ჩაიტარებს თუ არა ვაქცინაციას.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> **«არ ვიცით, კულუარებში რას მოითხოვენ ჩვენი მთავრობისგან და ეპიდემიოლოგებისგან, მაგრამ ფაქტია: საჯარო განცხადებების დონეზე ჯანმო იძულების რეკომენდაციას არ იძლევა»**

სახელმწიფოებრიობანას თამაში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩინურ ვაქცინას რომ შემოიტანენ თავისი საიდუმლო დოკუმენტაციით, პარლამენტარები, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები და ელჩები აცრან საჯაროდ, მერე კი ხალხს მოუწოდონ, გაიკეთეთო. კარგი, დანარჩენებს შევეშვათ, 90 პარლამენტარიდან 20 მაინც გვანახეთ, რომელიც ჩინური ვაქცინის გაკეთებას გარისკავს. ვერ იპოვით, არავინ შეირჭობს იმ ნემსს, რომელმაც, შესაძლოა, ფატალური შედეგი გამოიწვიოს და ეს ყველაზე კარგად სწორედ ხელისუფლებაში იციან.**

# ხელისუფლებავ, გამოაქვეყნეთ ჩინური ვაქცინის ოფიციალური ფასი და ისიც, რამდენს ვიხდით ჩვენ!

**ყოველგვარი შესავლისა და წინათქმის გარეშე — ჩინური ვაქცინა შემოგვაქვს, თანაც სრულიად საიდუმლოდ. პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მიმდინარე წლის 15 მარტის №379 განკარგულებაში წერია: „ამ განკარგულებაზე თანდართული მასალები (მათ შორის, განმარტებითი ბარათი) მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად“. არანაკლებ საინტერესოა ამ განკარგულების მეოთხე მუხლი: „დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ განკარგულების ფარგლებში მოწონებული შეთანხმების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება; ამასთანავე, შეთანხმების ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან შეთანხმების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება გადაწყდეს შეთანხმების მხარეთა შორის, საქართველოს მთავრობასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე“.**




თქვენი აზრით, რას ნიშნავს პრემიერმინისტრის განკარგულების ეს ორი პუნქტი? რამდენს ვიხდით ჩინურ ვაქცინაში, საიდუმლოა და უკვე ისიც საიდუმლოა, რაზე შეთანხმდება ჯანდაცვის უწყება, მით უმეტეს, ეს სამინისტრო მთავრობასთან შემდეგი კონსულტაციებისგან თავისუფალია და შეუძლია, რამდენიც სურს, იმდენი გადაიხადოს, ფასშიც შეიტანოს კორექტივები და პირობაშიც. მანამდე კი ის კანონიც მივიღეთ, რომელიც მწარმოებელს ვაქცინის უკუჩვენებებზე პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ხელი დაიბანა.

მარტივად აგიხსნით, როგორ კეთდება ფული ჩვენს ხარჯზე. მთავრობა ვერ დაასაბუთებს, რატომ არის საიდუმლო ვაქცინის შესყიდვა და ფასი. ეს არ არის საბრძოლო იარაღი, არ არის ატომური ბომბისთვის საჭირო მასალა. ეს არის ვაქცინა, რომლის საბაზრო ფასიც, საზოგადოდ, ყველასთვის ცნობილია. თუმცა, როცა ვაქცინის საბაზრო ფასი იცი და შეიტყობ, რომ საქართველო ამ ფასზე ორჯერ ან სამჯერ მეტს იხდის, გაგიჩნდება ლოგიკური კითხვა — **რატომ?** სავარაუდოდ, ეს კითხვა მთავრობაში ბევრს გაუჩნდება და ამიტომ **მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო გადაწყვეტს ნებისმიერ შესასწორებელ საკითხს, ანუ რამდენად უნდა იყიდოს, ვთქვათ, 20 დოლარად ღირებული ვაქცინა და ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, რეალურად რა თანხა გადავიხადეთ ჩინურ ვაქცინაში.**

რაც შეეხება კონკრეტულად ამ ვაქცინის ხარისხსა და საიმედოობას, **ჩინური „სინოფარმა“ გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა შეისყიდა და აღმოჩნდა, რომ ორი დოზით აცრის შემდეგ ადამიანების მცირე რაოდენობას მოუწია ვაქცინის მესამე გამაძლიერებელი დოზის მიღება, რადგან ორმა რეკომენდებულმა დოზამ საკმარისი იმუნიტეტი არ გამოიმუშავა.** კლინიკური კვლევები შეწყდა მას შემდეგ, რაც გამოვლინდა ძლიერი თანამდევი უარყოფითი რეაქციები. სამწუხაროდ, მონაცემები, რომელი უარყოფითი მოვლენები განვითარდა, არ არის ცნობილი. არადა, ყველა სხვა ვაქცინის უარყოფითი თანამდევი მოვლენების შესახებ არის ინფორმაცია. არც ერთი უარყოფითი მოვლენის შემთხვევა არ არის აღწერილი ამ ვაქცინის გარშემო. გამოდის, ვაქცინას, რომლის 100 ათასი დოზა შემოვა, აქვს უარყოფითი თანამდევი მოვლენები, მაგრამ არ გვეუბნებიან. ცოტა შორს წავიდეთ. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, ფასები კალმახა სოკოსავით იზრდება, ლარი ყოველდღიურად უფასურდება. სწორედ ამიტომ ძალიან დიდია სტიქიური, მშიერი ბუნტის საფრთხე. თუ გახსოვთ, თავის დროზე იტალიაში დიასახლისები გამოვიდნენ ქუჩაში, ხელში ცარიელი ქვაბები ეჭირათ და კოვზებს უბრახუნებდნენ. ამით ხელისუფლებას მიანიშნებდნენ, გვშიაო. იტალიელ ქალთა იმჟამინდელი პროტესტი ქვაბების რევოლუციად მოინათლა. სწორედ სოციალური ფონის სათავისოდ გამოყენება სურს ოპოზიციას (მოდი, შევთანხმდეთ, სადაც ოპოზიციას ვახსენებთ, იქ „ნაციონალურ მოძრაობას“ ვგულისხმობთ, რადგან დანარჩენი პარტიები ნაცების დაკრულზე ცეკვავენ). უკვე არაერთხელ გაისმა მოწოდება, რომ მოსახლეობა ქუჩაში არა ოპოზიციის მხარდასაჭერად, არამედ სოციალური ფონის გამო უნდა გამოვიდეს. **სოციალური აფეთქების ეშინია ხელისუფლებას და ამიტომ შეფარვით თუ პირდაპირ უკვე დაიწყო საუბარი იმაზე, რომ აპრილში რეგულაციები ისევ გამკაცრდება და ისევ ჩავიკეტებით. მთავრობა მორიგი კარანტინის დაწესებით ცდილობს ხალხის ყურადღების გადატანას და იზოლაციითა და სახლებში გამოკეტვით მშიერი ბუნტის თავიდან აცილებას, სულ ცოტა — მასშტაბის შემცირებას.** „ხაზს ვუსვამ, მესამე ტალღის ალბათობა და რეალური რისკი არსებობს და მოსახლეობას მაქსიმალურად უნდა მივცეთ ამის შესახებ ინფორმაცია. აცრა ინფექციის ცირკულაციის შემცირებაზე სწრაფ ეფექტს არ მოგვცემს, ამიტომ სასურველი იქნება, დავიცვათ ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებზეც ვსაუბრობთ. პირბადის ტარების მაჩვენებელი ახლა 43 პროცენტზეა ჩამოსული, 50 პროცენტის ქვემოთ უკვე საგანგაშოდ ითვლება. 90 პროცენტის ფარგლებში თუ გვექნება, მაშინ შეიძლება, მესამე ტალღას ავცდეთ. პირბადესთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს თავყრილობების პრევენციას, დისტანციისა და ჰიგიენური ნორმების დაცვას“, — განაცხადა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **ამირან გამყრელიძემ.** როგორ გგონით, რას მოასწავებს „საგანგაშო მაჩვენებელი“? ჰოდა, ამ პირობებში ცოტა სასაცილოდ ჩანს, როგორ ცდილობს ხელისუფლება, მთავარ მაშველ რგოლად ნამოხვანჰესის მშენებლობის დაწყება აქციოს. დაიწყო საუბრები ეკონომიკური აღორძინების გეგმაზე და პირდაპირი მინიშნება, რომ ამისკენ მისასვლელი გზა სწორედ ნამოხვანჰესზე გადის. ფაქტია ისიც, რომ პრემიერის შეცვლამ ქვეყანაში რეალურად არაფერი შეცვალა. ერთი ეგაა, **ხალხი იმით გაართეს, გიორგი გახარია პოლიტიკაში დაბრუნდება, ნანატრ მესამე ძალას შექმნისო.** დავუშვათ, შეიქმნა ეს მესამე ძალა, მერე? დაბრუნდა გახარია პრემიერად და რა გამოვა? გახარია არ იყო, დავოსის ეკონომიკური ფორუმის წინ, მისი და **ვლადიმირ პუტინის** შეხვედრის შესაძლებლობას რომ განიხილავდნენ და დასავლეთმა აიძულა ჩვენი პრემიერი, სიტყვით გამოსულიყო და რუსეთი გაეკრიტიკებინა? შეხვედრა ჩაიშალა, გახარია აღმოჩნდა ერთადერთი ლიდერი, რომელმაც რუსეთი გააკრიტიკა, დანარჩენებმა კი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ეკონომიკური ურთიერთობები განიხილეს, სამომავლო გეგმები დააწყვეს და ფორუმი იმისთვის გამოიყენეს, რისთვისაც რეალურად იმართება. გამოდის, **გახარიაც, ღარიბაშვილიც და ღარიბაშვილის შემცვლელიც, ვინც უნდა იყოს ის, აუცილებლად იმას გააკეთებს, რასაც დასავლეთი უბრძანებს. აქამდე რომ მივედით, გახარიას ბრალი და წვლილი არაფერია? თუ თვალის ჩაპაჭუნებით ეშველება ქვეყანას? შეცვალა რამე საგარეო ან საშინაო კურსში ღარიბაშვილმა?** არა და ვერა. და ასე იქნება მანამ, სანამ დასავლეთის დაკრულზე ვივლით. „ასტრაზენეკასა“ და „ფაიზერის“ გასაღებას დასავლეთი ითხოვს, **ჩინური ვაქცინა ადგილობრივებს სჭირდებათ ფულის გასაკეთებლად. სხვაგვარად როგორ შეიძლება, გარისკო და იყიდო წამალი, რომლის უარყოფით თანამდევ მოვლენებს მალავენ?** მთავრობის ნებისმიერმა წარმომადგენელმა აგვიხსნას, რატომ დაედო ჩინური ვაქცინის ფასს გრიფი „საიდუმლო“, როცა ყველა ქვეყნის ოფიციოზი სოციალურ ქსელებშიც კი წერს, რა უჯდება ქვეყანას ვაქცინის შეძენა? პირდაპირ გეუბნებით, ბატონებო: **ამ გზით „ატკატს“ აკეთებთ და, თუ ასე არ არის, ჩინური ვაქცინის ოფიციალური ფასი გამოაქვეყნეთ და ისიც, რამდენს ვიხდით ჩვენ.** სამწუხაროდ, საქართველოს პირველი პირების მთავარი მოვალეობა ევროკავშირზე სწორება და მისი დირექტივების უსიტყვო შესრულებაა. ესაა სწორედ ჩვენი ეკონომიკის დაცემის თავიდათავი. მდგომარეობას უფრო აუარესებენ ხელოვნური კარანტინებით, რომელთა შემოღების მოთხოვნა ისევ ევროკავშირიდან და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან მოდის. **კორონავირუსის სწრაფად დამარცხება თუ გნებავთ, აგერაა რუსული „სპუტნიკ V“, მოილაპარაკონ რუსეთთან, ერთ კვირაში მოგვაწვდიან საჭირო დოზას, არც ფასს დამალავენ, უფრო მეტიც, წარმოების აწყობაც კი შეგვიძლია აქ, ჩვენვე რომ ვაწარმოოთ, უფრო იაფი რომ დაგვიჯდეს. მაგრამ, ამის უფლებას დასავლეთი არ გვაძლევს და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ რუსულ ვაქცინაზე კონკრეტული პირები ხელს ვერ მოითბობენ. ვაქცინის ფასი ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება რუსულ ვებგვერდებზე და ვერ მოიტყუებიან, ვერ „დაატკატებენ“.** ზუსტად ვიცით, რომ კომენდანტის საათს კიდევ კარგა ხანს არ გააუქმებენ. არადა, ორიოდე თვეში, საღამოს 21:00 საათზე მზეც არ იქნება ჩასული და ამ დროს სახლში გამოკეტილი ადამიანი რა დღეში ჩავარდება, ხომ ხვდებით? თუმცა, **ხელისუფლებას არც ეს ადარდებს, მისთვის მთავარია, სოციალური აფეთქება არ მოხდეს და ამ მიმართულებით ბოლომდე ვერც ოპოზიცია „ჭედავს“, იმიტომ, რომ მათაც ესმით, სოციალური აფეთქების შემთხვევაში მშიერი ხალხი, მხოლოდ ხელისუფლებას კი არა, მათაც გადაუვლის, არც მათ დაინდობს და ამიტომ ნელ-ნელა ცდილობენ, შეაპარონ, ცდილობენ, ხელი შეუწყონ იმას, რომ კუჭით უკბინოს ხალხმა მმართველ გუნდს. ჰოდა, სანამ პოლიტიკოსები სახელმწიფოებრიობანას თამაშობენ, მანამდე ხალხს შიმშილით სული ძვრება და ისე ჩანს, ჩინური ვაქცინა „სულის გაძრობაში“ წაგვეშველება,** მოდი, ასე მოვიქცეთ: ჩინურ ვაქცინას რომ შემოიტანენ თავისი საიდუმლო დოკუმენტაციით, პარლამენტარები, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები და ელჩები აცრან საჯაროდ, მერე კი ხალხს მოუწოდონ, გაიკეთეთო. კარგი, დანარჩენებს შევეშვათ, 90 პარლამენტარიდან 20 მაინც გვანახეთ, რომელიც ჩინური ვაქცინის გაკეთებას გარისკავს. ვერ იპოვით, არავინ შეირჭობს იმ ნემსს, რომელმაც, შესაძლოა, ფატალური შედეგი გამოიწვიოს და ეს ყველაზე კარგად სწორედ ხელისუფლებაში იციან.

**კორონავირუსის სწრაფად დამარცხება თუ გნებავთ, აგერაა რუსული «სპუტნიკ V», მოილაპარაკონ რუსეთთან, ერთ კვირაში მოგვაწვდიან საჭირო დოზას, არც ფასს დამალავენ, უფრო მეტიც, წარმოების აწყობაც კი შეგვიძლია აქ, ჩვენვე რომ ვაწარმოოთ, უფრო იაფი რომ დაგვიჯდეს. მაგრამ ამის უფლებას დასავლეთი არ გვაძლევს და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ რუსულ ვაქცინაზე კონკრეტული პირები ხელს ვერ მოითბობენ. ვაქცინის ფასი ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება რუსულ ვებგვერდებზე და ვერ მოიტყუებიან, ვერ «დაატკატებენ»**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. 2021 წლის 28 იანვარს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლითაც ვაქცინის მწარმოებელი გათავისუფლდა ვაქცინით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობისაგან. ამ კანონის 45-ე მუხლში ვკითხულობთ: „პანდემიასთან, ეპიდემიასთან დაკავშირებით ახალი კორონავირუსით (SARS-CoV) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრისთვის ან მკურნალობისთვის განკუთვნილი იმ ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტის განხორციელებისას, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ან მის მიერ აღიარებულმა მკაცრმა მარეგულირებელმა ორგანომ (SRA) მიანიჭა გამოყენების ავტორიზაცია ან არაკვალიფიკაცია, ამ ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენებით შესაძლო ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია:**

**ა) იმპორტიორის მიერ დაშვებული შეცდომით; ბ) სამედიცინო პერსონალის ან სამედიცინო დაწესებულების მიერ დაშვებული შეცდომით; გ) ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებლის მიერ, როდესაც მწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მის პასუხისმგებლობას“.**

ტერორიზმი დემოკრატიის სახელით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**72 დღის განმავლობაში ნატოს ავიაციამ 2300-ჯერ დაბომბა 995 ობიექტი; იუგოსლავიის ტერიტორიისკენ გაუშვა 3 ათასზე მეტი ფრთოსანი რაკეტა, ჩამოყარა 25 ათასი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება, მათ შორის აკრძალული საბრძოლო მასალის სახეობები: 152 კონტეინერი 35 450 კასეტური ბომბით, გრაფიტო-ელექტრომაგნიტურმუხტიანი ჭურვებითა და გაუმდიდრებელი ურანით.**

# დანაშაული და სასჯელი

## დასავლეთის ინტერვენციის შედეგები იუგოსლავიაში

**ოთხშაბათს (მართლმადიდებლური კალენდრით — დიდ ოთხშაბათს), 1989 წლის 24 მარტს, 20 საათზე, იუგოსლავიის არმიის გენერალურმა შტაბმა განაცხადა, რომ დაიწყო ნატოს აგრესია. 15 წუთის შემდეგ ბელგრადში, პოდგორნიცასა და იუგოსლავიის სხვა დიდ ქალაქებში გაისმა სირენების გამაყრუებელი ხმა, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.**

72 დღის განმავლობაში ნატოს ავიაციამ 2300-ჯერ დაბომბა 995 ობიექტი. იუგოსლავიის ტერიტორიისკენ გაუშვა 3 ათასზე მეტი ფრთოსანი რაკეტა, ჩამოყარა 25 ათასი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება, მათ შორის აკრძალული საბრძოლო მასალის სახეობები: 152 კონტეინერი 35 450 კასეტური ბომბით, გრაფიტო-ელექტრომაგნიტურმუხტიანი ჭურვებითა და გაუმდიდრებელი ურანით.

ნატომ ევროპის ცენტრში გააჩაღა სამარცხვინო ომი, რომელმაც უზარმაზარი მსხვერპლი გამოიწვია იუგოსლავიის მოსახლეობაში, გააპარტახა ქვეყნის ეკონომიკა, მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტი და მსოფლიო პოლიტიკა. მას შემდეგ მოიმატა კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაწყვეტის შემთხვევებმა, სერიოზულად დაზიანდა საერთაშორისო სამართალი. **ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის შემდეგ „დასავლეთის ნებისმიერი მსჯელობა ვინმეს მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების, სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების დარღვევის საკითხებზე განხილული უნდა იყოს, როგორც ფარისევლობა.**

დასავლეთში ცდილობენ, საუკეთესო შემთხვევაში, ახსნან, უარესში — გაამართლონ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აგრესია, მაგრამ ბოლო პერიოდში იქაც გაჩნდა 1999 წლის მოვლენების ობიექტური შეფასებები. მაგალითად, ჩეხეთის პრეზიდენტმა **მილოშ ზემანმა** პასუხად ნატოს გენმდივან **იენს სტოლტენბერგის** განცხადებისა, რომ იუგოსლავია **სლობოდან მილოშევიჩის** რეჟიმისგან მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით დაიბომბა, ალიანსის მოქმედებას ევროპული სუვერენული სახელმწიფოს მიმართ აგრესია და გამოუსწორებელი შეცდომა უწოდა.

ასეთ შეფასებებს აგრესიის ეფექტი სააშკარაოზე გამოაქვს. **ოპერაცია „სამოკავშირეო ძალამ“ ხავიერ სოლანას ხელმძღვანელობით უარყოფითი გავლენა იქონია ევროპული სახელმწიფოების ურთიერთობების განვითარებაზე. რაც შეეხება ნატოს ბლოკს, იუგოსლავიაზე 1999 წლის შეტევის შემდეგ ის საბოლოოდ გარდაიქმნა საერთაშორისო მშვიდობის მთავარ საფრთხედ.**

საინტერესოა იტალიელი გენერლის, 2002-2003 წლებში კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელის, **ფაბიო მინის,** შეფასება. მისი აზრით, ნატო აშშ-ის ინტერესების დაცვის ინსტრუმენტია და მეტი არაფერი. **„არსობრივად, ეს არის სააგენტო, რომელიც მომსახურებას გთავაზობთ. ალიანსი უკვე აღარ არის ის, რაც იყო 1949 წელს. ახლა ის გაქირავების კომპანიას უფრო ჰგავს: თქვენ იხდით და იღებთ ნატოს წევრი სახელმწიფოების მომსახურებას, რომლებიც დათანხმდნენ იმაზე, რომ დამოუკიდებლად არ გააკონტროლებენ ბლოკის საქმიანობას და იქნებიან მრავალეროვანი კორპორაციის ნაწილი. ასეთი მომსახურება დღეს ხელმისაწვდომია მათთვის, ვინც იხდის, თუმცა ეს, როგორც წესი, ეხება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს — აშშ-ის — ინტერესებს“.**

**იუგოსლავიის წინააღმდეგ მიმართულ ნატოს საჰაერო კომპანიაში აშშ-ის** (საბრძოლო ფრენების 60%, საბრძოლო თვითმფრინავების 55%, ფრთოსანი რაკეტების 95%-ზე მეტი, იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩაყრილი ბომბების 80%, სადაზვერვო თვითმფრინავებისა და უპილოტო საფრენი აპარატების 60%, 25-დან 24 სადაზვერვო კოსმოსური თანამგზავრი) **გარდა მონაწილეობდნენ: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, თურქეთი, საფრანგეთი, გერმანია, ალბანეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, მაკედონია, რუმინეთი.** ამ ქვეყნებმა თავიანთი საჰაერო სივრცე და ტერიტორია ნატოს ბლოკის სამხედრო ძალებს დაუთმეს საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად. ასეთი რამ ისტორიაში არ მომხდარა. ამუშავდა ბალკანური „ბოროტების სინდრომი“, როდესაც მთავრობები თავიანთ წინსვლასა და „აყვავებას“ მეზობლების დამარცხებაში ხედავენ. **ევროპაში მხოლოდ ავსტრიამ თქვა უარი თავისი საჰაერო სივრცის ნატოსთვის დათმობაზე, შვეიცარიამ კი შეზღუდვები დააწესა ნატოს ქვეყნებისთვის იარაღის მიწოდებაზე.**

საინტერესოა, რომ 1999 წლის ოქტომბერში ცნობილი ტელეჟურნალისტის, **ლარი კინგის,** შეკითხვის — **„მოიქცეოდა თუ არა ტრამპი კოსოვოში ისე, როგორც კლინტონი?“,** აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა მოულოდნელად უპასუხა: **„მე ყველაფერს სხვანაირად გავაკეთებდი... ნახეთ, როგორ გაანადგურეს მათ კოსოვო, ნახეთ, რა გავაკეთეთ ჩვენ იმ ქვეყანაში, რა დავმართეთ იქ მცხოვრებ ადამიანებს. ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს დანაკარგები არ გვქონია, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ზევით ვიყავით, თვითმფრინავებში... მე არ მიმაჩნია ეს წარმატებად. მათ სასტიკად დაბომბეს ქვეყანა (იუგოსლავია) და მთელი ოლქი (კოსოვო)“.**



**ნატომ ევროპის ცენტრში გააჩაღა სამარცხვინო ომი, რომელმაც უზარმაზარი მსხვერპლი გამოიწვია იუგოსლავიის მოსახლეობაში, გააპარტახა ქვეყნის ეკონომიკა, მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტი და მსოფლიო პოლიტიკა. მას შემდეგ მოიმატა კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაწყვეტის შემთხვევებმა, სერიოზულად დაზიანდა საერთაშორისო სამართალი**



ნატოს აგრესიაში ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ ევროპელები. ისინი იოლად დაჰყვნენ ვაშინგტონის პროპაგანდას და არა მხოლოდ დადგნენ ფარისევლური „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ დროშის ქვეშ, არამედ პირდაპირ აქეზებდნენ აგრესიას.

შედეგად, **აშშ-მა ევროკავშირის ქვეყნებს დააკისრა დაბომბვით დანგრეული იუგოსლავიის ინფრასტრუქტურის აღდგენა და აიძულა ისინი, სამხედრო ხარჯები გაეზარდათ. თანაც, ეს იმ ფონზე, როცა ევროპელებს შეექმნათ უამრავი პრობლემა უკონტროლო მიგრაციის, მათ შორის ბალკანეთის მარშრუტის გამო.** ევროპელი ლიდერები დღეს უკანა რიცხვით ცდილობენ თავიანთი სამარცხვინო მოქმედებების გამართლებას. მაგალითად, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჰეიკო მაასი** საზოგადოებას არწმუნებს, რომ იუგოსლავიის დაბომბვა იყო „მართებული“.

თანამედროვე პოლიტიკის ტრანსფორმაცია ჰიბრიდული ომების გაშლისკენ რადიკალური მოძრაობების მატება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოითხოვს არა მხოლოდ 22 წლისწინანდელი მოვლენების ერთმნიშვნელოვან შეფასებას, არამედ აგრესიის დაუსჯელობით გამოწვეული შედეგების ანალიზსაც.

**აგრესორებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩადენილი დანაშაულის გამო აუცილებლად დაისჯებიან. ეს სასჯელი შეიძლება გამოვლინდეს არა მხოლოდ მოსამართლის წინაშე წარდგომაში, არამედ საერთაშორისო კრიმინალის მიერ სახელმწიფო სტრუქტურების შთანთქმაში, დაუნდობელ ტერორისტულ შეტევებში, უკონტროლო მიგრაციის ნაკადებში, დიდი ადამიანური მასების ცნობიერების მუტაციაში.** მართალი იყო ფრანგი გენერალი **ჟან-ფრანსუა ობარი**, როდესაც განაცხადა: **„ევროპა მოკვდა პრიშტინაში“.** სერბების წინააღმდეგ ჩადენილმა დანაშაულმა და უსამართლობამ ოდესღაც ქრისტიანულ ევროპაში, რომელსაც ადრე პეტრე მოციქულის ევროპას უწოდებდნენ, გამოძახილი ჰპოვა გარკვეული თვალსაზრისით გამოუსწორებელ შედეგებში. სასჯელი უკვე აღსრულდა — ქრისტიანული ევროპა, ისევე, როგორც დიადი ამერიკა, აღარ არსებობს.





**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

2020 საფინანსო წელს (დასრულდა 30 სექტემბერს) დეფიციტმა 3-ჯერ მოიმატა — 3,1 ტრილიონ დოლარამდე. როცა სრულად დაითვლიან კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეულ ყველა ხარჯს, დეფიციტი 4 ტრილიონს მიაღწევს. და ასეთ შემთხვევაში ვალის კიდევ აღება აუცილებელი იქნება. ექსპერტთა აზრით, პანდემიის შემდეგ, ეკონომიკის ნელა აღდგენის შემთხვევაში, 2025 წელს აშშ-ის სახელმწიფრო ვალი მშპ-ს 117%-ს მიაღწევს.

კრიზისის შედეგი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრიტიკული დონე: აშშ-ის სახელმწიფო ვალმა 28 ტრილიონს მიაღწია




**პანდემიასთან ბრძოლაში აშშ-ის ხელისუფლებამ უზარმაზარი თანხა დახარჯა და აშშ-ის სახელმწიფო ვალმა 28 ტრილიონ დოლარს მიაღწია. ეს ქვეყნის მშპ-ზე მეტია.**

## ვალების ორმო

ამერიკის შეერთებული შტატების ჩაფლობა ვალებში 2008 წლის კრიზისის პერიოდიდან დაიწყო. **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდში ვალმა 9 ტრილიონით მოიმატა, **დონალდ ტრამპის** პერიოდში — კიდევ 7 ტრილიონით. 2018 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალი მშპ-ს 78%-ს შეადგენდა. ამ დონეს მსოფლიო ბანკი სახიფათოს უწოდებს. **პროგნოზების მიხედვით, აშშ-ის სახელმწიფო ვალს ქვეყნის ეკონომიკის ზომისთვის 10 წლის შემდეგ უნდა გადაეჭარბებინა, მაგრამ ეს გაცილებით ადრე მოხდა, პანდემიის პერიოდში ეროვნული მეურნეობებისთვის გაწეული დახმარების გამო.** ექსპერტთა გათვლებით, ხელისუფლებამ აშშ-ის ეკონომიკაში თითქმის 9 ტრილიონი დოლარი ჩადო და აი შედეგიც: სახელმწიფო ვალმა 28 ტრილიონ დოლარს მიაღწია, ე.ი. მთლიანი შიდა პროდუქტის 101%-ს. მსგავსი რამ მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — 1946 წელს (106%).

ფედერალური სარეზერვო ფონდის ხელმძღვანელი **ჯერომ პაუელი**, როგორც ჩანს, ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.

„პანდემიის პერიოდში ვალების აღებამ ხიდი გადო ეკონომიკური უფსკრულის თავზე — კარანტინების, სამომხმარებლო ხარჯების დაცემის, ცარიელი სასტუმროებისა და მილიონობით უმუშევრის. იაფმა კრედიტებმა საშუალება მისცა ბიზნესს, გადაეხადა ფული თანამშრომლებისთვის და არ გაეთავისუფლებინა ისინი. ვალით, აგრეთვე, გაიცა დახმარებები სამსახურიდან დათხოვნილთათვის, რათა მათ ეყიდათ საკვები“, — განაცხადა პაუელმა.

ფინანსთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელის, **ლარი სამერსის,** აზრით კი, ეკონომიკის სტიმულირება ჭარბი იყო: „პოლიტიკოსებმა კორონავირუსთან ბრძოლაში ტრილიონები ჩადეს, მაგრამ ბიუჯეტში შემოსავლების შემცირებას არავინ შეუშფოთებია“.

## უფრო მეტი

რადგან ხაზინის შევსება ვერ ხერხდება, კიდევ უფრო მეტი ვალის აღებაა საჭირო: **ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი, ძირითადად, სახელმწიფო ობლიგაციების რეალიზაციის ხარჯზე იფარება.**

2020 საფინანსო წელს (დასრულდა 30 სექტემბერს) დეფიციტმა 3-ჯერ მოიმატა — 3,1 ტრილიონ დოლარამდე. ხოლო, როცა სრულად დაითვლიან კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეულ ყველა ხარჯს, დეფიციტი 4 ტრილიონს მიაღწევს. ასეთ შემთხვევაში ვალის კიდევ აღება აუცილებელი იქნება.

ექსპერტთა აზრით, პანდემიის შემდეგ, ეკონომიკის ნელა აღდგენის შემთხვევაში, 2025 წელს აშშ-ის სახელმწიფრო ვალი მშპ-ს 117%-ს მიაღწევს. ჯერჯერობით ეს არ აშფოთებს ინვესტორებს და ხელს არ უშლის აშშ-ს, კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლოს ვალებში — ეს იაფი უჯდება.

„მთავრობა ბეჭდავს ხაზინის ფასიან ქაღალდებს — ვექსილებსა და ობლიგაციებს — დაფარვის სხვადასხვა ვადით. ბაზარი კი, ფაქტობრივად, შეუზღუდავია, რადგან ეს ყველაზე უსაფრთხო აქტივებად ითვლება“, — წერს The Wall Street Journal-ი.

## რა მოხდება მომავალში

ფინანსურ ჰოლდინგ JP Morgan Asset Managment-ში განმარტავენ, რომ მნიშვნელოვანია არა თვით ვალი, არამედ მისი მომსახურება.

**„მიუხედავად ვალის მკვეთრად მატებისა, ახლა სავალო ვალდებულებების მომსახურება გაცილებით იაფია, ვიდრე, მაგალითად, 1990-იანი წლების შუაში და 2000-იანების დასაწყისში იყო, როცა ვალი მშპ-ს 50%-ზე ნაკლებს შეადგენდა, ხოლო მთავრობა არაოფიციალური ბიუჯეტით მუშაობდა“,** — წერენ ბანკის ანალიტიკოსები.

ექსპერტთა აზრით, ადრე თუ გვიან, ინვესტორები დაკარგავენ რწმენას, რომ აშშ-ის მთავრობა შეძლებს ვალების გასტუმრებას, ამიტომ დაიწყებენ ფასიანი ქაღალდების გაყიდვას და მოითხოვენ მაღალი საპროცენტო განაკვეთების დაწესებას. ამას კი სერიოზული ეკონომიკური შედეგი ექნება. **საპროცენტო განაკვეთების მომატება შეამცირებს გაუნაღდებელი სახელმწიფო ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას. შედეგად, ბევრი ფინანსური დაწესებულება — საინვესტიციო და საპენსიო ფონდები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა ორგანიზაციები დაზარალდებიან. ყველაფერი დასრულდება გაკოტრებითა და მორიგი ფინანსური კრიზისით.**

ru.sputnik.md-ზე
გამოქვეყნებული მასალის
მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

**პროგნოზების მიხედვით, აშშ-ის სახელმწიფო ვალს ქვეყნის ეკონომიკის ზომისთვის 10 წლის შემდეგ უნდა გადაეჭარბებინა, მაგრამ ეს გაცილებით ადრე მოხდა, პანდემიის პერიოდში ეროვნული მეურნეობებისთვის გაწეული დახმარების გამო. ექსპერტთა გათვლებით, ხელისუფლებამ აშშ-ის ეკონომიკაში თითქმის 9 ტრილიონი დოლარი ჩადო და აი შედეგიც: სახელმწიფო ვალმა 28 ტრილიონ დოლარს მიაღწია, ე.ი. მთლიანი შიდა პროდუქტის 101%-ს. მსგავსი რამ მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — 1946 წელს (106%)**







# ბანკთაშორისი სისტემა SWIFT-ი რუსეთსა და ჩინეთს აღარ აინტერესებს

**აშშ-სა და ჩინეთს შორის ორდღიანმა უნაყოფო მოლაპარაკებებმა აჩვენა, რომ ვაშინგტონი შეხების წერტილებს კი არ ეძებს, არამედ თავისი მოჩვენებითი მსოფლიო ჰეგემონობით ლამობს, პეკინი ფინანსურ წნეხში მოაქციოს. ვაშინგტონს არ სურს, აღიაროს, რომ რუსეთი, ისევე, როგორც ჩინეთი, დიდი ხანია, წამყვან პოზიციებზე არიან მსოფლიოში. აშშ კი აშკარად არ შეესაბამება მის მიერვე გამოცხადებულ კატეგორია „ზე“-ს.**

თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ პეკინსა და მოსკოვზე ზემოქმედების გაგრძელების შესაძლებლობები, პრაქტიკულად, ამოწურა, ურთიერთშორის საქონელბრუნვა თითქმის შეჩერებულია. ეს კი ნიშნავს, რომ ამერიკელები ახალი შეზღუდვების დაწესებას საბაზისო საერთაშორისო ფინანსური მექანიზმების გამოყენებით უნდა შეეცადონ.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარტყმა იქნება ბანკთაშორისი საგადასახადო სისტემა SWIFt-იდან რუსეთის ფედერაციის საბანკო სისტემის გათიშვა. ამ საფრთხეს აცნობიერებს რუსეთის მთავრობა. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა **ვლადიმერ პესკოვმა** ისაუბრა. მისი განცხადებით, კრემლში კარგად ხედავენ ოპონენტების უპროგნოზო და იმპულსურ ქმედებებს და ფრთხილად არიან. რადგან ეს საფრთხე კარგა ხნის წინათ შეიქმნა, **რუსეთის ბანკი უკვე 2014 წლიდან მუშაობს SWIFT-ის საკუთარ ანალოგზე — ფინანსური ინფორმაციის გადაცემის სისტემაზე. გასული წლის დასაწყისში რუსულ სისტემაში რეგისტრირებული იყო 391 მონაწილე, რომლებმაც წლის განმავლობაში 12,9 მლნ ფინანსური ინფორმაცია გადასცეს.**

რუსეთის ბანკის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **ოლგა სკოროზოგატოვას,** თქმით, SWIFT-ის რუსულ ანალოგს უკვე იყენებენ 23 ქვეყანაში, მათ შორის, სომხეთში, ბელარუსში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში. სისტემაში ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის 11 ათასი დიდი ფინანსური ორგანიზაცია. ეს, ექსპერტთა აზრით, ნიშნავს, რომ რუსეთი ნელ-ნელა შორდება SWIFT-ს და მალე მას აღარ გამოიყენებს.

Iarex.ru -ზე
გამოქვეყნებული მასალის
მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ პეკინსა და მოსკოვზე ზემოქმედების გაგრძელების შესაძლებლობები, პრაქტიკულად, ამოწურა, ურთიერთშორის საქონელბრუნვა თითქმის შეჩერებულია. ეს კი ნიშნავს, რომ ამერიკელები ახალი შეზღუდვების დაწესებას საბაზისო საერთაშორისო ფინანსური მექანიზმების გამოყენებით უნდა შეეცადონ**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ქართველები აქტიურად მონაწილეობენ რუსეთის მიერ XIX-XX საუკუნეებში თურქეთის წინააღმდეგ გამართულ ყველა ომში და ამ ომებზე გაერთიანების შესაძლებლობის იმედს ამყარებდნენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ.წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი აღტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. საერთო-სახალხო ზეიმით აღინიშნა ბათუმის, არტაანის (არდაგანის) და ართვინის ოლქების დაბრუნება, არზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება. ხალხი ამაში თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა“.

# ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი ისტორიული მიწა-წყალი!

## «თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ»

**ქართველმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ იგი დიდი სტალინის მშობელი ერია. ექვთიმე თაყაიშვილმა 1945 წლის აპრილში, თბილისში გამომგზავრების წინ, გამოსამშვიდობებელ ვახშამზე სადღეგრძელოში აღნიშნა: „მე ვამაყობ, რომ სტალინის მშობელი ერის წარმომადგენელი ვარ. როდესაც ფრანგებს ვეუბნები, რომ სტალინი ქართველია და საქართველოშია დაბადებული, ისინი ეჭვის თვალით მიყურებენ — როგორ შეიძლება ამხელა ბუმბერაზი ადამიანი ამ პატარა ქვეყანამ წარმოშვასო. პარიზში, ცენტრალური ქუჩების გადაკვეთაზე სტალინის ოქროს ბიუსტები უნდა დავდგათო, — მარწმუნებენ პარიზელები“.**

ექვთიმე თაყაიშვილის ფრაზის წაკითხვის ან მოსმენისას ზოგი ცხვირს აიბზუებს და იტყვის: „ვინ იყო სტალინი?! რა გაუკეთა მან საქართველოს? თუ საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია, არავინ და არაფერია სტალინი!“ ამ სიტყვების მთქმელს ვეკითხები: **სად ან რა წაიკითხე სტალინის შესახებ?** შენ არაფერი წაგიკითხავს, არც არაფერი მოგისმენია „რადიო თავისუფლების“ ბჟუტურის გარდა და არაფერი გინახავს ტელეეკრანზე გაურკვეველი სქესის არსებების ბლარძუნის გარდა, რომლებმაც დოლარების გამო სული ეშმაკს მიჰყიდეს...

ახლახან ნამოხვანჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო მიტინგში მონაწილეობისთვის ქუთაისში ჩავედი. ჩემ ნათქვამში ვინმეს ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა, დოკუმენტური მასალაც ჩავიტანე — როგორი დასაბუთებული და მტკიცე უარით გამოისტუმრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივანი **კანდიდ ჩარკვიანი** და **ზაქარია ჩხუბიანიშვილი სტალინმა,** როდესაც მათ ნამოხვანჰესის აშენება სთხოვეს. მიტინგის წამყვანმა საზოგადოებას განუცხადა, რომ მათ პროტესტს მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები. დროში განსხვავების გამო შეიძლება მათი აქცია ჩვენი აქციის ჩატარების დროს არ დაემთხვეს, მაგრამ ისინი ჩვენთან არიან და მიტინგი იქაც ტარდებაო. მეტი იქ არაფერი მომისმენია. სასწრაფოდ ჩავჯექი მანქანაში და თბილისში წამოვედი. გზაში კი ვფიქრობდი: ჩვენი ხელისუფლება და ოპოზიცია — ყველა ერთ მატარებელში ზის და ყველა ნიუ-ორკისკენ მიემართება, ოღონდ ესაა, სხვადასხვა კუპეში სხედან და, **ბესო ჟღენტისა** არ იყოს, ზიანს აყენებენ საქართველოს.

**უცბად გონებაში ამომიტივტივდა სტალინის ოცნება ტაო-კლარჯეთის შესახებ და მყისვე აღვიდგინე დიდი ქართველი მეცნიერების — სიმონ ჯანაშიასა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის — ცნობილი წერილი, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიოს პრესა მოიარა. იქვე ილიაც გამახსენდა თავისი ლექსით „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?! მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი“...**

ახლა კი გავეცნოთ ცნობილ წერილს, რომლის შინაარსიც, რა თქმა უნდა, სტალინს ეკუთვნის, მაგრამ ხელს დიდი ქართველი მეცნიერები აწერენ:

„განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დასრულების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება, როგორც მშვიდობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლების მოყვარე ხალხებს სურთ, დაიკავონ შესაფერისი ადგილი. ისინი ეძიებენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას. ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა, წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები. ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ. საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული. საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს — ჩვენი ძველის-ძველი მიწა-წყლის დაბრუნებას. ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ამ მკვიდრ ტერიტორიაზე — დიდი ტავრიდან მოკიდებული კავკასიამდე, ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადჰყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა — დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის. **ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები, პირველობენ წინა აზიაში. იმ მდინარის დიდ უბეში, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსთვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით — ღალისი (ახლა ყიზილ-ირმაკი), მდინარეების — ტიგროსისა და ევფრატის — აუზების ზემო ნაწილში, ისინი ჰქმნიან სამიწათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს.** ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს ღირსეულად უჭირავს ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის დროშა და ავითარებს ამ ცივილიზაციას. მომთაბარე დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ხალდთა სახელმწიფოს, მაგრამ ქართველი ხალხი პოულობს თავის თავში სასიცოცხლო ძალებს, რათა განუწყვეტლივ განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია ახალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრებში, რომლებიც თანდათანობით ჩრდილოეთისკენ გადადიან. ურარტუს ადგილს იკავებს ქართველი ხალხის ორი ახალი სახელმწიფო — **იბერია** აღმოსავლეთით და **კოლხეთი** დასავლეთით. ამ ახალშექმნილ ანტიკურ ქართულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანულად არიან ამოსულნი საერთო-სახალხო ძირიდან, ჯერ კიდევ უკავიათ ძველი ნაციონალური ტერიტორიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. ძველ ბერძენ ავტორთა სარწმუნო ცნობებით, სასპერთა, ე.ი., იბერთა სახელმწიფო — წინა აზიის ერთი ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგანი, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა წლებში ვრცელდება კალახენასა და ადიბენამდე (**სტრაბონი,** გეოგრაფია, წიგნი 11, თავი 14, && 12,13), ე.ი., მთავარი (აღმოსავლეთი), ტავრის ქედამდე. ძველი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს იბერიას ეკუთვნის პარიადრის მთიანი ოლქი (სტრაბონი, იქვე, წიგნი 11, თავი 14, &5; **პლინიუსი,** ბუნების ისტორია, წ.VI, && 28,29), ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთი სექტორი, ხეთების ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონი. აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს ტიბარანიის სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ღალისის შესართავის აღმოსავლეთით ჯერ კიდევ სტრაბონის დროს. ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს **მითრიდატე პონტოელს,** რომელიც **პომპეუსს** გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუწია ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის ხორძენეხოტენეს მკვიდრ მცხოვრებლებთან (ჰეროდოტე, IV 37, IV 40, I 104, I 110)... მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის, ქართულად — ეგრისის, სამეფოს საზღვრების შესახებაც. ცნობილი ბერძენი მწერალი-მხედართმთავარი **ქსენოფონტე,** რომელიც პირადად იყო კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის 400 წელს, ამბობს, რომ ტრაპეზუნტი და კერასუნტი (ამჟამად გერესუნი) კოლხეთის ქალაქებია, რომ ტრაპეზუნტის გარშემო კოლხები ცხოვრობენო. თავისი 10 000-იანი რაზმით ქსენოფონტემ მთელი თვე დაჰყო კოლხთა სოფლებში ტრაპეზუნტის მახლობლად და აქედან ესხმოდა და აოხრებდა კოლხეთის სხვა ნაწილებს („ანაბაზისი“, წ. IV,თ. 8, წ.V,თ.3). სამხრეთ, უფრო ზუსტად, **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია, ე.ი., კოლხეთი მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომლებიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ.** ოცდაათი საუკუნე ებრძოდა ქართველი ხალხი თავისი საკუთრებისა და პოზიციების დასაცავად მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ განედევნათ იგი მსოფლიო ისტორიული ასპარეზიდან, მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურღვევი კავშირი თავის დიად წარსულთან, უარი არ უთქვამს თავის წმიდათაწმიდა უფლებებზე, ჭარბი ძალებით გამოწვეული უკანდახევა დროებითი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალას და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამპყრობლებს და იბრუნებდა თავის მიწა-წყალს. **ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა. უფრო გვიან, IV საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისაგან შეიქმნა ლაზთა სამეფო, რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს — ეგრისს. ლაზიკა რომ კოლხეთის მემკვიდრეა და თვითონ ლაზები კოლხთა პირდაპირი შთამომავალნი არიან, სადავოდ არავინ ხდის.** ამას მოწმობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი **პროკოპი კესარიელი.**




საქართველო XI-XII საუკუნეებში

**დასავლეთს უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი რუსეთი და სამხრეთით იმხანად ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად ბარიერად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა საშინელი ტალღა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა. XV საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლილი შეხვდა. ეს იყო მომენტი, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების ნაცვლად გადმოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები — ოსმალო თურქები**

IV-V საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა **ქართლი** — იბერიის ძირითადი ნაწილი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს — **ვახტანგ გორგასალს** (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარწყლა სპარსთა გაბატონებამ VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს) და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი **სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.**

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის სპერის (ამჟამად ისპირი) მფლობელმა **ბაგრატიონებმა,** რომელთა მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდეს ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გააერთიანა... სამხრეთ საქართველოს სამთავროებში IX-X საუკუნეებში გაიფურჩქნა ქართული კულტურა, ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები — **ბანა** (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში), **ხახული** (თორთუმის ახლოს), **ოშკი** (იქვე), იშხანი, წყაროს-თავი, ტბეთი, ▶

„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია, ე.ი., კოლხეთი მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომლებიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ბევრი დამპყრობელი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში მატერიალური ქართული კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ დუღდა და გადმოდიოდა. გაჰქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გაღატაკდა. მხეცურად, არაადამიანურად დევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათაწმიდას — ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს**

◀ ხანძთა, ანჩა თავისი 12 სავანით („ქართული სინა“), ოპიზარი, დოლისყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ. **ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც არიან გიორგი მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ.** ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედებითი ძალების დიად გამოვლინებაში XI-XIII საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ საქართველოს გამორჩეული ადგილი უჭირავს. საკმარისია, დავასახელოთ დიდი **რუსთაველი,** შეუდარებელი ოსტატები — **ბექა** და **ბეშქენ ოპიზრები,** ქართული ფილოსოფიური აზროვნების სიამაყე **იოანე პეტრიწი**, გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები — **გიორგი მთაწმინდელი** და **ეფრემ მცირე,** რათა გავიგოთ, რა შვილები მისცა დედასამშობლოს სამხრეთ საქართველომ. საქართველოს ბუნებრივი განვითარება შეწყვიტა მონღოლთა შემოსევამ. თითქმის ორი საუკუნე თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხი, რათა დაეცვა თავისი კულტურა და თავისუფლება.

**დასავლეთს უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი რუსეთი და სამხრეთით იმ დროს ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად ბარიერად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა საშინელი ტალღა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა. XV საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლილი შეხვდა. ეს იყო მომენტი, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების ნაცვლად გადმოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები — ოსმალო თურქები.**

XV საუკუნეში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს. ამ პერიოდში საქართველო, გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შედეგად, მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს წარმოადგენდა. მაგრამ ამ მდგომარეობაში სამხრეთ საქართველოს სამთავრო სამცხე, რომლის სამფლობელო ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს შემომტევ მოსისხლე მტერს. კიდევ მეტიც: იმ საფრთხის შეგნება, რომელიც მთელ კულტურულ სამეფოს დაემუქრა, ქმნის ერთიან საგარეო პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრებისას, რომელნიც ორჯერ შეეცადნენ, მოეწყოთ ოსმალო-თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია; **ქართლის, იმერეთის და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, 1545 წელს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსეულ დიდ ლაშქარზე ბასიანში (არზრუმის ახლოს).** თურქებს, რომლებმაც ამ დროისთვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი და ბალკანეთის დიდი ნაწილი, განზრახული ჰქონდათ, მთელი საქართველოს ოკუპაცია, მაგრამ ქართველი ხალხი უმაგალითო თავდადებით უწევდა წინააღმდეგობას მათ ამ განზრახვას. საქართველოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც შეძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოსწყვიტეს დედასამშობლოს, მაგრამ ბრძოლა შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს მთლიანობის შეგნება არასდროს არ ჩამქრალა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი **ფარსადან გორგიჯანიძე** თავის თანამემამულეთა განწყობას გამოხატავს, როდესაც ამბობს, რომ **ქართველები, რომელთაც „ქრისტეს რჯული ეჭირათ“ და რომლებიც მომწყვდეული იყვნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს — თურქეთსა და ირანს — შორის, „ბევრს ეცადნენ: აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნაქნეშიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ.** ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუაზე გაიყვეს (ავტორს მხედველობაში აქვს 1555 წლის ირან-თურქეთის ხელშეკრულება) — სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა“. მაგრამ **საქართველოს არასოდეს უცვნია მტაცებელთა ეს აქტი, მას არასოდეს აუღია ხელი თავის ძველისძველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატის IV სეპარატულ არტიკულში ნათქვამია: იმპერატორი „პირობას იძლევა, რომ ომის შემთხვევაში ყოველგვარ საშუალებას იხმარს იარაღის შემწეობით, ხოლო ზავის შემთხვევაში — დაჟინებითი მოთხოვნით, რომ ქართლის სამეფოს დაუბრუნდეს მისი ოდითვე კუთვნილი მიწები და ადგილები“.** ქართველები აქტიურად მონაწილეობენ რუსეთის მიერ XIX-XX საუკუნეებში გამართულ ყველა ომში თურქეთის წინააღმდეგ და ამ ომებზე გაერთიანების შესაძლებლობის იმედს ამყარებდნენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები **ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი** აღტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. საერთოსახალხო ზეიმით აღინიშნა **ბათუმის, არტაანის (არდაგანის)** და **ართვინის** ოლქების დაბრუნება, არზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება. ხალხი ამაში თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა.



ნიკო ბერძენიშვილი



სიმონ ჯანაშია

**საქართველოს ბევრი დამპყრობელი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში მატერიალური ქართული კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ დუღდა და გადმოდიოდა. გაჰქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გაღატაკდა. მხეცურად, არაადამიანურად დევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათაწმიდას — ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს.** ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილებიდან. იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, იქ, სადაც XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV საუკუნეშიაც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები, თურქების შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის წლებში არაფერი დადებითი არ შექმნილა. მეჩეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყენებდნენ; ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობა მხოლოდ იმ ხიდებით სარგებლობდა, რომლებიც თამარ მეფის დროს იყო აგებული. მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ შეძლეს, რამდენსაც არ ეცადნენ, აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან. ამ ერთიანობას ადასტურებდა და ადასტურებს ყველა ფაქტი, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. თვითონ თურქებიც იძულებულნი არიან, აღიარონ ეს. **თურქეთმა 1578 წელს დაიპყრო სამხრეთ საქართველოს სამთავრო სამცხე და მას გურჯისტანი, ე.ი., საქართველოს ვილაიეთი უწოდა. დაცულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1595 წლის თურქული ოფიციალური დოკუნემტი „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი“ („დევთერი მუფასალ ვილაიეთი გურჯისტან“), რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის აღწერილია ჩილდირის, ფოცხორის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები.** მეორე ვილაიეთი ტრაპეზუნტისა წარსული საუკუნის სამოციან წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე ყიზილ-ირმაკამდე (ძველი ღალისი) და გაყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: 1. ლაზისტანი რუსეთის საზღვრიდან ქ. რიზემდე; 2. ტრაპეზუნტის სანჯაყი რიზედან ქ. ორდუმდე; 3. ჯანიკი, ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაკამდე ცენტრით ქ. სამსუნში და 4. გიუმიშხანა (ინგლისის კონსულ **ვ. ჯიფორდ პალგრევის** ანგარიში. ИКОИРГО, ტ. 7, დამატება).

ამრიგად, **XIX საუკუნის დამლევს თურქეთის ოფიციალური ნომეკლატურა მოწმობდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქიც კი, თვით ყიზილ-ირმაკამდე, არის ჯანიკი-ჭანების, ე.ი. იმავე ლაზების ქვეყანა. თურქულ ენციკლოპედია „ჰაამუსულ-ალამ“-ში ნათვამია: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ. მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობას და რასას“.** სამხრეთ საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა დიდი რაოდენობით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი. XIX და XX საუკუნის დამდეგის რუკებზე აღნიშნულია მრავალი წმინდა ქართული სახელწოდება, როგორიცაა იმერა (გიუმიშხანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), ძარა, გორიანა, მაჭარა, შუვა, მირზანი, მოხორა, ლორი, ბორშიანი, ნატეხილები, ქსანთა, კიტრა, ჭოროღმა, ხართი, ჩუმოვანი, ორწვერი და სხვ. ახლა თურქი ხელისუფლები გამალებით შლიან ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ანგრევენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს — არქიტექტურის შედევრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართველ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძევებენ მათ ჩვენი წინაპრების ასეულ თაობათა სისხლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.

ქართველი ხალხისთვის მძიმე პერიოდში — 1920 წლის და 1921 წლის დასაწყისში — თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიორიაზე და დაიპყრეს არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოლქები, აგრეთვე, ბათუმის ოლქის სამხრეთი, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისთვის.

**დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოჰყურებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად წერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და აზიანებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.** ჩვენ კი? განა საჭიროა, გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათაწმიდა საქმეში?

**ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის.** ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანსეს რაიონები აღმოსავლეთ ლაზისტანის, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე.ი., საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი“.

**ს. ჯანაშია,**
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა ნამდვილი წევრი.

**ნ. ბერძენიშვილი,**
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა ნამდვილი წევრი“.




ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ინტერესთა კონფლიქტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბაიდენის ადმინისტრაციის წინაშე მწვავედ დგას იმ ინსტრუმენტების მოძიების საკითხი, რომლებითაც მორჩილებას აიძულებენ „უმცროს პარტნიორებს“, ეს „უმცროსი პარტნიორები“ კი აცნობიერებენ თავიანთ მზარდ ძალას და კოლექტორი დასავლეთის შიგნით ძალების განლაგების ცვლილებას.**

# რევოლუციური ვითარება დასავლეთში: აშშ-ს აღარ ძალუძს, ევროპას არ სურს

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის, პირველი ვიზიტი ევროპაში თანამდებობაზე მისი დანიშვნიდან 2 თვის შემდეგ გაიმართა იმავე მიზეზით, რომლითაც 25 მარტს გაიმართა პრეზიდენტ ჯო ბაიდენის პირველი პრესკონფერენცია: წინასწარვე ცნობილი იყო, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ გადადება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.**

რეალობამ დაადასტურა ვარაუდი, რომ ევროპაში ბლინკენის ვიზიტმა, რომლის მთავარ მოვლენად იქცა მისი მონაწილეობა ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა უწყებების მეთაურებთან შეხვედრაში, შეიძლება ჩაითვალოს ზრდილობისა და მეგობრობის ფორმალურ გამოვლენად ტრანსატლანტიკურ პარტნიორებს შორის, მაგრამ, **როგორც კი საქმე საერთო რიტორიკული შაბლონებიდან (რუსეთი ცუდია, ჩინეთი — სახიფათო, ირანს აუცილებლად უნდა ამოვდოთ ლაგამი და ა.შ.) კონკრეტიკაზე გადადიოდა, მყისვე ჩნდებოდა პრინციპული უთანხმოებები. თანაც ეს გამოვლინდა დაპირისპირებების ჩამონათვალის ჩარჩოებს გარეთ.**

კერძოდ, ასეთი აღმოჩნდა ავღანეთში მშვიდობის დამყარების საკითხი. საქმე ის არის, რომ **აშშ-სა და „თალიბანს“ შორის 2020 წლის თებერვალში გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, ამერიკის ჯარებმა ავღანეთის ტერიტორია 2021 წლის 1 მაისამდე უნდა დატოვონ, ამიტომ ამერიკელები ახლა ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ არც წასვლა შეიძლება, არც დარჩენა, რაც ერთმანეთის საპირისპირო გარემოებებით არის გამოწვეული.**

ზემოაღნიშნული შეთანხმება ტრამპის „პირმშოა“ და ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ხელისუფლების სათავეში დაბრუნებულ დემოკრატებს დიდი სურვილი აქვთ, უბრალოდ, პრინციპის გამო გააბათილონ დოკუმენტი; მეორე მხრივ, ავღანეთში ვითარება, დიდი ხანია, ჩიხში შევიდა — ქვეყანა უნდა დატოვოს აშშ-ის სამხედრო კონტინგენტმა, და საამისო საბაბი შეთანხმებაა.

ამასთანავე, **წინა პრეზიდენტისგან განსხვავებით, რომელიც არად აგდებდა აშშ-ის, როგორც ზესახელმწიფოს, იმიჯს, ბაიდენის ადმინისტრაცია რეპუტაციის შელახვას ვერ დაუშვებს, რომელიც აუცილებლად მოხდება, თუ ამერიკელთა ავღანეთიდან წასვლის შემდეგ „თალიბანის“ დარტყმებით დაემხობა ნაციონალური მთავრობა ქაბულში. მოვლენების ასეთი განვითარების ალბათობა მცირე არ არის — თალიბები, პრაქტიკულად, არ მალავენ, რომ საომარი მოქმედებების დასაწყებად ემზადებიან.**

პლუს, დასავლეთს აქვს ლოჯისტიკური პრობლემებიც, რომელთა გამოც დარჩენილ დროში შეუძლებელია ავღანეთიდან ნატოს ათიათასიანი კონტინგენტის გამოყვანა. ამის შესახებ პირდაპირ განაცხადეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მაღალი თანამდებობის პირებმა.

ამ რთულ ვითარებაში **აშშ ცდილობს, იპოვოს მისთვის მისაღები გადაწყვეტილება მცირე დანაკარგებით, მაგრამ ევროპაში ბლინკენის მოგზაურობის შემდეგ გაირკვა, რომ პასიანსში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამერიკელებს არ გაუთვალისწინებიათ — მოკავშირეების, უწინარესად, გერმანელთა პოზიცია. მათ კი, როგორც გაირკვა, უამრავი პრეტენზია აქვთ.** ევროპა აქტიურად უჭერს მხარს ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე მოლაპარაკებებს ავღანეთის ხელისუფლებასა და „თალიბებს“ შორის. ამასთანავე, ევროკავშირში არ სჯერათ შეთანხმების სწრაფად მიღწევის და ავღანეთის პოლიტიკური სტაბილურობისთვის აუცილებლად მიიჩნევენ ნატოს სამხედრო მისიის გაგრძელებას ამ ქვეყანაში.

ნატოელმა მოკავშირეებმა ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ ტრამპის პოლიტიკური მემკვიდრეობის დანგრევაში „დაინახეს ნიშანი“ (სწორედ ასე დაწერეს მომხდარზე გერმანელმა მედიასაშუალებებმა), რომ ეს ავღანეთიდან ჯარის გამოყვანასაც შეეხება, ამიტომ გერმანიამ ბუნდესვერის სამხედრო ქვედანაყოფებისთვის ავღანეთში ყოფნის მანდატის კიდევ ერთი წლით გაგრძელების პროცესი დაიწყო — გერმანიის პარლამენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება 25 მარტს მიიღო.

და ამ მომენტში აშშ მოულოდნელად გამოვიდა სხვა სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების ინიციატივით. ეს კონფერენცია თურქეთში აპრილში უნდა გაიმართოს. საკმაოდ მკაფიოდ არის მითითებული, რომ ამ კონფერენციაზე შეიძლება ხელი მოეწეროს ისეთ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ქვეყნიდან უცხოური სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანა.

ამ წინადადების შესახებ ევროპამ მასმედიისგან შეიტყო და, რა თქმა უნდა, ძალიან გაღიზიანდა. **ტრამპი დემონსტრაციულად ამცირებდა მოკავშირეებს იგნორირებითა და შეურაცხმყოფელი გამოხდომებით. აშშ-ის ახალი დემოკრატიული ადმინისტრაციაც, ფაქტობრივად, ანალოგიურად მუშაობს. ვაშინგტონი საჭიროდ არ თვლის არა მხოლოდ კონსულტაციების გამართვას პარტნიორებთან, არამედ მათ წინასწარ საქმის კურსში ჩაყენებას დადეგმილი ნაბიჯების შესახებ. პარტნიორებიც, თავის მხრივ, იძულებულნი არიან, ყავაზე იმკითხაონ, რას მოიმოქმედებს აშშ;** აქ, აღშფოთების ნაცვლად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მსგავსი მოქმედებები ჩვეულებრივი ამბავია აშშ-ისთვის.

არსებობს ერთი ფაქტორი, რომელიც გვაიძულებს, მომხდარს სხვა რაკურსით შევხედოთ. საქმე ის არის, რომ ნატოს 10 ათასზე მეტ სამხედროში, რომლებიც ახლა ავღანეთში არიან, ამერიკელები 3,5 ათასს შეადგენენ, დანარჩენები ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები არიან, მათ შორის ათასზე მეტი გერმანელია.

შედეგად, ევროპის ნერვული რეაქცია აშშ-ის ბოლო ინიციატივებზე დაკავშირებულია, აგრეთვე, ბანალურ შიშთან, რომ მისი სამხედროები ამერიკელებმა ბედის ანაბარა არ მიატოვონ არასტაბილურ, ომის ზღვარზე მდგარ ქვეყანაში. სახელდობრ, ამიტომ განიხილებოდა თემა „ერთად შევედით — ერთად გავალთ“ ბლინკენის ვიზიტისას ევროკავშირში,. მაგრამ საქმე ეს არ არის. შესადარებლად: 2011 წელს 6132 ათას სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა, მათგან 90 ათასი ამერიკელი იყო. ე.ი. აშშ-ის წვლილი ოპერაციის ადამიანურ რესურსში 2-ჯერ აღემატებოდა ნატოს დანარჩენი ქვეყნების რესურსს, ერთად აღებულს. ახლა კი ვითარება შეიცვალა და წლების განმავლობაში მსგავსი ტრანსფორმაცია განიცადა დასავლური ქვეყნების თანამშრომლობის ძალიან ბევრმა სფერომ. ამერიკის შეერთებული შტატების ზესახელმწიფოებრიობა მის რეალურ შესაძლებლობებს ეფუძნებოდა, რომლებიც აღემატებოდა დანარჩენი ქვეყნების პოტენციალს. ახლა კი ამერიკის უპირატესობა საკმაოდ შედარებითი ხასიათისაა და ეჭვგარეშეა, რომ მოცემულ მათემატიკას შესანიშნავად აცნობიერებენ არა მხოლოდ მოსკოვსა და პეკინში, არამედ ბერლინში, ანკარასა და პლანეტის სხვა ქვეყნების დედაქალაქებშიც.

ასე რომ, **ევროპაში მოგზაურობისას აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თავისი განცხადებებით მიიღო ზუსტად ის შედეგი, რომელიც მოსალოდნელი იყო. მოსკოვისა და პეკინის არადემოკრატიულობის დამგმობი გერმანია, ამასთანავე, მზად არ არის, უკან დაიხიოს „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ისგან; ევროპასაც არ აქვს განზრახული, უარი თქვას ჩინეთთან სავაჭრო პარტნიორობის შეთანხმების გაფორმებაზე; თურქეთმა კი, რომელსაც არაერთხელ მოუწოდა ბლინკენმა, არ შეიძინოს რუსული C-400-ები, განაცხადა, რომ ეს საკითხი უკვე დახურულია.** ბაიდენის ადმინისტრაციის წინაშე მწვავედ დგას იმ ინსტრუმენტების მოძიების საკითხი, რომლებითაც მორჩილებას აიძულებენ „უმცროს პარტნიორებს“, ეს „უმცროსი პარტნიორები“ კი აცნობიერებენ თავიანთ მზარდ ძალას და კოლექტორი დასავლეთის შიგნით ძალების განლაგების ცვლილებას.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



ენტონი ბლინკენი

**წინა პრეზიდენტისგან განსხვავებით, რომელიც არად აგდებდა აშშ-ის, როგორც ზესახელმწიფოს, იმიჯს, ბაიდენის ადმინისტრაცია რეპუტაციის შელახვას ვერ დაუშვებს, რომელიც აუცილებლად მოხდება, თუ ამერიკელთა ავღანეთიდან წასვლის შემდეგ, «თალიბანის» დარტყმებით დაემხობა ნაციონალური მთავრობა ქაბულში. მოვლენების ასეთი განვითარების ალბათობა მცირე არ არის — თალიბები, პრაქტიკულად, არ მალავენ, რომ საომარი მოქმედებების დასაწყებად ემზადებიან**



ამერიკელი სამხედროები ავღანეთში



თალიბები საომრად ემზადებიან

**აშშ ცდილობს, იპოვოს მისთვის მისაღები გადაწყვეტილება მცირე დანაკარგებით, მაგრამ ევროპაში ბლინკენის მოგზაურობის შემდეგ გაირკვა, რომ პასიანსში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამერიკელებს არ გაუთვალისწინებიათ — მოკავშირეების, უწინარესად, გერმანელთა პოზიცია. მათ კი, როგორც გაირკვა, უამრავი პრეტენზია აქვთ**

**დენის გულმაგომედოვი ადრე იძიებდა მილიარდერ რინატ ახმეტოვის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს. მიხეილ სააკაშვილი კი რინატ ახმეტოვის ტელეარხების ხშირი სტუმარია და აქტიურად უჭერს მხარს მილიარდერის ბიზნესს. ახმეტოვის ტელეარხების მხარდაჭერა აქვს ვლადიმერ ჟმაკსაც, ხოლო „უკრზალიზნიცია“ აქტიურად თანამშრომლობს რინატ ახმეტოვის „მეტინვესტთან“.**

ფინანსური მაქინაციები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს კორუფციაში ადანაშაულებენ






**სააქციო საზოგადოება „უკრზალიზნიციას“ (უკრაინის რკინიგზა) გამგეობის წევრმა, დირექტორმა კომერციულ საკითხებში — ირაკლი ეზუგბაიამ თანამდებობა დატოვა.**

რამდენიმე დღის წინათ უკრაინის მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **იმ პერიოდში, როცა ეზუგბაიას „უკრზალიზნიციას“ გამგეობაში თანამდებობა ეკავა, კომპანიამ 450 მლნ გრივნაზე (დაახლოებით 54 მლნ ლარი) მეტი იზარალა. იმ სქემებს შორის, რომლებმაც გამოიწვია უკრაინის რკინიგზის სავალალო მდგომარეობა, არის ფასების თითქმის ორჯერ შემცირება გადაზიდვებზე და, შესაბამისად, მოსალოდნელი შემოსავლების კლება.**

2020 წლის 30 ოქტომბერს „უკრზალიზნიციას“ ხელმძღვანელმა **ვლადიმერ ჟმაკმა** და უკრაინის ნაციონალური ანტიკორუფციული ბიუროს დეტექტივმა **დენის გულმაგომედოვმა** ხელი მოაწერეს მემორანდუმს კორუფციის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, მაგრამ, როგორც მედია წერს, მას შემდეგ გულმაგომედოვს ეზუგბაიას არც ერთი სქემა არ უნახავს. ამასთანავე, ადრე ლაპარაკობდა „უკრზალიზნიციას“ ამჟამინდელი ხელმძღვანელობის წინამორბედების მხრიდან მსგავსი კორუფციული ქმედებების გამო მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე.

„დღეს ჩვენ ვიძიებთ 21 საქმეს დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე, რომლებიც დაკავშირებულია „უკრზალიზნიციას“ ქმედებებთან, ეჭვმიტანილია 15 პირი“, — განაცხადა დეტექტივმა გულმაგომედოვმა 2020 წლის მაისში, ვლადიმერ ჟმაკისა და ირაკლი ეზუგბაიას დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს გულმაგომედოვი ჰონორარებს იღებდა ფონდ „აღორძინებიდან“, რომლის დამფუძნებელია **ჯორჯ სოროსი.** ამ ფონდიდან ფინანსდებოდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილიც.** სწორედ ეს ფაქტია მიზეზი იმისა, რომ ჟურნალისტებმა ჯგუფი, რომელშიც შედიან მიხეილ სააკაშვილი, ვლადიმერ ჟმაკი, ირაკლი ეზუგბაია, პოლინა ჩიჟი, გიზო უგლავა და დენის გულმაგომედოვი, „უკრზალიზნიციას“ კორუფციულ სქემებს დაუკავშირეს.

აღსანიშნავია, რომ დენის გულმაგომედოვი ადრე იძიებდა მილიარდერ რინატ ახმეტოვის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს. მიხეილ სააკაშვილი კი რინატ ახმეტოვის ტელეარხების ხშირი სტუმარია და აქტიურად უჭერს მხარს მილიარდერის ბიზნესს. ახმეტოვის ტელეარხების მხარდაჭერა აქვს ვლადიმერ ჟმაკსაც, ხოლო „უკრზალიზნიცია“ აქტიურად თანამშრომლობს რინატ ახმეტოვის „მეტინვესტთან“.

**money.comments.ua-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



მიხეილ სააკაშვილი



ირაკლი ეზუგბაია



გიზო უგლავა



# ფრანგი ანალიტიკოსი: ევროკავშირი მილიარდებს ხარჯავს მავნე და უეფექტო ამერიკულ ვაქცინაზე

**ევროპის ქვეყნებს არ აქვთ გავლენა ევროპარლამენტის ბიუროკრატებზე, რომლებიც ჩაეფლნენ კორუფციასა და სხვადასხვა რაღაცის ლობირებაში, — განუცხადა ფრანგმა ჟურნალისტმა და პოლიტიკის ანალიტიკოსმა დიმიტრი დე კოშკომ „პოლიტნავიგატორის“ ჟურნალისტს ვიდეოკონფერენციის მიმდინარეობისას.**

**დე კოშკოს** თქმით, ბრიუსელი თავის „ბიუროკრატიულ ინტერესებს“ ევროკავშირის წევრებს კარნახობს. „ეს ახლა კარგად გამოჩნდა ვაქცინისა და წამლების შესყიდვის პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანას თეორიულად შეუძლია, თვითონ განსაზღვროს ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკა, მათ წამლებისა და ვაქცინების შესყიდვა ევროკავშირს მიანდეს. და ეს არ არის წარმატებული საქმე. ევროკავშირის ბიუროკრატიამ აჩვენა, რა ძლიერად არის ის დამოკიდებული სხვადასხვა ინტერესის ლობირებაზე. ევროპელი ბიუროკრატები კორუფციაში ჩაეფლნენ. მალე უზარმაზარ სკანდალს გამოიწვევს პრეპარატ Remdesivir-ის შესყიდვა ამერიკული ლაბორატორია გილეიდისგან, რაც მილიონ ევროზე მეტი დაჯდა. არადა, ეს Remdesivir-ი სულაც არ არის ეფექტიანი კოვიდის წინააღმდეგ“, — განაცხადა ექსპერტმა.

**politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# «ტოიოტა» ყველას მოუწოდებს, თავიდან მოიშორონ ილუზია ელექტრომობილებზე მალე გადასვლის შესაძლებლობაზე

**იაპონურ ავტოგიგანტ „ტოიოტას“ ჩრდილოამერიკული წარმომადგენლობის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების დირექტორი, როგორც Reuters-ი იუწყება, აპირებს, განცხადებით გამოვიდეს აშშ-ის სენატის პროფილური კომიტეტის სხდომაზე და გააფრთხილოს ქვეყნის ხელისუფლება, არ დააწესოს ხანმოკლე ვადა ელექტრომობილების გამოყენებაზე გადასვლაზე.**

როგორც „ტოიოტას“ წარმომადგენელი განმარტავს, ამ გზაზე ძალიან ბევრი წინააღმდეგობაა. ეს არის **ბატარეების არასაკმარისი რაოდენობა და დამუხტვის განვითარებული ინფრასტრუქტურის არარსებობა, რაც მთავარია, სამომხმარებლო აღქმა და ელექტრომობილების შეძენის შეზღუდული ხელმისაწვდომობა.**

შარშან, „ტოიოტას“ წარმომადგენლის თქმით, აშშ-ში გაყიდული ავტომობილების მხოლოდ 2% იყო ელექტრომობილი. იაპონურ კომპანიას 20 წელიწადი დაჭირდა იმისთვის, რომ ჰიბრიდების ამერიკულ ავტოპარკში მანქანების რაოდენობას 4 მლნ-მდე მიეღწია. ამას გარდა, „ტოიოტას“ არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ელექტრომობილები ექსპლუატაციაშიც უფრო ძვირია, ვიდრე შიგაწვისძრავიანი ჰიბრიდები, ამასთანავე, ელექტრომობილები უფრო ძლიერად აბინძურებს გარემოს ელექტროსადგურებისა და აკუმულატორების წარმოების გათვალისწინებით.

**auto.rambler.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალურმა ორგანიზაციებმა შესაშური უნარი გამოიჩინეს, უკანონო ბიზნესების განსავითარებლად სხვადასხვა სახის კომპრომისზე წავიდნენ და ერთმანეთს შორის დაპირისპირებებს გაუძლეს. რელიგიური, რასობრივი და ტერიტორიული წინააღმდეგობების მიუხედავად, საჭირო შემთხვევაში გაერთიანდნენ კიდეც, რასაც მსოფლიოს სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებზე სწრაფად და ხარისხიანად აკეთებდნენ.**

# ნარკოტიკები და პოლიტიკა

დასასრული. დასაწყისი იხ. №9-10, 2021 წ.

## საქართველო დანაშაულებრივი დაჯგუფებების საერთაშორისო სისტემაში

პლანეტის მრავალ წერტილში მიმდინარე უმწვავესი მოვლენების, მათ შორის, კავკასიის რეგიონში არსებული დაპირისპირებების ფონზე ქართული სახელმწიფოს ისტორიაში ურთულესი ისტორიული ეტაპი დაიწყო.

როგორია საქართველოს როლი და ადგილი ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში?

სწორი დასკვნების გამოსატანად ყოველივე ისტორიულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთსა და ასევე რეგიონის სხვა ახალ პოლიტიკურ მოთამაშეებთან არის დაკავშირებული

**ძალისმიერი ინტერვენციული პოლიტიკის და შესაბამისი დიპლომატიის გამოყენებით მეფის რუსეთმა უდიდესი იმპერია ააშენა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მან კავკასიის კოლონიზაცია დაიწყო: საქართველო 1801 წელს დაიპყრო, აზერბაიჯანი — 1813-ში, ყველაზე ბოლოს დანებდნენ ჩეჩნეთი — 1858-ში და დაღესტანი — 1878-ში.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებულმა პროცესებმა, სამოქალაქო ომმა 300 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ლტოლვილად აქცია. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობამ აიძულა ისინი, დაეტოვებინათ ქვეყანა. დაიწყო ტოტალური მიგრაცია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე კრიტიკული სიტუაცია საქართველოში შეიქმნა. **გაეროს შეფასებით, თუ გაგრძელდება არსებული დემოგრაფიული ტენდენცია, 2050 წლისთვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა 2 მილიონით შემცირდება. საქართველოდან ემიგრირებულთა ასაკი 20-დან 50 წლამდე მერყეობს, მათგან ნახევარზე მეტი ახალგაზრდა ქალებია. მნიშვნელოვანია, რომ სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს უჭირთ რეინტეგრაცია, რომლის გამოც ნაწილი კვლავ ტოვებს საქართველოს, ამჯერად — სამუდამოდ.**

ფრიად სამწუხაროა, რომ ემიგრირებულთა ერთმა ნაწილმა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას მიჰყო ხელი. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა დანაშაულებრივი კავშირები დიასპორასა და კონტრაბანდულ ქსელებს შორის, დანაშაულებრივი ბიზნესი თანდათან ძალას იკრებდა და ნელ-ნელა ინტეგრირდებოდა საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულში.

2000-2008 წლების ორგანიზებული დანაშაულის ევროპულ სტატისტიკაში საქართველოს მოქალაქეები არ ფიგურირებენ. მიზეზი შეიძლება ის


ჯემალ ჯანაშია

იყოს, რომ ევროპული კრიმინალური სამსახურები საქართველოს ორგანიზებულ ჯგუფებს აიგივებდნენ რუსულ ორგანიზებულ დაჯგუფებებთან.

*** პირველად 2009 წელს მოხდა ეთნიკური ქართველის დაკავება, 2011 წლიდან ქართული კრიმინალური ჯგუფები თანდათან ერთიანდებიან რუსულ-ევრაზიულ კრიმინალურ დაჯგუფებებში.**

* 2010-2011 წლებში გერმანიაში გამოავლინეს ქართველების ოთხი დანაშაულებრივი ჯგუფი. საქართველოდან ემიგრირებულმა მოქალაქეებმა, რომლებიც ევროპაში არალეგალურად იმყოფებიან, გააძლიერეს და გააფართოვეს თავიანთი კრიმინალური კავშირები.

*** 2012 წლის 4 ივნისს დააკავეს საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეებისგან შემდგარი 21-კაციანი ჯგუფი, დიდი რაოდენობით ნაღდი ფულითა და ძვირფასეულობით; ბრალად წაუყენეს საფრანგეთსა და ბელგიაში 300-ზე მეტი საცხოვრებელი სახლისა და ბინის გაძარცვა.**

* 2013 წლის 18 ივლისს ევროპამ მხარი დაუჭირა 18 პირის დაკავებას, რომელთაგან 13 ე.წ. ქუთაისის კლანის წარმომადგენელი „კანონიერი ქურდი“ იყო.

* 2015 წლის 9 ოქტომბერს რომში ევროპოლისა და იტალიის პოლიციის (კარაბინერები) მიერ ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს ქართველების 57-კაციანი დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელსაც ბრალად ედებოდა სახლების ძარცვაში მონაწილეობა. მათვე კავშირი ჰქონდათ ქართველ კანონიერ ქურდებთან, რომლებიც მოქმედებდნენ რომში, რეჯიოში, კალიარიში, სიენაში, ევროპის სხვა ქალაქებში და ბრალად ედებოდათ 67 სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენა.

**2014 წლისთვის საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი დანაშაულებრივი დაჯგუფებები ისე გაძლიერდნენ, რომ გერმანიის ტერიტორიაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოქმედი 40 დანაშაულებრივი დაჯგუფებიდან 10-ს ეთნიკური ქართველები აკონტროლებდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფების რაოდენობის მიხედვით, ისინი რუსეთის ფედერაციის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდნენ, 2015 წელს კი პირველ ადგილზე გადაინაცვლეს.**


ხაშხაშს თითქოს ებრძვიან და...

**2000-2008 წლებში აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე წარმოებული ჰეროინის ამოღებამ ცხადყო, რომ საქართველოდან ევროპაში ჰეროინი შედის შავი ზღვის პორტების (ძირითადად ფოთის პორტის) საშუალებით ორი გზით: საქართველო-ბულგარეთი (6 ტონა); საქართველო-უკრაინა (1 ტონა)**


...და მაინც მოჰყავთ

უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალურმა ორგანიზაციებმა შესაშური უნარი გამოიჩინეს, უკანონო ბიზნესების განსავითარებლად სხვადასხვა სახის კომპრომისზე წავიდნენ და ერთმანეთს შორის დაპირისპირებას გაუძლეს. რელიგიური, რასობრივი და ტერიტორიული წინააღმდეგობების მიუხედავად, საჭირო შემთხვევაში გაერთიანდნენ კიდეც, რასაც მსოფლიოს სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებზე სწრაფად და ხარისხიანად აკეთებდნენ.

**საერთაშორისო ორგანიზებული დაჯგუფების ყოველ ტიპს გამოკვეთილი სახე და სტრუქტურა გააჩნია; ისტორიულად იმ პირობების ანარეკლია, რომლის წიაღშიც ყალიბდება. საზოგადოებაში, ტერიტორიაზე, დროსა და სივრცეში მოძრაობამ, დროის ყოველ მონაკვეთში ფესვების გადგმამ მას არსებობისა და კვლავწარმოების ორიგინალური ხელმოწერა გამოუმუშავა.**

პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალური დაჯგუფებების პრაქტიკული ბაზა აღმოცენდა და განვითარდა საბჭოთა სივრცის „კანონიერი ქურდების“ ე.წ. ქურდული კოდექსის მიხედვით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ისეთი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნასა და გაძლიერებას, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იტალიურ მაფიას, კალიფორნიულ განგსტერებს, კოლუმბიურ კარტელებს, ჩინურ ტრიადებს, იაპონურ იაკუზებს, თურქულ მაფიას და ა.შ. მათ უამრავი ნიშან-თვისება აქვთ იმ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების, რომელთა ერთ-ერთი საწყისი გასული საუკუნის შუა პერიოდის ნარკოტიკებით სპეკულაციის სათავეში უნდა ვეძებოთ. სწორედ ამის გამო ადვილად და სწრაფი ტემპით მოხდა მათი ინტეგრაცია საერთაშორისო ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულში, მათ შორის საერთაშორისო ნარკობიზნესში.

## ქართული ნარკოპოლიტიკა და საერთაშორისო ნარკობიზნესი

საქართველოში ნარკოვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ მუდმივად უარესდება, მდგომარეობა უფრო გართულდა XXI საუკუნეში, როდესაც ქვეყანა ნარკოტიკების ერთ-ერთ სატრანზიტო სივრცედ ჩამოყალიბდა, რომელსაც მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუწყო ხელი და აზიიდან ევროპისკენ ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთ საკვანძო ქვეყნად აქცია. ამ თვალსაზრისით, საქართველო მოგვევლინა იმ მარშრუტების უშუალო დამაკავშირებლად, რომელთა მეშვეობითაც ნარკოტიკები, განსაკუთრებით, ჰეროინი, ავღანეთიდან და ცენტრაალური აზიიდან ევროპისკენ მიედინება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გათვლით, 2007 წლის მონაცემებით, ამიერკავკასიაში წელიწადში 11 ტონა ჰეროინი სამი ძირითადი მარშრუტით გადაადგილდებოდა:

1. ავღანეთი-ირანი-შუა აზია-აზერბაიჯანი-საქართველო-შავი ზღვით — ბულგარეთი — 9 ტონა (გადაზიდვები ფიქსირდება 2008 წლიდან);

2. ავღანეთი-ირანი-შუა აზია-კასპიის ზღვითა-აზერბაიჯანი-საქართველო-შავი ზღვით ევროპისკენ — 2 ტონა;

3. ავღანეთი-აზარბაიჯანი-ხავერი (ირანი)-ჰაკარი და\ან ვანი (თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი)-ცენტრალური ანატოლიის ქალაქები-ჩრდილო ანატოლიის ქალაქები-უკრაინა, მცირე ნაწილი საქართველოში ილექებოდა *(არაოფიციალური მონაცემებით, ეს „მცირე ნაწილი“ 500 მილიონ დოლარზე მეტი იყო. — რედ.).*

**2000-2008 წლებში აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე წარმოებული ჰეროინის ამოღებამ ცხადყო, რომ საქართველოდან ევროპაში ჰეროინი შედის შავი ზღვის პორტების (ძირითადად ფოთის პორტის) საშუალებით ორი გზით: საქართველო-ბულგარეთი (6 ტონა); საქართველო-უკრაინა (1 ტონა).**

ნიშანდობლივია, რომ ფოთის პორტს პირდაპირი საბორნე მიმოსვლა მხოლოდ ილიჩევსკის (უკრაინა) და ვარნის (ბულგარეთი) პორტებთან აქვს, სხვა შემთხვევაში მდგომარეობა უფრო რთული იქნებოდა.

დაბოლოს, ჩვენს მკითხველებს აუცილებლად უნდა ვაცნობოთ, რომ გაგვიჭირდება ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის დონისა და ნარკომანიის გავრცელების მასშტაბების ზუსტი განსაზღვრა, რადგან უკანასკნელ წლებში არ არსებობს დეტალური ინფორმაცია, არც უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების და არც ნარკომანიის გავრცელების მასშტაბების შესახებ. ამ მიმართულებით ბოლო კვლევა 2012 წელს საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „ბემონმა“ ჩაატარა. ჩვენი პუბლიკაციის შედარებითი ანალიზი გაეროს, ევროკავშირის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ჩვენი მოსაზღვრე და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ინფორმაციების საფუძველზე გაკეთდა.

**ჯემალ ჯანაშია,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უშიშროების გენერალ-მაიორი**

**რედაქციისგან:**

**ბატონ ჯემალ ჯანაშიას წერილების ციკლს აქტიურად გამოეხმაურნენ სოციალურ ქსელებში. ავტორი დაგვპირდა, რომ საზოგადოებრიობის რეაქციის ანალიზს შეძლებისდაგვარად ოპერატიულად მოგვაწვდის.**

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დედინაცვალმა გერი მოსახარშად გაიმეტა

**ინციდენტი 2018 წლის 1 ოქტომბერს იორდანიაში მოხდა. მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ საჯაროვდება, სთხოვა თავის ცოლს, მიეხედა შვილებისთვის, რომლებიც მას (კაცს) პირველი ცოლისგან ჰყავდა. ცოლ-ქმარს შორის იფეთქა სკანდალმა, მაგრამ კაცმა ორი და ოთხი წლის ბიჭები ცოტა ხნით მაინც დაუტოვა ცოლს. ქალმა გადაწყვიტა შური ეძია, ადუღებული წყლით აავსო აბაზანა და თუხთუხა წყალში ჩასვა ბავშვი.**

ბიჭი ატირდა, დედინაცვალი მიხვდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა, სასწრაფოდ ამოიყვანა ორი წლის ბიჭი და დაუყოვნებლივ წაიყვანა საავადმყოფოში. ორ კვირაში ბავშვი გარდაიცვალა.

გამოძიებამ გაარკვია, რომ დედინაცვალი მანამდეც ცუდათ ეპყრობოდა „სხვის შვილებს“, ხშირად სცემდა და საშინლად ექცეოდა.

ბრალდებულს შესაფერისი სასჯელი გამოუტანეს — ქალი 20 წლით ციხეში გაამწესეს.



## გარყვნილმა კაცმა გააუპატიურა და მოკლა სტუდენტი გოგონა

**2019 წლის 1 თებერვალს დაიკარგა დიდი ბრიტანეთის ქალაქ ჰალში მცხოვრები 21 წლის სტუდენტი გოგონა, რომელიც ადგილობრივი უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ლიბი სქვაიერსის ცხედარი მეთევზეებმა მხოლოდ თვე-ნახევრის შემდეგ, 20 მარტს იპოვეს. დაიწყო გამოძიება, რომელმაც 2 წლის თავზე დაადგინა, რომ ეს საშინელი დანაშაული ჩაიდინა 26 წლის პავლე რელოვიჩმა.**

ეს ახალგაზრდა კაცი სექსუალური ხასიათის, სულ ცოტა, 9 შემთხვევაშია დამნაშავე, ასევე, ქურდობაში და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. რელოვიჩი თავის მსხვერპლს ფანჯრებიდან გახდა-ჩაცმის დროს უთვალთვალებდა, ან როცა სექსით იყვნენ დაკავებული, ქალებს შინიდან პარავდა საცვალს, სექს-სათამაშოებს, როგორც „ნაალაფევს“. ამის გამო იგი 5 წლითა და 8 თვით დააპატიმრეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო სასამართლომ დაედგინა, რომ ლიბი სქვაიერსი მან მოკლა.

იმ საბედისწერო დღეს, 2019 წლის 1 თებერვალს, გვიან ღამით ბოროტმოქმედი „იოლი სექსის“ საძებნელად ქუჩაში გამოვიდა. შემთხვევით ლიბის გადაეყარა და მისი სახლიდან სულ რამდენიმე ნაბიჯში ხელთ იგდო. სქვაიერსი შინ ბრუნდებოდა მას შემდეგ, რაც დაცვამ მეგობრებთან ერთად კლუბში არ შეუშვა.

რელოვიჩმა, ცოლ-შვილიანმა კაცმა, სტაცა ხელი ამ უბედურს, შეათრია თავის მანქანაში და უკაცრიელ მინდორში წაიყვანა, საიდანაც მოწმეების განცხადებით, „განწირულის კივილი“ ისმოდა. 7 წუთის შემდეგ კაცმა მარტომ დატოვა იქაურობა. ეს ყველაფერი ასე დაწვრილებით თვალთვალის კამერების საშუალებით დაადგინეს.

სამეფო ადვოკატმა **რიჩარდ რაიტმა** განაცხადა, რომ ბოროტმოქმედს საკმარისი დრო ჰქონდა, გაეთრია ლიბი მინდორში, გაეუპატიურებინა, მოეკლა, გვამი მდინარეში ჩაეგდო, ჩამჯდარიყო მანქანაში და გაცლოდა იქაურობას. ეს ინფორმაცია ბი-ბი-სიმ გაავრცელა.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## პოლიციას საწოლის ქვეშ დაემალა

**გაზეთი El Deber 13 მარტის ნომერში იუწყებოდა, რომ ბოლივიის პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი დროებითი შემსრულებელი ჟანინ ანესი საწოლის ქვეშ დაიმალა, როცა პოლიციამ დასაკავებლად მიაკითხა. იმ დროს იგი ქალაქ ტრინიდადში ნათესავების სახლში სტუმრად იმყოფებოდა.**

იგი დააკავეს სახელმწიფო გადატრიალების საქმის გამოძიების პროცესში და მიიყვანეს ლა-პასში ჩვენების ჩამოსართმევად. დაკავებულები არიან იუსტიციის მინისტრი **ალვარო კოიმბა** და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი **როდრიგო გუსმანი.** მათ გარდა პროკურატურამ გასცა ორდერები **ანიესის** მთავრობის სამი ყოფილი წევრისა და არმიის, საზღვაო სამხედრო ძალებისა და საჰაერო სამხედრო ძალების ყოფილი სარდლების დასაკავებლად. მათ წარედგინათ „ტერორიზმის, ამბოხისა და შეთქმულების წაქეზების“ ბრალდება.

ანესის დაკავების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა 3 მარტს შინაგან საქმეთა მინისტრმა **ედუარდო დელ კასტილიომ.**

ბოლივიის ყოფილი პრეზიდენტი **ევო მორალესი** გადადგა 2019 წლის 10 ნოემბერს საპროტესტო განწყობილების გაძლიერების ფონზე და თავი შეაფარა მეზობელ მექსიკას, შემდეგ — არგენტინას. მას ბრალად წარუდგინეს ტერორიზმი და მისი დაფინანსება. ამ ბრალდებებს ბოლივიის იუსტიციის სამინისტრომ დაუმატა გაუპატიურება და ადამიანებით ვაჭრობა.

მასობრივი არეულობა ბოლივიაში დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის 20 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ. პირველ ტურში გაიმარჯვა მორალესმა. მისმა მოწინააღმდეგემ, ყოფილმა პრეზიდენტმა **კარლოს მესამ** არჩევნების შედეგები არ სცნო და ხელისუფლება გაყალბებაში დაადანაშაულა.



## აშშ-ის კიდევ ერთმა ქალაქმა «პოლიგამიური პარტნიორობა» ქორწინებად აღიარა

**ეს ქალაქი არის კემბრიჯი, რომელიც მსოფლიოში თავისი უნივერსიტეტითაა განთქმული. ეს კი ნიშნავს, რომ „პოლიგამიური პარტნიორობა“ მათ შორის ლგბტ წევრების ისეთივე იურიდიული უფლებებით იქნება აღჭურვილი, რომლებითაც ნორმალური ოჯახები სარგებლობენ.**

„ოჯახური პარტნიორობის“ გაფართოებას კემბრიჯის საქალაქო საბჭომ კენჭი უყარა და დაამტკიცა მიმდინარე წლის 8 მარტს. იმავე სხდომაზე საბჭომ გააუქმა მოთხოვნა, რომლის თანახმად „ოჯახურ პარტნიორობაში“ მყოფ პირებს ერთად უნდა ეცხოვრათ და ქალაქისთვის წარედგინათ თავიანთი ოჯახური ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

კემბრიჯის მეზობლად მდებარეობს ქალაქი სომერვილი, რომელშიც 2020 წელს აშშ-ში პირველად „პოლიგამიური პარტნიორობა“ გაუთანაბრეს ქორწინებას. გაცილებით ადრე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის ჯარში მყოფ პირებსა და ვეტერანებს ბიუჯეტის ხარჯზე შეეძლებათ სქესის შეცვლა.



## «მეგონა, რომ მომკლავდა»: კანიბალიზმში ეჭვმიტანილ პირს გაუპატიურების ბრალდება წაუყენეს



**ბრალდებული ჰოლივუდის მსახიობი ამრი ჰამერი სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ვინმე ეფი ანგელოვამ განაცხადა, რომ იგი 4 საათის განმავლობაში შეურაცხყოფდა მას.**

24 წლის ქალიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მსახიობი „ფეისბუკის“ საშუალებით გაიცნო და 2016 წლიდან 2017 წლამდე ხვდებოდა მას სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეფიმ თქვა, რომ ცდილობდა, თავი დაეღწია „მარტოხელა რეინჯერის“ ვარსკვლავისთვის, მაგრამ ვერ შეძლო.

„იგი მაუპატიურებდა ოთხი საათის განმავლობაში, თავს კედელზე მარტყმევინებდა. მეგონა, რომ მომკლავდა“, — განაცხადა ეფიმ. ჰამერის ადვოკატმა **ენდრიუ ბრეტლერმა** თავისი კლიენტისთვის წაყენებულ ბრალდებებს აღმაშფოთებელი უწოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ „ჰამერსა და ეფის შორის ყოველგვარი ურთიერთობა წინასწარ იყო შეთანხმებული“.

ჰოლივუდის გავლენიან პირს უამრავი პრობლემა დაუგროვდა. გაირკვა, რომ მსახიობს კანიბალიზმთან, გაუპატიურებასთან, თავდასხმებთან და აგრესიასთან დაკავშირებული ფანტაზიები აწუხებდა.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად“.

# კრისტიან დანიელსონი: «კომპრომისი არის ევროპული გზა»

## კი მაგრამ... რომელია ქართული გზა?!

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

**„ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის“(ილია).**

**ერთი შეხედვით, სწორედ რომ ასე ჩანს. არადა, ის, რომ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდნენ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, იგივეა, როგორც ორჯერ ორი — ოთხი. „აქ საუბარის გაბმა და ერთმანეთთან ლაპარაკი, საგნის ვითარების გადატრიალ-გადმოტრიალება, წაღმა-უკუღმად თრევა და წეწვა, მეტი ბარგია. ამისთანაებზე ლაპარაკი სულგრძელობაა იმის მხრით, ვინც იძულებულია, ეჩიჩინოს მეორეს, რომ ორჯერ ორი ოთხიაო, და იმის მხრითკი, ვინც ამ ჩიჩინისათვის ვისმე იძულებულ ჰყოფს, მეტისმეტი სიბრიყვეა და გონების დახშულობა“.**

**ჰოდა, ჩვენდა სამარცხვინოდ, მეორედ ჩამოვიდა უცხო კაცი, როგორმე რომ შეგვაგნებინოს, გაჯიქება და კომპრომისზე უარის თქმა რომ სიბრიყვეა და ჩვენს გონებადახშულობაზე მიუთითებს. და, რამდენიც უნდა ვეკეკლუცოთ ჩვენი მდიდარი ისტორიული წარსულითა და განუმეორებელი კულტურით, ჩვენი ამჟამინდელი საქციელიდან გამომდინარე, მხოლოდ ღიმილს თუ მოვგვრით.**

**ან ჩვენ თვითონ წესიერად ვიცით, „რანი ვყოფილვართ“?**

**ან ვხედავთ, „რანი ვართ“?**

**იმას მაინც თუ ვხვდებით, ამგვარი ქმედებით „რანი ვიქნებით“?**

**არა!**



ოპოზიციის საპროტესტო აქცია პარლამენტთან

**«მკვდარი არ გაცოცხლდება და ყორანი არ გათეთრდება, რაც გინდა ჰხეხო ქვიშითა. ან რა საჭიროა? რწმენასთან რომ ჰქონდეს კაცს საქმე, კიდევ ჰო, მაშინ თქმასა და ლაპარაკს საბუთი აქვს, ჩააგონებ რასმე, დააჯერებ რასმე. აქ ხომ სულ სხვა მიზეზი იღვწის და ჰმოქმედობს. აბა ერთი სხვა ალალმა დაჰქროლოს ამ უარმყოფელ ვაჟბატონებს, თუ სულ სხვა ჰანგზედ არ დაიწყონ გალობა და სულ სხვანაირად არ ჩაჰბუქნონ»**

„ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. **უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად.** ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოთა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და **ამ ბზუილიდამ არა გამოდის რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის“.**

ახლა ანდერსონის იმედად ვართ, ამ ვაიპოლიტიკოსებს თვალი რომ აუხილოს. როგორც მან მედიასთან პრესკონფერენციაზე აღნიშნა, კომპრომისი დემოკრატიის ნიშანია.

„მგონია, რომ წინა მისია, რომელიც აქ განხორციელდა, იყო საკითხების კარგი გაცნობა. ყველა იმ პოლიტიკურმა ლიდერმა, რომელიც ამ პროცესში იყო ჩართული, კარგად იცის მეორე მხარის აზრები, ასევე კარგად იციან, რის გაკეთება არის საჭირო, რომ შეთანხმებამდე მივიდნენ, მაგრამ მათ ეს უნდა გააკეთონ, უნდა ანახონ კომპრომისი. მე და ჩემს გუნდს შეგვიძლია მარტო დავეხმაროთ ამას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, როცა საუბარია ამ დახმარებაზე. ახლა არის საჭირო გამბედაობა, არის საჭიროება კომპრომისის, კომპრომისი არ არის იმის ნიშანი რომ ვიღაც არ არის ძლიერი, ეს არ არის სისუსტის ნიშანი, პირიქით, კომპრომისი არის სიძლიერის ნიშანი, დემოკრატიის ნიშანი და კომპრომისი არის ის გზა, რომელიც არის ევროპული“, — განაცხადა დანიელსონმა.

მაგრამ „მკვდარი არ გაცოცხლდება და ყორანი არ გათეთრდება, რაც გინდა ჰხეხო ქვიშითა. ან რა საჭიროა? **რწმენასთან რომ ჰქონდეს კაცს საქმე, კიდევ ჰო, მაშინ თქმასა და ლაპარაკს საბუთი აქვს, ჩააგონებ რასმე, დააჯერებ რასმე. აქ ხომ სულ სხვა მიზეზი იღვწის და ჰმოქმედობს.** აბა ერთი სხვა ალალმა დაჰქროლოს ამ უარმყოფელ ვაჟბატონებს, თუ სულ სხვა ჰანგზედ არ დაიწყონ გალობა და სულ სხვანაირად არ ჩაჰბუქნონ. **არიან ქვეყანაზედ იმისთანა ჯურის ფალავნები, რომ, რასაც დღეს მოსაკლავად სდევენ, იმას ხვალ ფეხქვეშ გაეშლებიან ფიანდაზად, და რა გულმოდგინებითაც ეხლა სდევნიან სამტროდ, ხვალ იმავ გულმოდგინებით გალობას ეტყვიან:**

უი შენ-კი ჩაგეგრიხე
უსურვაზის წნელივითაო“.

რა, ერთხელ უთქვამთ თუ ორჯერ?!

„ჩვენში დიდი ხანია ნათქვამი, რომ „საცა გაგება არ არის, კარგვაა სამართლისაო“. აბა ჭკვათამყოფელმა კაცმა ამ უბრალოს და მარტივად თქმულს ჭეშმარიტებას, საიდამაც ჰნებავს, მოუაროს, თუ ერთი იოტის ოდენა იმისთანა რამ უპოვოს, რომ იმ ნაპოვნის მეოხებით ამ ჭეშმარიტებას მცირეოდენი ჩრდილი უარყოფისა ჭკვაზედ ხელაუღებლად მიაყენოს. ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, რომ მთქმელს გამგონი უნდა და კარგი გამგონიცა და, **თუ მთქმელს და გამგონს ერთმანეთის ენა არ ესმით, იქ არც თქმაა და არც გაგონება, მაშასადამე, არც განკითხვაა და არც სამართალი“.**

„სამართალი იმისთანა რამ არის ადამიანისათვის, რომ მარტო თავის დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს და, **თუ სამართალი ორს კურდღელს გამოუდგა, ვერც ერთს ვერ დაიჭერს“.**

„მოსამართლეს მოჩივარის ენა უნდა უსათუოდ ესმოდეს, იმიტომ, რომ თავის ყურით გაგონილი, თავის ყურით სმენილი უფრო უტყუარია, უფრო ზედმიწევნილია, უფრო მართალია და, რადგანაც მართალია, უფრო შეუცდომელს საბუთს აძლევს შეუცდომელის განკითხვისა და განაჩენისათვის. **მოსამართლე და მოჩივარი, რომელთაც ერთმანეთისა არ ესმით, ერთმანეთის ენა არ იციან, ერთმანეთისათვის მუნჯებიც არიან და ყრუნიცა.** ამისთანა მოსამართლე და მოჩივარი ერთმანეთისათვის აღარ არიან და ამათი ერთად შეყრა სწორედ იმასა ჰგავს, რომ მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო“.

ადამიანის ღირსეული ცხოვრების პირობების მისაღწევად დათმობაზე წასვლასა და **შერიგებაზე საუბრობენ აქაიქ, დათმობაზე ორივე მხრიდან და იმაზეც, რომ,** კონკრეტული ლიდერების პოზიციები როგორიც არ უნდა იყოს, სხვებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და სითამამე, გაემიჯნონ ლიდერებს და გამოხატონ თავიანთი აზრი, რადგან ამ უსასრულო წრეზე სიარული აღარ შეიძლება. ამის აუცილებლობას ადასტურებს ის განცხადებები, რომლებიც მოლაპარაკების „მეორე რაუნდს“ უსწრებს წინ.

„აღარ შევალ შეფასებებში, როგორ ვუყურებ ივანიშვილს, კობახიძეს, ღარიბაშვილს, მთლიანად „ქოცობას“, როგორც მოვლენას. ამ ნაწილში ვერასდროს შევთანხმდებით. ჩემთვის დარჩებიან საზიზღრობად, რომელიც ქვეყანას თალხივით ადევს და უნდა მოვიშოროთ. ამიტომ გვინდა რიგგარეშე არჩევნები, არჩევნებით მშვიდობიანად მოხდეს ცვლილებები, ქვეყანა განვითარების გზაზე გადავიდეს. დიახ, ივანიშვილი, კობახიძე, ღარიბაშვილი — ეს ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანები, სადისტური მიდრეკილების ადამიანები მმართავენ ქვეყანას. ეს ძალიან სახიფათოა ქვეყნისთვის“, — აცხადებს გიგი უგულავა. ვინ ვინ და უგულავას, მართლაც სადისტური ხელისუფლების ერთერთ მაღალჩინოსანს, არ აქვს სწორედ მორალური უფლება მსგავსი განცხადებების გაკეთების, მაგრამ ეს, ალბათ, მაშინ ხდება, როდესაც ადამიანს სინდისის ძარღვი გაწყვეტილი აქვს ან, საერთოდაც, არც არასდროს ჰქონია. თუ „ქართული ოცნება“ არის „საზიზღრობა, რომელიც ქვეყანას თალხივით ადევს“, მაშინ რაღა ითქმის „ნაციონალურ მოძრაობაზე“?!



მსგავსი განწყობებისა და დამოკიდებულებების ფონზე ძნელია, იფიქრო დადებით შედეგებზე. თუმცა დანიელსონი ამბობს, რომ „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პარტიებს დავეხმაროთ. ჩვენ ▶

**ყველამ უნდა მოთოკოს პოლიტიკური ამბიცია — ამის სათქმელად ჩამოდის კრისტიანიო. რა, გადამთიელმა რომ არ გითხრათ, თქვენ არ იცით, რომ მხოლოდ შეთანხმებით, ხალხისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით დაიმსახურებთ პატივისცემას და მოიპოვებთ ნდობას შინ თუ გარეთ?! ვის ეკითხებოდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომელ უცხოელს ეძახდნენ, მოდი და ქვეყანა დაგვილაგეო?!**

„უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





◀ გვაქვს წინადადებები, იდეები, რომელსაც შევთავაზებთ, იმისთვის, რომ დავეხმაროთ, მაგრამ კომპრომისი თავად პარტიებმა უნდა მოიძიონო“.

„საუბარია კომპრომისზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მომავლისთვის. ჩემი წინა მისიის შემდეგ, ბრიუსელში ყველა იმ ინსტიტუციებთან მქონდა ურთიერთობა, ვინც საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებშია ჩართული... ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული იმაში, რომ საქართველოს ამ კრიზისის მოგვარებაში დაეხმაროს. რა თქმა უნდა, ამაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირს არ ეკისრება, არამედ პოლიტიკურ ლიდერებს. მგონია, რომ წინა მისია, რომელიც განხორციელდა, ამ საკითხების კარგი გაცნობა იყო. ყველა იმ პოლიტიკურმა ლიდერმა, რომელიც ამ პროცესში იყო ჩართული, ძალიან კარგად იციან ორივე მხარის აზრი, ასევე კარგად იციან, თუ რისი გაკეთება არის საჭირო იმისთვის, რომ შეთანხმებამდე მივიდნენ, მათ უნდა გამონახონ კომპრომისი“.

რა შემოგვთავაზა დანიელსონმა, ორივე მხარისგან კომპრომოსული ნაბიჯების გადადგმის გარდა?

## «თუ მთქმელს და გამგონს ერთმანეთის ენა არ ესმით, იქ არც თქმაა და არც გაგონება, მაშასადამე, არც განკითხვაა და არც სამართალი»

**ყველამ უნდა მოთოკოს პოლიტიკური ამბიცია — ამის სათქმელად ჩამოდის კრისტიანიო. რა, გადამთიელმა რომ არ გითხრათ, თქვენ არ იცით, რომ მხოლოდ შეთანხმებით, ხალხისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით დაიმსახურებთ პატივისცემას და მოიპოვებთ ნდობას შინ თუ გარეთ?! ვის ეკითხებოდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომელ უცხოელს ეძახდნენ, მოდი და ქვეყანა დაგვილაგეო?!** მაგრამ ჩვენ ხომ დაგვავიწყდა ჩვენი ისტორია. დიდი ილია კი გვეუბნება, რომ „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის“.

აი ეს კი იმის გასახსენებლად, საიდან მოვდივართ, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები და ვის უნდა მივბაძოთ ჩვენ, რადგან სხვა უფლება არ გვაქვს!

### წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

# დავით აღმაშენებელი



**არ ვიცით, სხვა როგორა ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის.**

**უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი.** დავიწყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვნება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. **ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს-სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.**

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, — ამბობს ბრძენი სენეკა, — იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია (ახალი სტილით 8 თებერვალი). ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. **ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..**

ხოლო **დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდ-ბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების კაცისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა**, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

...ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ-ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

**აი ეს დიდებული მეფე რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა.** ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველთათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამბობს ჩვენი ერი: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა — წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

**გაზეთი „ივერია“, 17, 1888 წ.**

## «ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს-სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა»

პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე გადავაბიჯეთ კაცობრიობის გამოკვების დედამიწაზე არსებული რესურსის მაქსიმუმს, ამოვწურეთ. მეორეც, — გლობალური დათბობის კრიტიკულ ფაზაში შესვლის გამო, რომელიც წყალდიდობით, თოვლითა და ყინვით, ქარიშხლით, ხანძრით, ცუნამითა და კატასტროფული ანომალიების გრანდიოზული მასშტაბებით არის წარმოდგენილი.**

# პალიმფსესტები გლობალური დათბობის თემაზე, ანუ გვემუქრება თუ არა საყოველთაო შიმშილი?

პალიმფსესტი — ისევ, ხელახლა; ხელნაწერი, რომლის ფურცლები გადარეცხვის შემდეგ ხელახლა არის გამოყენებული...
ძველი ტექსტის კვალი მაინც არ ქრებოდა
(ქსე, ტ.7, გვ. 652).

**წერილს, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სიახლის პრეტენზია არ აქვს — შეხსენებაა არაერთხელ ნათქვამისა და გამოქვეყნებულის. პალიმფსესტია-მეთქი, ამიტომ ვამბობ. სხვა არაფერი. თუმცა პრობლემა უაღრესად აქტუალურია და ღირს, მგონი, ყურადსაღებად მოქმედი ხელისუფლების მესვეურთათვის, თუ, რა თქმა უნდა, მიიჩნევენ, რომ დრო არ ითმენს და პერსპექტივაც არ არის ისეთივე მიუწვდომელი, როგორც ჰორიზონტი მზის ჩასვლის ჟამს თურქეთის მიმართულებით.**



ქართველი სელექციონერები და ფერმერები „ლომთაგორის“ ნაკვეთზე

**მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 23 ჯიშიდან 14 ქართულია. გენეტიკურად გამძლე მარცვლეულის 70 პროცენტი ქართული ჯიშებისაა. თანამედროვე ჯიშებად უფრო მოსავლიანები ითვლება. ეს ჯიშები ჩვენ გამოგვყავს «ლომთაგორაში». მასალას ვიღებთ სამხრეთ ამერიკიდან, მექსიკოში გვაქვს გენბანკი, ადაპტაცია ხდებოდა წლების განმავლობაში. ერთ ჯიშზე 10-12 წელიწადი ვმუშაობთ ხოლმე**

ერთხელ უკვე წავედით ცისა და მიწის ამ შესაყარისკენ, როცა გასული საუკუნე ნულოვან წლებს უახლოვდებოდა. ალილოსავით ჩამოვუარეთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს — ყოფილ „პურის ბელღებს“, შიმშილის პირას მყოფი საქართველოსთვის ხორბლის სასესხებლად.

## პალიმფსესტი პირველი: „შე ნე მანჟ პა სი ჟურ... გაიღეთ მოწყალება“...

ეს დღეებია, თურქეთის ქვეშევრდომ **ოსტაპ ბენდერ ბეის** მიერ გაბითურებული **კისა ვორობიარინოვის** ამ სიტყვებს (ექვსი დღეა, არაფერი მიჭამიაო) ციტირებს ქართული მედია. ექსკურსანტებისგან ფულის შოვნას ცდილობდა „აზრის გიგანტი, რუსეთის დემოკრატიის მამა და იმპერატორთან დაახლოებული პერსონა“.

მეც გავერიე მარაქაში, რადგან ის სიტუაცია, რომლის თვითმხილველი ვიყავი, გარკვეულწილად ჰგავდა „თორმეტი სკამის“ აღნიშნულ ეპიზოდს, ოღონდ ტრაგიკულს, გამოუვალი მდგომარეობის გამო.

უპერსპექტივოს.

საქართველოს საგანგებო მისიას, **ედუარდ შევარდნაძის** დავალებით, ჩვენი პრემიერმინისტრი **ოთარ ფაცაცია** ედგა სათავეში. მოწმე ვიყავი, როგორ უჭირდა ქართული ღირსებითა და კაცური თავმოყვარეობით სავსე ამ ადამიანს მთხოვნელის როლის შესრულება, მაგრამ **უფრო უჭირდა საქართველოს და ბატონი ოთარიც თხოვდა, თუმცა იმგვარად, რომ არც თავისი ღირსება დაემცრო, მით უფრო, არც სუვერენული ქართული სახელმწიფოსი.**

ვერც მაშინ ვხვდებოდი, ვერც ახლა, ოცდაათი წლის შემდეგ, ამიხსნია, როგორ ახერხებდა ამას ბატონი ოთარი, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობამდე დიპლომატიური მისიის შესრულების გამოცდილება არ ჰქონია და არც დასჭირვებია.

მაგრამ ახერხებდა. უმაღლეს დონეზე.

თავდაპირველად ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **უზაკბაი ყარამანოვთან** ჩავედით (გვარი თუ არ მეშლება).

ამაოდ.

ვეწვიეთ უკრაინის პირველ პრეზიდენტს — **ლეონიდ კრავჩუკსაც.**

ბევრი ვერაფერი. თავადაც უჭირდათ.

ბოლოს რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს, ლეგენდარულ **ვიქტორ ჩერნომირდინს** მივაკითხეთ, რომლის „მახვილსიტყვაობა“ ციტატებად ვრცელდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში (მაგალითად, „Хотели как лучше, вышло как всегда“).

ჩერნომირდინმა არა მხოლოდ ხორბლის პრობლემა გადაგვიწყვიტა, არამედ რუსეთის „გაზპრომის“ მმართველი ვიახირევი ჩვენი თანდასწრებით „კედელთან მიაყენა“ და უბრძანა, დაუყოვნებლივ განეახლებინა საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება, რომელიც შეწყვეტილი გვქონდა 6 მილიონი რუბლის გადაუხდელობის გამო... მხოლოდ 6 მილიონისა, რომელიც ზოგიერთ ჩვენ თანამემამულეს დოლარში კონვენტირებული დღეს ერთ ჯიბეში უდევს.

თუმცა რა ჩვენი საქმეა.

ჩვენ გვალვა გვაწუხებს, რადგან საქართველოში სარწყავი ფართობი სავარგულების საერთო რაოდენობის მხოლოდ 15-18 პროცენტი თუ არის. უფრო ზუსტად, გვალვაგამძლე ხორბლის ჯიშების ბედით ვართ დაინტერესებული, რომლებიც ჩვენი მეცნიერი სელექციონერების მიერ არის გამოყვანილი.

და დანერგილი უნდა იყოს.

## პალიმფსესტი მეორე: „პური ჩვენი არსობისა“

თითქოს საიდან სადაო:

„ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს?“ — თავად ლუარსაბ თათქარიძეს, მუცელღმერთობისა და გონებრივი შეზღუდულობის ამ განზოგადებულ მხატვრულ სახეს, ილია ჭავჭავაძისეული სარკაზმი რომ გამოვაცალოთ, ხელში შეგვრჩება დღევანდელობის უმწვავესი, შიმშილის გარდაუვალობის პრობლემა.

რით და როგორ გამოვკვებოთ დედამიწის მკვიდრთა ამჟამინდელი და მომავალი თაობები?

შიმშილის პრობლემამ, დიდი ხანია, დაკარგა პოლიტიკურ ასპარეზზე პარტიების ბრძოლის არგუმენტის, ანუ მასების გულის მოსაგები პოპულიზმის მნიშვნელობა და ადამის მოდგმის ყოფნა-არყოფნის პრობლემა ჩამოყალიბდა.

გადაშენების!

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ **უკვე გადავაბიჯეთ კაცობრიობის გამოკვების დედამიწაზე არსებული რესურსის მაქსიმუმს, ამოვწურეთ; მეორეც, გლობალური დათბობის კრიტიკულ ფაზაში შესვლის გამო, რომელიც წყალდიდობით, დიდთოვლობითა და ყინვით, ქარიშხლით, ხანძრით, ცუნამითა და კატასტროფული ანომალიების გრანდიოზული მასშტაბებით არის წარმოდგენილი.**

დედამიწის კლიმატური სისტემის საშუალო ტემპერატურის ხანგრძლივი მატება, რომელიც, საუკუნეზე მეტია, მიმდინარეობს, ძირითადად, ადამიანის საქმიანობის შედეგია და მეცნიერთა მიერ ანთროპოგენურ ფაქტორად არის მიჩნეული.

ამ ბუნებრივი კატაკლიზმებიდან ადამიანისთვის ერთ-ერთ საშიშ მოვლენად ითვლება სურსათის კლების პრობლემა გვალვით გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის კატასტროფული შემცირების გამო. მათ შორის, უპირველესად, ხორბლისა, რომელიც კაცობრიობის გამოკვების მთავარი პროდუქტია, სახელად პური.

**დღის წესრიგში, პრაქტიკულად, ყოველთვის იდგა ადგილობრივი წარმოების ხორბლით საქართველოს საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხი, რომლის გადასაწყვეტად მიმართული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებით დაკავებული სამეცნიერო ინსტიტუტები და სახელმწიფო სტრუქტურები.**

ამ თემას მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც ოქროყანაში გაიმართა 2004 წლის დასაწყისში. მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი სელექციონერები. პრობლემა გადაწყვეტის სტადიაში შევიდა.

და ამ დროს დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის მართვის სადავეები ჩვენმა მიმნდობმა ხალხმა, რომელიც მიჩვეული იყო ხელისუფლების სიტყვის გაუტეხლობას, დაპირებების შესრულებას, რომელიც ყოველთვის ახლოს საძიებლად და დასამკვიდრებლად იყო მიმართული, ძალაუფლება ავანტიურისტ **სააკაშვილს** ჩაუგდო ხელში.

ლანგრით მიართვა: აილე და გვიბატონეო!

**პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა, მეცნიერებას შეუტია. ეს ცნობილია. დაარბია, დაშალა, დაანაკუწა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აწყობილი სისტემა, მათ შორის 17 კვლევითი ინსტიტუტი საცდელი ბაზებით, სამი ტრადიციული უმაღლესი სასწავლებელი. ხორბლის ახალი ჯიშების გამოცდა და წარმოებაში დანერგვა აღარავის ახსოვდა. სხვანაირად ვერც იქნებოდა ისეთი მინისტრის ხელში, როგორიც უმწიფარი და გაუნათლებელი ყმაწვილი ბაკურ კვეზერელი იყო და რომელიც ხალხს ერთადერთი ფრთიანი ტერმინით დაამახსოვრდა: „მამალი ძროხა“.**

## პალიმფსესტი მესამე: მას შემდეგ, რაც „მამალმა ძროხამ“ ახალი ჯიშების ჯეჯილი გადაძოვა

მაგრამ ჯიშები, გვალვაგამძლე და უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშები გადარჩა. აილე და დანერგე! თითქოს ამაზე მარტივი რა უნდა იყოს, გაიმართე წელში, ნუ ჩაუვარდები მუხლებში ისეთ სახელმწიფოს, რომელიც მოწყალებას მხოლოდ საკუთარი ინტერესებისადმი დამორჩილების საფასურად გაიღებს.

ამასობაში **ყაზახეთმა, რომელიც ხორბლით საკუთარი მოთხოვნების უზრუნველყოფას ძლივძლივობით ახერხებდა, ისე გაშალა და გააფართოვა ხორბლის წარმოება, რომ საქართველოს სთხოვა**

# თუ გვაქვს ღვინის სააგენტო, ხორბლის სააგენტო რატომ არ უნდა გვქონდეს?! თუკი საქართველო ორივე ამ კულტურის სამშობლოდ ითვლება, მაინცდამაინც ერთს რატომ უნდა ვანიჭებდეთ უპირატესობას, მით უფრო, რომ ათვისებული არ გვაქვს რესურსები, რომლებიც ამ მიმართებით აუთვისებელია. მსოფლიოში კი აღარ დარჩა?!

პრობლემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფოთის ნავსადგურის ერთ-ერთი ტერმინალის გრძელვადიანი იჯარით გადაცემა ხორბლის იმპორტის დაუბრკოლებელი ციკლის ასამოქმედებლად.**

და რადგან შავ ზღვაში ოქროს თევზი არ ბინადრობს, ჩვენი ხელისუფლება გატეხილი ვარცლის ამარა აღმოჩნდა: **ვალუტა, რომელიც გვალვაგამძლე ჯიშების სათესლე მასალის გაყიდვით შეიძლებოდა ქვეყნის ბიუჯეტს შემატებოდა, გამოუყენებელ რეზერვად დარჩა.**

ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილი ჯიშები გადარჩა-მეთქი, გითხარით. ახლა დავაზუსტებ: **შპს ფირმა „ლომთაგორას" წყალობით,** რომელიც ერთადერთი აგროსამეცნიერო ჯგუფია საქართველოში.

ამ უნიკალური ერთობის დირექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ **კახა ლაშხს** ჩამოვართვი ინტერვიუ.

ვკითხე — **ჰქონდა თუ არა სახელმწიფო სტრუქტურებს „ლომთაგორაში" გამოყვანილი ჯიშების წარმოებაში დანერგვის თაობაზე საქმიანი რეაქცია, თუნდაც იმ მიზნით, რომ პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე სულ უფრო რეალურად იკვეთება, ჩვენთვის მაინცდამაინც მწვავე არ ყოფილიყო?**

— სახელმწიფომ შემოიტანა შესაბამისი აქციები. ახალია, ხარვეზებით ხასიათდება, მაგრამ იმედი მაქვს, ჩამოყალიბდებიან და ნაკლოვანებებსაც გამოასწორებენ. სერტიფიცირების საკითხია მთავარი, როცა სახელმწიფო ხდება პასუხისმგებელი — თვითონ ცდის ჯიშებს, იკვლევს, ნერგავს. უწინ ბევრი სადგური იყო, სამწუხაროდ, ახლა არც ერთი აღარ არის. ჩვენღა შემოვრჩით. ბევრი კი გვჭირდება, რადგან ამჟამად მსოფლიოში ამ ხორბლის სათესლე მასალის დიდი დეფიციტია. გლობალური დათბობა ძალიან აწუხებს ყველას, დიდ ქვეყნებს — მით უფრო, დიდი რადიაციის გამო. **საქართველო დიდი და პატარა კავკასიონით დაცულია და უნდა გამოვიყენოთ ეს უპირატესობა. ჩვენ შეგვიძლია, საჭირო რაოდენობით ვაწარმოოთ თესლი და დანარჩენ მსოფლიოსაც ვუწილადოთ, დაინტერესებული ქვეყნების მოთხოვნების უზრუნველყოფა მაღალ ნიშნულამდე შეგვიძლია ავწიოთ.**

ახლა ხორბლით ჩვენი დაკმაყოფილება 10 პროცენტია, 90 პროცენტი კი შემოგვაქვს, ეს დისპროპორცია უნდა გამოვასწოროთ. ჩვენი მიზანი ეს არის. **შვილებსა და შვილიშვილებს ახლა რომ ვუთხრათ, პურის რიგებში ხალხი გვეხოცებოდა, არ დაიჯერებენ, გაეცინებათ. არადა, ეს გამოვიარეთ. შევარდნაძის მოხერხებულობით ერთ წელიწადში ქვეყანაში დაითესა 257 ათასი ჰექტარი ხორბალი. მომსწრე ვარ ამის. შემდეგ პურის დეფიციტი აღარ გვქონია.**

**— რომელი ჯიშის ხორბალს ვთესავდით?**

— მაშინ ჯერ კიდევ კომუნისტურ ყოფასთან ახლოს ვიყავით და რუსული ჯიშები ითესებოდა. ერთიანად, მთელ კავშირში. სხვათა შორის, ჩვენს ჯიშებზე გაკეთებული ჯიშები უკან გვიბრუნდებოდა. სხვანაირ ხორბალზე ვიყავით აქცენტირებული. **მთავარი იყო, გვქონოდა პური, ჩვენი პური.** იმ დროს ხორბლის 10 დიდი სადგური იყო. მდიდარი ტრადიცია არსებობდა. ბერიას პერიოდში თბილისში გვქონდა მსოფლიო თესლის გენბანკი, მხოლოდ ხორბლის კი არა, ბაობაბით დაწყებული, ყველაფრის თესლით. დღევანდელი ცირკის ქვეშ იყო განთავსებული. ბერია რომ დახვრიტეს, რუსეთში გაიტანეს ეს უნიკალური გენბანკი.

მაშინდელი სელექცია დღემდე სამაგალითოა საქართველოში. რაც კარგია, უნდა ვთქვათ.

**— მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ წინ წავიწიოთ და დღევანდელი საზრუნავი, პერსპექტივის წინაშე უსასოობა მოვუხსნათ ჩვენს ხალხს?**

— ამჯერად მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციით შემოვიფარგლე. ჩემი თვალსაზრისი გაგაცანით. თუ ჩავუღრმავდებით საკითხს, დაფინანსებას წამოვწევდი, სისტემურ მოწესრიგებას, სპეციალური სამსახურის — ხორბლის სააგენტოს შექმნის აუცილებლობას.

**თუ გვაქვს ღვინის სააგენტო, ხორბლის სააგენტო რატომ არ უნდა გვქონდეს?! თუკი საქართველო ორივე ამ კულტურის სამშობლოდ ითვლება, მაინცდამაინც ერთს რატომ უნდა ვანიჭებდეთ უპირატესობას, მით უფრო, რომ ათვისებული არ გვაქვს რესურსები, რომლებიც ამ მიმართებით აუთვისებელია. მსოფლიოში კი აღარ დარჩა?!**

ეს ვითარება უნდა გამოვიყენოთ, ერთ სისტემაში მოვაქციოთ. ასეთია ჩემი თვალსაზრისი.

**— ამ იდეების შესახებ თუ არის საქმის კურსში შესაბამისი საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურები?**

**ჩერნომირდინმა არა მხოლოდ ხორბლის პრობლემა გადაგვიწყვიტა, არამედ რუსეთის «გაზპრომის» მმართველი ჩვენი თანდასწრებით «კედელთან მიაყენა» და უბრძანა, დაუყოვნებლივ განეახლებინა საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდება, რომელიც შეწყვეტილი გვქონდა 6 მილიონი რუბლის გადაუხდელობის გამო... მხოლოდ 6 მილიონისა, რომელიც ზოგიერთ ჩვენ თანამემამულეს დოლარში კონვენტირებული დღეს ჯიბეში უდევს**


პურის ყანა

**თუ გვაქვს ღვინის სააგენტო, ხორბლის სააგენტო რატომ არ უნდა გვქონდეს?! თუკი საქართველო ორივე ამ კულტურის სამშობლოდ ითვლება, მაინცდამაინც ერთს რატომ უნდა ვანიჭებდეთ უპირატესობას, მით უფრო, რომ ათვისებული არ გვაქვს რესურსები, რომლებიც ამ მიმართებით აუთვისებელია. მსოფლიოში კი აღარ დარჩა?!**

— ალბათ, არის. მაგრამ მწირი დაფინანსების გამო იდეების მასშტაბური რეალიზაცია შეუძლებელი ხდება. ყოვნდება და შეიძლება გაჭიანურდეს, როგორც გასული ოცდაათი წლის განმავლობაში ხდებოდა. დაგვიანება უფრო გააძნელებს და გააძვირებს, რადგან, მოგეხსენებათ, ჩვენი სეზონურობის პრობლემა — ცაზე ვართ დამოკიდებული, ამინდზე. საფუძველი ახლავე უნდა ჩაიდოს, რადგან ჩვენ ხომ ერთწლიან კულტურებზე ვსაუბრობთ.

**— და ამასობაში ყაზახეთი ისე ზრდის ხორბლის მოსავალს, რომ საქართველოს სთხოვს, იჯარით მისცეს ფოთის ნავსადგურის ტერმინალი უცხოეთთან ხორბლით ვაჭრობის გასაფართოებლად.**

— ყაზახ მეცნიერებს ჩვენი თანამემამულეების წინ ვერ დავაყენებ. დიდ ტერიტორიაზე დიდი მოსავალი მოჰყავთ, მაგრამ მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე ჩვენზე 7-8 ცენტნერით ნაკლებია. ბოლოს ისეთი გვალვა იყო ყაზახეთში, რომ, მგონი, სათესლე მასალაც არ დარჩათ.

მთელ მსოფლიოშია ეს პრობლემა. ჩვენც უნდა მოვემზადოთ, თორემ, ადაპტაცია თუ არ მოვახდინეთ, აღმოვჩნდებით იმავე კრიტიკულ მდგომარეობაში, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში დღემდე წარუშლელია.

ამიტომ ჩვენი სამყოფი ხორბალი ჩვენვე უნდა მოვიყვანოთ, რა პრობლემაა! საქართველოში უფრო ბარაქიანი მოსავლის მოყვანა შეგვიძლია, ისეთი რეგიონი გვაქვს, ისეთი ჯიშები გაგვაჩნია.

**— მაგალითად?**

— ჯგუფის სახელით გიპასუხებთ: მასობრივი ხასიათის ჯიშები არ არის, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, დაგისახელებთ დოლის პურებს, როგორებადაც ითვლება **ახალციხის დოლის პური, კახური დოლის პურები, თეთრი დიკა, შავი დიკა. მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 23 ჯიშიდან 14 ქართულია**. გენეტიკურად გამძლე მარცვლეულის 70 პროცენტი ქართული ჯიშებისაა. თანამედროვე ჯიშები უფრო მოსავლიანებია. ისინი ჩვენ გამოგვყავს „ლომთაგორაში". მასალას ვიღებთ სამხრეთ ამერიკიდან, მეხიკოში გვაქვს გენბანკი, ადაპტაცია ხდებოდა წლების განმავლობაში. ერთ ჯიშზე 10-12 წელიწადი ვმუშაობთ ხოლმე.

ბევრი გვაქვს ასეთი ჯიში, მაგრამ ცოტა დაფინანსება გვჭირდება, მასშტაბური რომ გავხადოთ.

„მასშტაბში რომ მოვაქციოთო", — ასე თქვა ბატონმა კახა ლაშხმა. ყოველი წელიწადი იწყებაო ახალი და ახალი ჯიშების დარაიონებით. გამარჯვებული ჯიშები სამიდან ხუთი წლის შემდეგ შედის კატალოგში: გამოცდას დრო სჭირდება. **მოკლედ, ჩვენს ჯიშებს „ლომთაგორა" ჰქვია და დანომრილია: ლომთაგორა 126, 127 და ასე შემდეგ.**

თქვა ეს და ასე დაასრულა ჩვენი ინეტერვიუ:

შარშან კოვიდის ვირუსით დაავადდა და გამოგვაკლდა ძალიან დიდი სელექციონერი, ბატონი **ზურაბ ჯინჯიხაძე,** აკადემიკოს **ლეონარდ დეკაპრელევიჩის** მოწაფე. 20 წლის განმავლობაში განაგებდა იგი ქართული სიმინდის სელექციის საკითხებს ჩვენს სამეცნიერო ჯგუფში.

ვასრულებ თქვენს თხოვნას, ბატონო კახა.

**დეკაპრელევიჩის გვარს საქართველოში ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენებენ. იგი იყო რუსეთის ბოტანიკური საზოგადოების ერთ-ერთი პირველი საპატიო წევრი, მსოფლიოში ცნობილი გენეტიკოსი, ბიოლოგი, სელექციონერი.**

**არმაზ სანებლიძე**



**პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა, მეცნიერებას შეუტია. ეს ცნობილია. დაარბია, დაშალა, დაანაკუწა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აწყობილი სისტემა, მათ შორის 17 კვლევითი ინსტიტუტი თავიანთი საცდელი ბაზებით, სამი ტრადიციული უმაღლესი სასწავლებელი. ხორბლის ახალი ჯიშების გამოცდა და წარმოებაში დანერგვა აღარავის ახსოვდა. სხვანაირად ვერც იქნებოდა ისეთი მინისტრის ხელში, როგორიც უმეცარი და გაუნათლებელი ყმაწვილი ბაკურ კვეზერელი იყო და რომელიც ხალხს ერთადერთი ფრთიანი ტერმინით დაამახსოვრდა: «მამალი ქროხა»**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეცნიერთა აზრით, ნასკას გეოგლიფები დაკავშირებულია ასტრონომიულ მოვლენებთან ან, შესაძლოა, სარწყავ სისტემასთან. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ ნასკას ხაზები დაკავშირებულია მსოფლიოში მიმოფანტულ უძველეს ნაგებობებთან, როგორც გიგანტური რუკა.**

# 6 იდუმალი ადგილი დედამიწაზე

**პლანეტის ბევრ ადგილზე ხდება იდუმალი მოვლენები. 21-ე საუკუნეში თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით მეცნიერებმა უამრავ იდუმალ მოვლენას ახადეს ფარდა, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ ამოუხსნელია.**



## 1. მარადიული ცეცხლი ნიუ-იორკში

ერთ-ერთი უცნაური და ამოუხსნელი მოვლენა ნიუ-იორკშია. წყალი და ცეცხლი ერთმანეთის საწინააღმდეგო ელემენტებია, მაგრამ ნიუ-იორკში ისინი საოცარ სანახაობას ქმნის.

ჩესტნატ-რიჯის პარკში 10 მ სიმაღლის ჩანჩქერის ქვეშ დამალულ მღვიმეში მარადიული ცეცხლი გიზგიზებს. მეცნიერები თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ეს ცეცხლი გაჩნდა გავარვარებულ ქანთან ბუნებრივი აირის შეხების შედეგად, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ქანი სულაც არ არის ისეთი მაღალი ტემპერატურის, რომ ცეცხლი გააჩინოს. ასე რომ, რა ხდება იქ, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ცეცხლი ზოგჯერ ქარის ზემოქმედებით ქრება, მაგრამ ტურისტები კვლავ ანთებენ.



## 2. დაგრეხილი ხეების ტყე პოლონეთში

ქალაქ გრიფინოსთან ახლოს არის 400 ძირი ძალიან უცნაური ფიჭვის კორომი, რომელიც დასავლეთ პომერანიის დიდი ტყის შუაგულში მდებარეობს, თითოეული ხე უცნაურად არის გადაღუნული. ეს ხეები დაახლოებით 1930 წელს დარგეს, მაგრამ რატომ დაიგრიხა მათი ტანი, უცნობია. ეს მცენარეები სრულიად ჯანმრთელია და დაახლოებით 15 მეტრის სიმაღლისა იზრდება.

ზოგი ამბობს, რომ ეს მოხდა განსაკუთრებული გრავიტაციული მიზიდულობით, მაგრამ ეს ვერ ხსნის, რატომ გადაიხარა ხეები განზე, როცა სიმძიმის ძალა მათ ძირს ექაჩება. სხვების აზრით, როცა ხეები ნორჩი იყო, ძლიერი თოვლი მოვიდა და მათი ტანი გადაღუნა. რადგან ქალაქი მიტოვებული იყო მეორე მსოფლიო ომის წინ და ადამიანები იქ ხელახლა 1970-იან წლებში დასახლდნენ. სავარაუდოდ, ვერასდროს შევიტყობთ, როგორ და რა მიზეზით დაიგრიხა ეს ხეები.





## 3. ჰესდალენის ველის უცნაური ცეცხლი, ნორვეგია

სულ ცოტა, 100 წლის განმავლობაში ადამიანები ხედავდნენ ცეცხლის უცნაურ სფეროებს, რომლებიც ნორვეგიის ერთ-ერთი სოფლის თავზე გადაადგილდებოდა. კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ ცეცხლის სფეროები ზომებს იცვლის და, სანამ გაქრება, უწესრიგოდ გადაადგილდება. ზოგჯერ სფეროებს 2,5-3 მეტრის დიამეტრიც ჰქონდა.

ჰესდალენის მცხოვრებნი კვლავ ხედავენ ცეცხლოვან სფეროებს. მოვლენამ მეცნიერებისა და უფოლოგების ინტერესი გამოიწვია. ჰესდალენში ცეცხლოვანი სფეროები წელიწადში 20-ჯერ მაინც ჩნდება. მეცნიერები უარყოფენ მოსაზრებას, რომ ცეცხლი ამოუცნობი მფრინავი ობიექტების გადაადგილების შედეგად ჩნდება. მოვლენის ყველაზე მარტივი ახსნა არის ის, რომ ცეცხლი ჩნდება კოსმოსში რაკეტების გაშვების შედეგად, მაგრამ არის თუ არა ეს მოვლენის უტყუარი ახსნა, რადგან ცეცხლოვანი სფეროები სარაკეტო ტექნოლოგიების შექმნამდეც ჩნდებოდა?!



## 4. ისლანდიის ელფები

ისლანდიის მოსახლეობის ნახევარზე მეტს სჯერა ვულკანურ კლდეებში მცხოვრები ელფების არსებობის. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ხედავენ და ელაპარაკებიან კიდეც ელფების ოჯახებს; სხვები, უბრალოდ, აღიარებენ მათ არსებობას. ითვლება, რომ ისინი ბინადრობენ ჩვენი სამყაროს უხილავ ნაწილში, ამიტომ ყველას არ შეუძლია მათი დანახვა. ადგილობრივი მცხოვრებლები იცავდნენ ელფების სახლებსა და ადგილებს, რომლებზეც რაღაცის აშენება სურდათ სამშენებლო ორგანიზაციებს. მაგალითად, სამშენებლო პროექტები, მათ შორის დედაქალაქ რეიკიავიკის შოსეს მშენებლობა შეჩერდა, ზოგიერთი კი სხვაგან გადაიტანეს, იმიტომ, რომ ელფები არ შეეწუხებინათ.



## 5. ნასკას ხაზები პერუში

ნასკას ხაზების საიდუმლო უკვე არაერთი საუკუნეა აუხსნელია. გიგანტური ხაზები, რომლებმაც დროს გაუძლო, 50 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს და მნახველს აცვიფრებს. პერუს ტერიტორიაზე შექმნილი არც ისე ღრმა გრავიურები სხვადასხვა ფორმისაა, მათ შორის ცხოველისა და მცენარის 70 ფორმაა. ამ გამოსახულების დანახვა მხოლოდ ზემოდან შეიძლება. ხაზები მასიურია, ზოგიერთის სიგრძე კმ-ზე მეტია. მეცნიერების აზრით, ისინი ადამიანების შექმნილია ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 500-დან ჩვენი წელთ აღრიცხვის 500 წლამდე პერიოდში.

შაინტერესოა, რა დანიშნულება ჰქონდა ამ ხაზებს. მეცნიერთა აზრით, ნასკას გეოგლიფები დაკავშირებულია ასტრონომიულ მოვლენებთან ან, შესაძლოა, სარწყავ სისტემასთან. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ ნასკას ხაზები დაკავშირებულია მსოფლიოში მიმოფანტულ უძველეს ნაგებობებთან, როგორც გიგანტური რუკა.

რაც დანამდვილებით ვიცით, არის ის, რომ ეს ხაზები ნებისმიერ სხვა კლიმატში უცვლელი ვერ დარჩებოდა. ნასკას მშრალ პირობებში ეს უცნაური გრავიურები შესანიშნავადაა შენახული.






## 6. ბერმუდის სამკუთხედი

სამწუხარო ამბებით განთქმულ ამ იდუმალ ადგილს დიდი წარდგენა არ სჭირდება. ბერმუდის სამკუთხედი მოიცავს ფართობს ფლორიდის, მაიამის, პუერტო-რიკოს, სან-ხუანსა და კუნძულ ბერმუდას შორის. მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში ეძებდნენ ამ სივრცეში იდუმალი მოვლენების ლოგიკურ ახსნას, ზოგიერთი კი ყველაფერს ზებუნებრივ ძალებს მიაწერს.

ბერმუდის სამკუთხედს, რომლის ისტორიაც ასეულობით წელს ითვლის, მიაწერენ 75 თვითმფრინავის, 100-ზე მეტი საზღვაო ხომალდისა და ათასობით ადამიანის გაუჩინარებას. ამ ადგილას კომპასის ისრები უკონტროლოდ მოძრაობს.

ბერმუდის სამკუთხედის ლეგენდა 1492 წლის 11 ოქტომბრიდან იწყება. ქრისტეფორე კოლუმბმა, გადმოცემის თანახმად, პირველი მოგზაურობისას, კუნძულ გუანაჰანიზე გადასხდომამდე, ზღვაში რაღაც უცნაური ნათება შენიშნა.

აქამდე არ არსებობს მეცნიერული თეორია, რომელიც უტყუარად ახსნის ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოს. აღსანიშნავია, რომ ბოლო უბედური შემთხვევა ამ რაიონში 2020 წლის 28 დეკემბერს მოხდა, როცა ნავი, რომელშიც 20 ადამიანი იჯდა, გაუჩინარდა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა მესი „ბარსელონაში“ თამაშს იწყებდა, რონალდინიო უკვე იყო „ადამიანი სხვა პლანეტიდან“. ის პსჟ-დან იყიდეს 32 მლნ ევროდ, 2004-ში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა, 2005-ში — „ოქროს ბურთი“. მას უკვე შექმნილი ჰქონდა იმპერია R10 და ილიმოდა ფეხბურთის მოყვარული ბავშვის ოთახებში გაკრული პლაკატებიდან. ის ხომ ბურთით აკეთებდა იმას, რასაც ბავშვები ეთაყვანებიან — ფოკუსებს.**

# ორი გენიოსი

## როგორ მეურვეობდა ვარსკვლავი რონალდინიო ყმაწვილ მესის

**ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა კაშკაშა ვარსკვლავმა, 2005 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელმა 2004-სა და 2005 წლების მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა რონალდინიომ, რომელსაც წელს, 21 მარტს, 41 წელი შეუსრულდა, კარიერა 2018 წლის იანვარში დაასრულა.**

ვისაც რონალდინიოს თამაში უნახავს, არასოდეს დაავიწყდება მისი ფანტები და ფილიგრანული გადაცემები. ის სნეული იყო ფეხბურთით და ეს სენი მილიონებს გადასდო, მაგრამ ის არა მხოლოდ შესანიშნავი დარტყმებისა და ლამაზი ფინტებისთვის უყვარდათ.

**ჩვენ 2 წლის წინათ დიდი წერილი მივუძღვნით ბრაზილიელი ფეხბურთელის თამაშსა და მიღწევებს („რონალდინიო-გაუჩო — ფეხბურთელი-გენიოსი“. იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №43, 2019 წ.). ახლა კი გთავაზობთ ფაქტებს რონალდინიოსა და ლიონელ მესის ურთიერთობაზე — როგორ მეურვეობდა ბრაზილიელი ფეხბურთელი ყმაწვილ არგენტინელს „ბარსელონაში“.**

**მას შემდეგ 17 წელი გავიდა. მესიმ რამდენიმე დღის წინათ, 21 მარტს, 768-ე მატჩი ითამაშა „ბარსელონას“ მაისურით და რეკორდი დაამყარა.**

### შესანიშნავი ურთიერთობის დასაწყისი

2006 წელს „ბარსელონა“ აშშ-ში ტურნეს მართავდა, ლოს-ანჯელესში კლუბი იქაურ კერპებს შეხვდა — „ლეიკერსის“ კალათბურთელებს, რონალდინიომ თავის მეგობარს, ლეგენდარულ **კობი ბრაიანტს** მიმართა:

— კობი, მე გაგაცნობ ერთ ყმაწვილს. ის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი იქნება.

— რა? საუკეთესო შენ ხარ!

— არა. აი ეს ბიჭი იქნება საუკეთესო და რონალდინიომ მიუთითა მესიზე.

როცა მესი „ბარსელონაში“ თამაშს იწყებდა, რონალდინიო უკვე იყო „ადამიანი სხვა პლანეტიდან“. ის პსჟ-დან იყიდეს 32 მლნ ევროდ, 2004-ში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა, 2005-ში — „ოქროს ბურთი“. მას უკვე შექმნილი ჰქონდა იმპერია **R10** და ილიმოდა ფეხბურთის მოყვარული ბავშვის ოთახებში გაკრული პლაკატებიდან. ის ხომ ბურთით აკეთებდა იმას, რაც ბავშვებს ძალიან მოსწონთ — ფოკუსებს. ლეო მესი კი ახალი გადასული იყო „ბარსას“ მეორე გუნდიდან, ჰქონდა სულელური გრძელი ვარცხნილობა, ბევრს არ ლაპარაკობდა და ყველასთან მორიდებული იყო — ვარჯიშებზე გოლის გატანის მომენტშიც კი წითლდებოდა. რონალდინიომ კი, როცა დაინახა, რომ ბიჭი მორიდებული იყო და თანაც ძალიან ნიჭიერი, დაიწყო მისი მეურვეობა. მას ეხმარებოდნენ **დეკუ, სილვინიო, მოტა** და **ედმილსონი.** რონალდინიო მესის Irmao-ს (პორტუგალიურიდან — „ძმაო“) ეძახდა; ასწავლიდა, როდის იყო უკეთესი ფლანგიდან თავისუფალ ზონაში შესვლა, უზიარებდა ჰაეროვანი მოძრაობების საიდუმლოებებს და აიძულებდა, ეყურებინა NBA-ს მატჩები, რათა გადაეღო ილეთები — მაგალითად, გადაადგილება და წყვილში მუშაობა ბლოკის დაყენებისას. ეს ახლა თამაშობს მესი 10 მატჩიდან 10-ში უზადოდ, მაგრამ სასტარტო სეზონები მაინცდამაინც წარმატებული არ ჰქონია (2004-2005 და 2005-2006-ში 46 მატჩში 14 გოლი გაიტანა).

ლეომ ბრაზილიელისგან მხოლოდ საუკეთესო შეითვისა. როცა რონალდინიომ მოუხშირა წვეულებებზე სიარულს და დაივიწყა დიეტა, მესი იმედოვნებდა, რომ ეს დროებითი იყო და შეცბუნებული უსმენდა ხოლმე რონალდინიოს ისტორიებს ბიკინიან ლამაზმანებთან. „ბარსას“ ხელმძღვანელები თათბირებზე მსჯელობდნენ ბრაზილიელის საქციელზე, მაგრამ ფანატიკოსი გულშემატკივრების კერპისთვის ხელის ხლებას ვერ ბედავდნენ. მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდა **პეპ გვარდიოლას,** რომელიც კლუბში მწვრთნელად 2008 წელს მივიდა და რონალდინიოსთან გასაუბრების შემდეგ დარწმუნდა, რომ მათი გზები უნდა გაყრილიყო.

ერთი თვის შემდეგ ბრაზილიელი „მილანში“ გადავიდა, მაგრამ მანამდე ლამაზი ჟესტი გააკეთა: მივიდა მესისთან და უთხრა, რომ №10-ს უთმობდა. 2018 წლის დეკემბერში ბრაზილიელმა განაცხადა: **„როცა მესი კარიერას დაასრულებს, და ვიმედოვნებ, რომ ეს მალე არ მოხდება, „ბარსელონამ“ 10-ნომრიანი მაისურის ჩაცმის უფლება არავის აღარ უნდა მისცეს“.**

როდესაც რონალდინიომ კარიერა დაასრულა, მესი პირველი იყო, ვინც მას სოციალურ ქსელში მიმართა: **„მე გამიმართლა, რომ შენთან ერთად უამრავ რამეს ვეზიარე. შენ არა მხოლოდ ბურთით ხარ ფენომენალური, არამედ, რაც მთავარია, შესანიშნავი ადამიანი ხარ. მიუხედავად იმისა, რომ წასვლა გადავწყვიტე, ფეხბურთი არასოდეს დაივიწყებს შენს ღიმილს. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, რონი!“**

„ბარსელონას“ მაისურით პირველი გოლი მესიმ 2005 წლის მაისში გაიტანა „ალიკანტესთან“ მატჩში. თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ლეოს სათადარიგოთა სკამიდან უხმეს, **ეტოომ** კი, რომელმაც დაინახა, რომ შეცვლას უპირებდნენ, მწვრთნელ **რაიკაარდს** ანიშნა, მოედნიდან არ გავალო, მაგრამ 87-ე წუთზე გაბრაზებულმა კამერუნელმა მაინც დატოვა მინდორი და გასახდელში შესვლისთანავე გაცოფებულმა ფეხები ურტყა კარადებს. ლეომ დაძაბულობა ჯერ კიდევ მაშინ შენიშნა, როცა მოედნის გვერდით ხაზთან იდგა, მაგრამ მასთან მივიდა რონალდინიო: **„შენ ჩემი პასით გაიტან გოლს. ხვალ კი შენი სახელი გაზეთების პირველ გვერდებზე დაიბეჭდება“.** 91-ე წუთზე მესიმ ბურთი წაართვა მეტოქეს და რონალდინიოს გაუგორა, ბრაზილიელმა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს თავზე გადაუგდო ბურთი და მესის გადასცა, მან მეკარეს გადაუგდო თავზე და კარში შეაგდო. შემდეგ გახარებული და ხელებაწეული კუთხურის ალმისკენ გაიქცა და, როცა პარტნიორებისკენ შებრუნდა, დაინახა, რომ მიახლოებულმა რონალდინიომ ოდნავ ჩაიმუხლა და ზურგი შეუშვირა. **წამის შემდეგ ბრაზილიელს ზურგით ამაყად მიჰყავდა ბედნიერი ლეო და აქეთ-იქით ოდნავ არწევდა. იმ მომენტში მესი რონალდინიოზე ერთი თავით მაღლა აღმოჩნდა. ტრიბუნების დიდი ოვაციების ფონზე რონალდინიომ არგენტინელი რამდენიმე მეტრის მანძილზე ატარა, ორჯერ შეჩერდა და 2 მიმართვა გააკეთა.**

სტადიონს: **თქვენ ახალი გმირი გყავთ!**

მესის: **კეთილი იყოს შენი მობრძანება დიდ ფეხბურთში!**







### ფაქტები რონალდინიოს ცხოვრებიდან:

*** 23 გოლი ერთ მატჩში**

13 წლის რონალდინიო პირველად გამოჩნდა ტელეეკრანზე. ხუჭუჭა ბიჭმა, რომელმაც შესანიშნავი ღიმილით დაამახსოვრა თავი ტელემაყურებელს, თანატოლებს საშინლად დასცინა: ზოგს ფეხებშუა გაუტარა ბურთი, ზოგს თავზე გადაუგდო, ზოგს თავბრუ დაახვია და მინდორზე დასცა.

მატჩი 23:0 დასრულდა. ყველა ბურთი რონალდინიომ გაიტანა.

*** აპლოდისმენტები „სანტიაგო ბერნაბეუზე“**

ამ თამაშის მიმდინარეობაზე ლაპარაკს სჯობს, ნახოთ ვიდეო, როგორ ამასხარავებს რონალდინიო მადრიდის „რეალის“ დაცვას, რისთვისაც აპლოდისმენტებით აჯილდოებენ მტრულად განწყობილ სტადიონზე, მაგრამ საინტერესო სხვა რამ არის — წლების შემდეგ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში **ანდრეს ინიესტამ** დაწერა, როგორ შეძლო რონალდინიომ თანაგუნდელების მოტივირება ამ მატჩის წინ: „კლასიკომდე“ რამდენიმე დღით ადრე რონალდინიომ ღამით დამირეკა, — ყვება **ინიესტა,** — მითხრა: „ანდრეს, ვიცი, რომ ახლა ღამის 3 საათია, მაგრამ რაღაცაში უნდა გამოგიტყდე, ივნისში „ბარსას“ დავტოვებ. ჩემი ძმა უკვე მოელაპარაკა „რეალს“. ისეთი ფული შემომთავაზეს, უარს ვერავინ იტყვის. შენ მე გამიგებ... მაგრამ არავის უთხრა გუნდში. გთხოვ, არ გამყიდო. შენ ყველაზე მეტად გენდობი. ნახვამდის, ანდრეს!“ რონალდინიომ სიტყვის თქმაც არ მაცალა. მეორე დღეს ჩვენ საწვრთნელ ბაზაზე შევხვდით და მე თავი უხერხულად ვიგრძენი. გუნდში ყველა ჩუმად იყო და რონალდინიოს გულითადად ესალმებოდა, როცა მატჩის დღე დადგა, რონალდინიომ „სანტიაგო ბერნაბეუს“ გასახდელში გვითხრა: „ბიჭებო, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია. გასაგებია, ჩვენ ძლიერები ვართ, მაგრამ ამ დღეებში მივხვდი, რომ ჩვენ ერთიანიც ვართ, როგორც ოჯახი. იმ ღამით ყველას სათითაოდ დაგირეკეთ და გითხრათ, რომ ივნისში მივდიოდი, მაგრამ სიტყვაც არავის დასცდენია. მე გავაცნობიერე, ამ ღალატს მარტოობაში ყოფნას ვამჯობინებდი. მე აქ ვრჩები. ახლა კი გავიდეთ მინდორზე და ცეცხლი შევუნთოთ „რეალს“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# შოტლანდიელები ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ემზადებიან



**შოტლანდიის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა კიდევ ერთი პარტია, რომელიც დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან გასვლას მოითხოვს.**

შოტლანდიის ყოფილმა პირველმა მინისტრმა **ალექს სალმინდმა** მაისში გასამართ საპარლამენტო არჩევნებამდე განაცხადა, რომ შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებისგან ახალი პარტია შექმნა. ამ ნაბიჯმა დაარტყა **ნიკოლა სტერჯენისა** და მისი ნაციონალური პარტიის ამბიციებს, მაგრამ გაზარდა შოტლანდიის დამოუკიდელობის გამოცხადების შანსი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **ბორის ჯონსონმა** არაერთხელ უარყო მოწოდება, ჩაეტარებინათ რეფერენდუმი შოტლანდიის დამოუკიდებლობის შესახებ. 2014 წლის რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობას გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენა სურდა, მაგრამ ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა.

6 მაისს დანიშნული საპარლამენტო არჩევნები შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს შოტლანდიელებისთვის, რადგან მასში დამოუკიდებლობის მომხრე მეტი დეპუტატი აღმოჩნდება.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# ბაიდენმა პუტინთან და სი ძინპინთან პირისპირ საუბარი ვერ გაბედა

**აშშ-ის პრეზიდენტმა, რომელმაც რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინს მკვლელი უწოდა, სასწრაფოდ გადაწყვიტა, შეხვდეს რუს და ჩინელ კოლეგებს.**

დასავლური მედიასაშუალებები თეთრი სახლის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** კლიმატური ცვლილებების შესახებ სამიტზე ჩინეთის ლიდერი **სი ძინპინი** და რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** მიიწვია.

ვირტუალურ მოლაპარაკებებში, რომელიც 22-23 აპრილს უნდა გაიმართოს, სულ 40 პირი მიიღებს მონაწილეობას. თვითონ ბაიდენმა მასმედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ ამ საკითხზე პირადად არ ულაპარაკია პუტინთან და სი ძინპინთან, მაგრამ მათ იციან მიწვევის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა პირდაპირ ეთერში უნდა გადაიცეს.

**topnews.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი (МАДИ) საქართველოში ატარებს საერთაშორისო ინტელექტუალურ კონკურსს და იწვევს მოსკოვში სწავლის მსურველებს

## «ყველა გზა მიდის МАДИ-ში!»




**კონკურსში შეირჩევა ხუთი გამარჯვებული.**
**ყველა მათგანი ჩაირიცხება და უფასოდ ისწავლის უნივერსიტეტში.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების, ლიცეუმების და ა.შ. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს.

კონკურსი ჩატარდება მათემატიკაში ონლაინ-ტესტირების ფორმით. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

კონკურსში მონაწილეობისთვის ონლაინ რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს და დამთავრდება ა.წ. 15 აპრილს. საკუთრივ კონკურსი გაიმართება 17 აპრილს, შედეგები გამოცხადდება 28 აპრილს.

გამარჯვებულებს გამოეყოფათ ხუთი საბიუჯეტო ადგილი ბაკალავრიატის შემდეგ მიმართულებებზე:

08.03.01 მშენებლობა, პროფილით „ავტოსაგზაო ხიდები და გვირაბები"; „საავტომობილო გზები"; „აეროდრომები".

13.03.02 ელექტროენერგეტიკა და ელექტროტექნიკა, პროფილით „ავტომობილების ელექტრომოწყობილობა და ელექტრომობილები".

23.03.01 სატრანსპორტო პროცესების ტექნოლოგია, პროფილით სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა"; „საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება".

23.03.03 სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანების და კომპლექსების მართვა, პროფილით „საავტომობილო სერვისი".

38.03.02 მენეჯმენტი, პროფილით „მიწოდებათა ჯაჭვების ლოგისტიკა და მართვა"; „ორგანიზაციის მენეჯმენტი", „პროექტის მართვა".

**სტუდენტებს გამოეყოფათ ადგილი საერთო საცხოვრებელში, სწავლის პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას.**

**გაიმარჯვეთ კონკურსში და ჩამობრძანდით მოსკოვში უფასოდ სასწავლებლად!**

**რეგისტრაცია კონკურსში მონაწილეობისთვის ვებ-გვერდზე: grant.madi.ru**

**საკონტაქტო ელ. ფოსტა: grant@madi.ru**

**კონკურსის ცხელი ხაზი: +7-499-155-0171 / +7-928-497-5555 (WhatsApp / Telegram / Viber).**

**მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის (МАДИ) შესახებ საერთო ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ მათ ვებ-გვერდზე: madi.ru**

# ВСЕ ДОРОГИ ВЕДУТ В МАДИ!

**Московский автомобильно-дорожный государственный технический университет (МАДИ) приглашает молодежь Грузии принять участие в Международном интеллектуальном конкурсе „Все дороги ведут в МАДИ!". Участвовать в конкурсе могут учащиеся выпускных классов школ, гимназий, лицеев, а также студенты колледжей и техникумов Грузии.**

Победители конкурса получат **право на бесплатное обучение в МАДИ**, а также место в общежитии. Кроме того, отметим, что стипендии в МАДИ — одни из самых высоких по Москве!

Конкурс пройдет в дистанционном формате. Для участия в конкурсе **регистрируетесь** на сайте grant.madi.ru. **до 15 апреля** и пройдите **онлайн-тестирование по математике 17 апреля**. Побеждайте и приезжайте учиться в Москву!

**Перечень образовательных программ международного интеллектуального конкурса „Все дороги ведут в МАДИ" в 2021/22 учебном году:**

08.03.01 Строительство (профиль: „Автодорожные мосты и тоннели", „Автомобильные дороги", „Аэродромы").

13.03.02 Электроэнергетика и электротехника (профиль: „Электрооборудование автомобилей и электромобили").

23.03.01 Технология транспортных процессов (профиль: „Организация перевозок и управление на транспорте", „Организация и безопасность дорожного движения").

23.03.03 Эксплуатация транспортно-технологичесих машин и комплексов (профиль: „Автомобильный сервис").

38.03.02 Менеджмент (профиль: „Логистика и управление цепями поставок", „Менеджмент организации", „Управление проектом").

**Международный интеллектуальный конкурс „Все дороги ведут в МАДИ" пройдет в онлайн формате на сайте grant.madi.ru и состоит из двух этапов:**

**I ЭТАП (подача заявок — регистрация на участие в Конкурсе) пройдет с 15.02.2021г. по 15.04.2021г.;**

**II ЭТАП (тестирование): 17.04.2021г. — математика. Результаты будут объявлены 28 апреля.**

**Более подробная информация: grant.madi.ru**

**КОНТАКТЫ: e-mail: grant@madi.ru**

**Телефон: +7-499-155-01-71**

**Горячая линия Конкурса: +7-928-497-55-55 (WhatsApp / Telegram / Viber, ежедневно с 10:00 до 20:00)**




# 9,6-მილიარდიანი საცობი სუეცის არხში

**სუეცის არხში ავარიის შედეგად 400 მ სიგრძის კონტეინერმზიდი Evergreen-ი სავაჭრო გზის 151-ე კმ-ზე (სულ 163 კმ-ია) მეჩეჩზე აღმოჩნდა და არხი გადაიკეტა.**

არხის ნაპირებთან შეგროვდა დაახლოებით 240 გემი, რომელთა უმრავლესობა არხის გახსნას და მოძრაობის განახლებას ელოდება. ნაწილმა კი გადაწყვიტა, აფრიკის შემოვლით განაგრძოს გზა, რის გამოც ცურვის ხანგრძლივობა რამდენიმე კვირით მოიმატებს.

**ექსპერტთა გაანგარიშებით, სუეცის არხის გადაკეტვით გამოწვეული ზარალი საათში 400 მლნ-ს, დღეში კი 9,6 მლრდ დოლარს შეადგენს. ვარაუდობენ, რომ არხი შეიძლება კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ გაიხსნას.** ამ ვითარებაში 4-ჯერ მოიმატა ჩინეთიდან ევროპაში ტვირთის გადაზიდვის ფასმა. ტანკერების დაფრახტვა კი, რომლებსაც ნავთობი გადააქვთ, დღეში 17 ათას დოლარამდე გაიზარდა.

სუეცის არხში წარმოქმნილმა საცობმა დიდი გავლენა იქონია ბუნებრივი აირის ბაზარზე, განსაკუთრებით მოიმატა ფასმა თხევად ბუნებრივ აირზე, რომელიც ყატარიდან ევროპაში ხომალდებით გადაჰქონდათ. 5%-ით გაძვირდა Brent-ის მარკის ნავთობი. ექსპერტთა ვარაუდით, სანამ არხი გაიხსნება, ბარელი ნავთობის ფასმა შეიძლება 70 დოლარს მიაღწიოს.

ტვირთების გადამზიდავმა კომპანიებმა უკვე მოძებნეს ალტერნატიული მარშრუტები. ერთ-ერთი ასეთი მარშრუტია ჩინეთიდან — სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებით — ტვირთების გადაზიდვა რუსეთის გავლით ევროპაში. ამის სურვილი უკვე გამოთქვა სატრანსპორტო ჯგუფმა Fesco-მ.

**ria.ru-სა და echo.msr.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894